ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
17 თებერვალი ორშაბათი 2014
№030 (14 251) ფასი 80 თეთრი

## ევროპა ერთ ნაბიჯზეა!



11

# ჩვენი იმედი სოჭში



## ელენე გედევანიშვილი სოჭის ყინულზე გამოჩნდა

ის მოულოდნელად გამოჩნდა ფიგურული ციგურაობის სამყაროში და მყუდროება დაურღვია იქაურ ბინადართ. 15 წლის ქართველმა გოგონამ 2006 წელს უფროსებში გადაინაცვლა და ევროპის პირველსავე ჩემპიონატზე მე-5 ადგილი დაიკავა. იმავე წელს ელენე გედევანიშვილი ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მეათე იყო. მას შემდეგ წლებმა განვლო. ქართველი მოციგურავე შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იმაღლებდა ოსტატობას და გამორჩეული გრაციით ხიბლავდა ქომაგებსა თუ არბიტრებს, ამიტომაც ქართული ციგურაობის ისტორიაში გედევანიშვილმა პირველმა მოუტანა ჩვენს ქვეყანას ევროპის ჩემპიონატების ორი ბრინჯაოს მედალი. წლევანდელი კონტინენტის პირველობის მეათეადგილოსანი კანადაში ახალი მწვრთნელის - ბრაიან გისლეინის ხელმძღვანელობით თავისი მესამე ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდა.

ორიოდე დღის წინ იგი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქს ეწვია და სოჭის ყინულზე პირველად ივარჯიშა. ელენე 19 თებერვალს მოკლე, 20-ში კი თავისუფალი პროგრამით იასპარეზებს. სოჭში გაზეთ „ლელოს“ ფოტოკორესპონდენტმა თამუნა ყულუმბეგაშვილმა გედევანიშვილის პირველი ვარჯიშები გადაიღო.

ვაჟა დანელია

## მარცვალაძე დინამოში ითამაშებს!




2




ზვიად გოგოჭური




ზებედა რეხვიაშვილი

10

## ორი ოქრო ავსტრიიდან

## სოჭი 2014
### მედლები

| ქვეყანა | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 7 | 3 | 2 | 12 |
| 2. ჰოლანდია | 5 | 5 | 7 | 17 |
| 3. ნორვეგია | 5 | 3 | 6 | 14 |
| 4 შვეიცარია | 5 | 1 | 1 | 7 |
| 5. რუსეთი | 4 | 7 | 5 | 16 |
| 6. კანადა | 4 | 6 | 4 | 14 |
| 7. აშშ | 4 | 4 | 8 | 16 |
| 8. პოლონეთი | 4 | 0 | 0 | 4 |
| 9. ჩინეთი | 3 | 2 | 0 | 5 |
| 10. ბელარუსი | 3 | 0 | 1 | 4 |
| 11. შვედეთი | 2 | 5 | 2 | 9 |
| 12. ავსტრია | 2 | 4 | 1 | 7 |
| 13. საფრანგეთი | 2 | 0 | 4 | 6 |
| 14. იაპონია | 1 | 3 | 1 | 5 |
| 15. ჩეხეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| 16. სლოვენია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 17. კორეა | 1 | 1 | 1 | 3 |
| 18. დიდი ბრიტანეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 19. სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 20. იტალია | 0 | 2 | 3 | 5 |
| 21. ფინეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 22. ლატვია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 23.ავსტრალია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 24. ხორვატია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25. ყაზახეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 25. უკრაინა | 0 | 0 | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# მარცვალაძე დინამოში ითამაშებს

## ...და პირველად საქართველოში: ჰოლანდიელიც!

ჩვენთან სატრანსფერო ფანჯარა ჯერ კიდევ ღიაა, მაგრამ, ვეჭვობთ, რომ სეზონის განახლებამდე რაიმე ხმაურიანი ტრანსფერი კიდევ განხორციელდეს. უფრო ზუსტად, ძალიან გვეეჭვება, რომ საქართველოს ჩემპიონატში კვლავაც გამოჩნდეს... ოთარ მარცვალაძის დონის ფეხბურთელი! დიახ, 29 წლის გარემარბი ამიერიდან ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბის ღირსებას დაიცავს და დღეს „დინამოს" მაისურსაც საზეიმოდ მიიღებს.

ბოლო წლების ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ გარემარბზე (ქრონიკულმა ტრავმებმა რომ არ მისცა საკუთარი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენის საშუალება) ქვემოთ ვისაუბრებთ; მანამდე კი „დინამოს" მორიგ ახალწვეულზეც: **ოთარ მარცვალაძესთან** ერთად დღეს კიდევ ერთ ფეხბურთელს წარადგენენ და ასევე მუდმივნომრიან მაისურს გადასცემენ, თანაც, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს ჩემპიონატში ჰოლანდიელი ფეხბურთელი ითამაშებს!

დიახ, ამიერიდან თბილისის „დინამოში" გააგრძელებს კარიერას 27 წლის მარჯვენა მცველი **იენს იანსე**, რომელიც ბოლოს ესპანეთის სეგუნდა დივიზიონში (ანუ, რანგით მეორე ლიგაში) გამოდიოდა და „კორდობას" შემადგენლობაში ამ სეზონის პირველ ეტაპზე 11 მატჩი ჩაატარა.

იანსე 185 სმ სიმაღლის გახლავთ და ესპანეთში გადასვლამდე წლების განმავლობაში ასპარეზობდა ჰოლანდიის ერედივიზიონში. ასამდე მატჩი აქვს ჩატარებული „ტილბურგისა" და „ბრედას" შემადგენლობაში. ამასთან, იანსემ 21 შეხვედრა გამართა ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებში და, წესითა და რიგით, მისი დამატებით, „დინამოს" სერიოზული პრობლემა მოეხსნება: მოგეხსენებათ, რომ თურქული შეკრების პირველსავე საკონტროლო მატჩში ტრავმები მიიღეს ორივე მარჯვენა მცველმა - **დავით ხურცილავამ** და **ოთარ კაკაბაძემ**.

სწორედ ამის გამოც იყო, რომ დარჩენილ საკონტროლო მატჩებში ამ პოზიციაზე რამდენჯერმე მოუწია თამაში ამპლუით ცენტრალურ ნახევარმცველს **გიორგი პაპავას**. მოკლედ, იანსე წარმატებული შენაძენი უნდა გამოდგეს **მალხაზ ჟვანიას** (სხვათა შორის, „დინამოს" მთავარ მწვრთნელს გუშინ დაბადების დღე ჰქონდა) გუნდისათვის. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვერც იანსე და საერთოდაც, ამ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ვერც ერთი ახალწვეულის ტრანსფერი ახლოსაც ვერ მივა ოთარ მარცვალაძის საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებასთან!

...ოთარ მარცვალაძის დებიუტი საქართველოს ჩემპიონატში 2002/03 წლების სეზონში შედგა, როდესაც „ვიტ ჯორჯიას" იმდროინდელმა მწვრთნელმა, **ჯანი კარნევალემ** დიდი ნდობა გამოუცხადა 18 წლის ნიჭიერ ფორვარდს და მეორე ეტაპზე რამდენიმე მატჩი ძირითადშიც ათამაშა. ამის შემდეგ მარცვალაძე ნელ-ნელა გადაიქცა „ვეტერინართა" ერთ-ერთ ლიდერად და 2005/06 წლების სეზონის ბოლოს, გაზეთ „სარბიელის" გამოკითხვის მიხედვით, ქართველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს!

ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მარცვალაძემ იმ სეზონში საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ... პირველი ეტაპი ითამაშა, თუმცა იმდენად გამორჩეული გახლდათ, რომ მისი ლაურეატობა შემთხვევითი არ ყოფილა. ეგ კი არა, იმის დიდი შანსიც იყო, რომ მხოლოდ პირველ ეტაპზე გატანილი გოლების რაოდენობით იმ სეზონის... საუკეთესო ბომბარდირიც გამხდარიყო!

...2006 წლის დასაწყისიდან მარცვალაძემ უკრაინას მიაშურა და სწორედ აქედან დაიწყო კიდეც მისი უიღბლობა: კიევის „დინამოში" თავისი შესაძლებლობები სრულად რომ ვერ წარმოაჩინა, სწორედაც რომ ქრონიკული (თანაც, სერიოზული) ტრავმების ბრალი იყო. კიევის „დინამოშიც", „ზაკარპატიესა" თუ „ხარკოვში" ამ ჩინებული დრიბლინგისა და შესაშური საგოლე ალღოს მქონე სწრაფ ფორვარდს რა ტრავმა აღარ შეხვდა (ჯვარედინი მყესების განყვეტაო, მენისკიო), რომელთა მკურნალობასაც საკმაო დრო სჭირდებოდა.

...2004 წლიდან კი მარცვალაძის კარიერაში ახალი, „რუსული" ეტაპი იწყება: სწორედ ამ ქართველი თავდამსხმელის უდიდესი დამსახურებაც იყო, იმ სეზონში მახაჩყალის „ანჟიმ" უმაღლესი ლიგის საგზური რომ მოიპოვა (22 მატჩი და 13 გოლი - კლუბში საუკეთესო შედეგი იყო). თუმცა, მიზეზთა გამო, სხვა თანამემამულეთა მსგავსად, მომდევნო სეზონი მარცვალაძეს რუსეთის უმაღლეს ლიგაში არ დაუწყია - კვლავაც პირველ ლიგაში გააგრძელა ასპარეზობა და ახლა უკვე ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" მოაპოვებინა უმაღლესი ლიგის საგზური.

„ვოლგას" მერე „კრასნოდარი" იყო, შემდეგ ისევ პირველ ლიგაში დაბრუნება: ჯერ - ხაბაროვსკის „სკა-ენერგიაში", ბოლოს კი - „ალანიაში". სწორედ ამ ვლადიკავკაზურ გუნდში დაიწყო კიდეც მარცვალაძემ ეს სეზონი და, წესითა და რიგით, ამჯერად უკვე მესამე გუნდთან ერთად უნდა აღზევებულიყო რუსეთის უმაღლეს ლიგაში, მაგრამ „ალანიას" ფინანსური პრობლემების შესახებ ყველამ იცის და ქართველი ფორვარდიც სამშობლოში დაბრუნდა.

თანაც, საქართველოს ჩემპიონატს 8-წლიანი პაუზის მერე უბრუნდება! დინამომ რომ მართლაც საინტერესო და, უდავოდ, სასარგებლო ტრანსფერი განახორციელა, ამაში, ვფიქრობთ, არავინ შემოგვედავება; ამას გარდა, იმედი დავიტოვოთ, რომ მარცვალაძის საქართველოში დაბრუნება მის... სანაკრებო კარიერაზეც დადებითად იმოქმედებს; კი ბატონო, ამ ფეხბურთელს მთელი კარიერის განმავლობაში ტრავმები თუ სხვა სახის უიღბლობა თან სდევდა, მაგრამ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირ შემთხვევაში, სრულიად ჯანმრთელ და, რაც მთავარია, ჩინებულ ფიზიკურ კონდიციებში მყოფ მარცვალაძეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელები, რატომღაც, იგნორირებას უკეთებდნენ...

**გია ტუხაშვილი**



ოთარ მარცვალაძე (№7) დინამოში ითამაშებს




დინამოს ჰოლანდიელი ახალწვეული იენს იანსე

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჯერ კლუჟი, მერე ვერონა ან პარმა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ჰოლანდიური „ვიტესის" ფორვარდი **გიორგი ქანთურია** დღესხვალ რუმინული „კლუჟის" მაისურას მოირგებს, კონტრაქტს კი იტალიურ „ვერონასთან" ან „პარმასთან" გააფორმებს. 20 წლის ფეხბურთელი და „ვიტესის" ხელმძღვანელობა მომავალ ტრანსფერზე კონკრეტულად სალაპარაკოდ აგენტ **კარლო კავალიერის** არნემში დღეს ელოდებიან. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „ვიტესი" ქართველი შემტევის გათავისუფლებას ოფიციალურად დაადასტურებს. ამ დადასტურებას კი, სავარაუდოდ, სატრანსფერო მილიონ-ნახევარი ევრო მოჰყვება, რომელიც ქანთურიას ამყვანმა იტალიურმა კლუბმა უნდა გადაიხადოს.

მოკლედ, საქმე ასეა: ქანთურიას შეძენა „ვერონას" კი სურს, მაგრამ დაინტერესებულია „პარმაც", ხოლო იმის გამო, რომ ტრანსფერი იანვრის ბოლომდე ვერ მოესწრო, ამიტომაც მივიდა საქმე აქამდე - რაკი ამ სეზონში ქანთურია იტალიაში ვეღარ ითამაშებს, საჭირო გახდა მისთვის ისეთი კლუბის გამონახვა, რომელიც ჩვენიანს ზაფხულამდე, ანუ ახალი სატრანსფერო სეზონის გახსნამდე შეიფარებდა.

ასეთ კლუბს კავალიერიმ რუმინეთში მიაგნო და „კლუჟის" ხელმძღვანელობას ოთხთვიან კონტრაქტზე მოელაპარაკა. ქანთურია დღეს ან ხვალ ჩავა რუმინეთში, სადაც სატრანსფერო სეზონი 24 თებერვალს იხურება. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, ქანთურია „კლუჟის" შემადგენლობაში ამ კვირასვე, „ვასლუის" წინააღმდეგ ითამაშებს. ამასთან, რუმინეთში ქართველი, სავარაუდოდ, „ვერონასთან" ან „პარმასთან" გაფორმებული კონტრაქტით ჩავა. კონტრაქტში კი ჩაიწერება, რომ ქანთურია იტალიას ზაფხულში მიაშურებს.

**კობა ინასარიძე**



გიორგი ქანთურია

ტორპედო

# ორი გამარჯვება და მოკითხვა ხელისუფლებიდან

ქუთაისის „ტორპედომ" მორიგი სპარინგი გამართა. **რევაზ ძოძუაშვილის** გაწვრთნილებმა სალორიას ბაზაზე პირველლიგელ წყალტუბოს „სამგურალს" 3:1 მოუგეს. ანგარიში **თორნიკე ჩადუნელმა** ახლო მანძილიდან ზუსტი თავური დარტყმით გახსნა, რასაც სტუმრებმა **ონისე ჩინჩალაძის** გოლით უპასუხეს - 1:1. მერე ოთხწუთიან მონაკვეთში დუბლი შეასრულა შეცვლაზე შესულმა **ოთარ კვერნაძემ**: ჯერ მიზანს მახვილი კუთხიდან დარტყმით მიაღწია, მერე კი მეკარესთან პირისპირ გასვლით ისარგებლა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა - 3:1.

**ტორპედო: რ. კვასხვაძე, ზ. გელაშვილი, თ. ჩადუნელი, ს. თოდუა, ადამაძე (20. სტეფნიაშვილი (46. ბაქარ ლალაძე/75. გ. ცაბუტაშვილი), ჩიკვილაძე (46. ხურციძე), მამასახლისი, ლექვთაძე (46. გოგიჩაიშვილი), ჭედია (46. ლვიტიძე/65. ც. ხარაბაძე), მარკოზაშვილი (46. კვერნაძე), ლონლაძე.**

მომდევნო სპარინგი ქუთაისელებმა გუშინ გამართეს. საკუთარ ბაზაზე პირველი ლიგის B ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს, **გელა სანაიას** „სამტრედიას" უმასპინძლეს. „ტორპედომ" ეს საკონტროლო მატჩიც 3:1 მოიგეს. თუმცა, ამჯერად, ანგარიში სტუმართა კაპიტანმა **ლევან ბაკურაძემ** (პენალტით) გახსნა. მეორე ტაიმში თავი ქუთაისელთა ბომბარდირმა კვერნაძემ გამოიჩინა, მერე **თენგიზ ჩიკვილაძემ** დააწინაურა „ტორპედო", მესამედ კი მეტოქის კარი გუნდის ლატვიელმა ახალწვეულმა, ცენტრალურმა მცველმა **იგორ სავჩენკოვსმა** აიღო - 3:1.

**ტორპედო: ადამია (46. კვასხვაძე), დუდუჩავა (46. ლალაძე), ნაცვლიშვილი (46. თოდუა), ხუჭუა (46. სავჩენკოვსი), კოლუაშვილი (46. ნ. ხარაბაძე), თვალავაძე (46. გ. ცაბუტაშვილი), ვოლნერი (46. ჩიკვილაძე), ლ. მაჭავარიანი (46. ლექვთაძე), ზ. ხურციძე (30. ამბარდნიშვილი/46. გიორგი ჭედია), დ. ხურციძე (46. ტულუში), თორთლაძე (46. კვერნაძე)**

ამ საკონტროლო შეხვედრების შემდეგ გადაწყდა მეკარე **ალეკო ადამიას** საკითხი - ის ქუთაისის „ტორპედოში" ჩაირიცხება. ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ **ვასილ მაისურაძის** 17-წლამდელთა ნაკრები, რომელმაც 2012 წელს სლოვენიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა სწორედ მეკარე ადამია იყო. ამ ამხანაგურ შეხვედრებშიც მან რიონისპირელთა სამწვრთნელო შტაბსა და მაყურებლებს თავი საიმედო თამაშით დაამახსოვრა.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის „ტორპედოს" ბაზას იმერეთის რეგიონისა და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ხელმძღვანელები ესტუმრნენ, ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს პრობლემები გამოჰკითხეს და იმედად დაპირებები დატოვეს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „ტორპედო" უპატრონოდ არ დარჩება. იქვე ითქვა, რომ მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაიმართება, რათა ხელისუფლებასა და გუნდს შორის ურთიერთობა არსებობდეს და პრობლემები დროულად მოგვარდეს. მომდევნო შეხვედრამდე „ტორპედოს" მწირ ბიუჯეტს ფულით შეავსებენ - ეს იქნება საუკეთესო დახმარებაც, გამხნევებაც და მოკითხვაც.

როგორც შევიტყვეთ, „ტორპედოს" პრობლემები გვარდება, მაგრამ კლუბი ჯერაც „ვისოლის" საკუთრებაშია. დავაზუსტეთ, რომ კომპანიამ „ტორპედოს" ანგარიშზე 350 ათასი ლარი დატოვა - ეს და ფედერაციიდან დასარიცხი თანხა გუნდს სეზონის ბოლომდე ეყოფა. მერე კი „ტორპედოს" „ვისოლი" ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადაიყვანს და ახალი მეპატრონეც ამის შემდეგ გამოჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ტორპედოს ახალწვეულმა იგორ სავჩენკოვსმა (მარცხნივ) გოლიც გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ზუგდიდი

# ლინკოლნი ვერ გამოდგა



ამხანაგური მატჩი ჩინურ კლუბთან

თურქულ შეკრებაზე „ზუგდიდმა" ბოლო დღეებში სამი საკონტროლო მატჩი გამართა. **გიორგი დარასელიას** შეგირდები რუსეთის პირველი ლიგის ბინადარ კალინინგრადის „ბალტიკასთან" 0:1 დამარცხდნენ. ქართულმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

**ქვილითაია (46. ზარქუა), დ. ქირია, აფაქიძე (75. ნიკოლაძე), მირცხულავა, ჯავაშვილი, ი. შალიკაშვილი (35. ქებაძე), სიხარულია (71. გ. სამუშია), შ. ლომია, კირკიტაძე, გუგუჩია, კავალიაუსკასი (58. ლინკოლნი).**

მატჩის მსვლელობისას, საყრდენი ნახევარმცველი **ირაკლი შალიკაშვილი** სერიოზულად დაშავდა და შესაცვლელი გახდა. სამწუხაროდ, ეს ზუგდიდელთა პირველი დანაკლისი არ არის - პირველივე ამხანაგურ მატჩში მარჯვენა მცველმა **რომეო კანკიამ** მენისკი დაიზიანა.

„ბალტიკამ" ჩვენების კარი 26-ე წუთზე აიღო. **ანდრეი სალნიკოვსმა** ბურთი საჯარიმოს ხაზთან მიიღო და ძლიერი დარტყმით „ზუგდიდის" მეკარე **მაქსიმე ქვილითაიას** ბურთი თავზე გადაუგდო. სწორედ დარტყმის მომენტში, კალინინგრადელმა ფორვარდმა ბურთი ხელით გაისწორა და მსაჯს რეაგირებას სთხოვდნენ, მაგრამ მან კარის აღება დააფიქსირა.

საპასუხო გოლის გატანა შეეძლო **დავით კირკიტაძეს**, თუმცა მის მიერ დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა. ტაიმის მიწურულს შანსი ვერ გამოიყენა **ლუკა გუგუჩიამაც**. 49-ე წუთზე კი ზუგდიდელები აქით გადარჩნენ - **ნიკა აფაქიძემ** ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

მე-60 წუთზე, იმავე აფაქიძეს შეეძლო მეტოქის დამწუხრება, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. მე-80 წუთზე, კალინინგრადელთა მცველმა საჯარიმოში ხელით ითამაშა, მაგრამ მსაჯმა ამ ეპიზოდსაც წაუყრუა - პენალტი არ დანიშნა.

შაბათს „ზუგდიდმა" ორ ამხანაგური მატჩი ჩაატარა. დილას, ჩინეთის პირველი დივიზიონის მეათეადგილოსან ბიტთან ითამაშა, ხოლო საღამოს - ბულგარეთის A ლიგის წარმომადგენელ სოფიის „სლავიასთან".

დარასელიას გუნდმა ჩინელები 6:2 დაამარცხა. დუბლი შეასრულა ლიტველმა **ვიტალიუს კავალიაუსკასმა**. ისიც აღსანიშნავია, რომ გოლი გაიტანა სამწლიანი შესვენების შემდეგ მოედანზე დაბრუნებულმა **კობა ნიტაიშვილმა**. 89-ე წუთზე კი მსაჯმა გუგუჩიას წითელი ბარათი უჩვენა და მოედანი დაატოვებინა.

**ზუგდიდი: ზარქუა (76. ჯომიდავა), ქვარცხავა, აფაქიძე (32. მირცხულავა), ნიკოლაძე (69. დ. ქირია), ლ. მჭედლიშვილი (46. ჯავაშვილი), ქათამაძე (46. ქებაძე), ფარჯიკია (46. კირკიტაზე), გ. სამუშია (46. ლომია), ბულია (46. კავალიაუსკასი), ნიტაიშვილი (46. გუგუჩია).**

მომდევნო შეხვედრაში „ზუგდიდი" რუმინეთის პირველი ლიგის ბინადარ რესიტას „მეტალულთან" 2:3 დამარცხდა. დარასელიას გუნდიდან თავი გამოიჩინეს გუგუჩიამ (31-ე წუთი, პენალტი) და ბულიამ (88-ე). მეტოქეს კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ 59-ე წუთზე რუმინელის მიერ შესრულებული 11-მეტრიანი ხარიხას მოხვდა.

**ზუგდიდი: ქვილითაია (46. ზარქუა), დ. ქირია (46. ქვარცხავა), მირცხულავა, აფაქიძე, ჯავაშვილი, ქებაძე (46. ქათამაძე), სიხარულია (65. კავალიაუსკასი), ლომია (78. ნ. ქირია), კირკიტაძე (74. ფარჯიკია), გუგუჩია (71. ბულია), ნიტაიშვილი (46. სამუშია).**

იყო ინფორმაცია, თითქოს „ზუგდიდში" სინჯებზე მავან ხორვატ თავდამსხმელს ელოდნენ, მაგრამ ჯერჯერობით ეს ამბავი არ დასტურდება. ეს კი არა, ჯერ არც **ვიტალიუს კავალიაუსკასს** გაუფორმებია კონტრაქტი, ბრაზილიელი ფორვარდი **ლინკოლნი** კი „ბალტიკასთან" მატჩის მერე გაუშვეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ზესტაფონი



ზესტაფონი-ორჰუსი. უტევსდავით დევდარიანი

# სამი გოლი ქართველების ანგარიშზე

## ზესტაფონმა ტურნოვოსთან 2:0 გაანიავა

გასულ უქმეებზე ანთალიაში მოსამზადებლად მყოფმა „ზესტაფონმა" ზედიზედ ორი ამხანაგური მატჩი გამართა. ზესტაფონელებს შეკრების ბოლო მატჩი კვირას უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ შანსი რომ გაჩნდა, ერთი სამწვრთნელი შეხვედრაც გაემართა, მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** უარი აღარ თქვა.

დანიურ „ორჰუსს", სადაც სამი ჩვენიანი - **დავით დევდარიანი, მათე ვაწაძე** და **დავით სხირტლაძე** - თამაშობს, თავისი შეხვედრა წინა დღეს თავსხმა წვიმის გამო ჩაეშალა და ვინაიდან მისმა მეტოქემ თურქეთი იმ დღესვე დატოვა, სპარინგის გარეშე რჩებოდა. თუმცა დამატებითი ამხანაგური მატჩი „ზესტაფონისთვისაც" მისალები აღმოჩნდა.

ჩვენებმა 1:2 წააგეს, თუმცა მეტოქის კართან იმდენი მომენტი შექმნეს, ბარე ორი შეხვედრისთვის იქნებოდა საკმარისი. „ზესტაფონმა" ერთადერთი გოლი მატჩის ბოლოს გაიტანა - **გიორგი ჭანკოტაძემ** ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

იქამდე, „ზესტაფონს" ერთი ბურთი დევდარიანმა გაუტანა, ერთიც - იმერლებმა ავტოგოლით გაიტანეს. მოკლედ ამ დაუგეგმავ სპარინგში გეგუჩაძის გუნდმა ისე წააგო, სამივე გოლი ქართველების ანგარიშზე ჩაიწერა. „ზესტაფონმა" დანიელებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

**მეშველიანი, ლონლაძე (72. თორ. გრიგალაშვილი), თედ. გრიგალაშვილი (85. ენდელაძე), ფერეირა, გურული, შარიქაძე (10. ჭანტურიშვილი), კუხიანიძე (78. ჭანკოტაძე), გენაძე (81. სარდალიშვილი), დოლიძე (72. ფანცულაია), საბანაძე (60. კაპანაძე), ტატანაშვილი.**

გუშინ კი „ზესტაფონი" მაკედონიურ „ტურნოვოს" გაეჯიბრა. მეორე ტაიმის დასაწყისში ქართველები **გიორგი ფანცულაიამ** დააწინაურა, თუმცა „ზესტაფონი" მაინც დამარცხდა. **გიორგი მაკარიძემ** პენალტი ვერ გამოიყენა, რაც იოლი საქმე გამოდგა მაკედონიელი **მლადენოვისთვის**, მერე ზედიზედ ორი გოლი **საშკო პანდევმა** გაიტანა და „ტურნოვოს" 3:1 მოაგებინა.

ზესტაფონი: **კუპატაძე, თედ. გრიგალაშვილი, თორ. გრიგალაშვილი, გაგოშიძე, ენდელაძე (81. ლონლაძე), აჯურუ (71. ჭანტურიშვილი), ჭანკოტაძე, სარდალიშვილი, კაკუშაძე (51. მაკარიძე), ფანცულაია (81. ტატანაშვილი), კაპანაძე.**

დღეს „ზესტაფონი" სამშობლოში დაბრუნდება და ჩემპიონატის განახლებისთვის მზადებას საკუთარ ბაზაზე გააგრძელებს.

**კობა ინასარიძე**

● შეკრების შეჯამება. სიონი

# ლადო ბურდული
# თამაშის ხარისხით გამოვასწორეთ

## სიონს კიდევ ერთი ახალწვეული ეყოლება

თურქული შეკრებიდან დაბრუნებულმა „სიონმა" ორი დღე დაისვენა და აი, გუშინ სეზონის განახლებისათვის დაიწყო მზადება. მოგეხსენებათ, „სიონს" ამ კვირაში პირველი სათასო მეოთხედფინალური მატჩი ელოდება „ჩიხურასთან", შემდეგ კი არანაკლებ რთული შეხვედრები ჩემპიონატშიც - პირველი ეტაპის დარჩენილ ოთხ ტურში ბოლნისელებს „დინამოსთან", „მეტალურგთან", „ტორპედოსთან" და „ზესტაფონთან" მოუწევთ პაექრობა.

"სიონის" მთავარ მწვრთნელ ლადო ბურდულთან ინტერვიუ წინა კვირაშიც შემოგთავაზეთ, როცა თურქულ შეკრებაზე მყოფმა დებიუტანტმა (და, ამასთან ჯერჯერობით წარმატებულმა) სპეციალისტმა თავისი გუნდის პირველი სამი საკონტროლო მატჩი შეაფასა.

სამშობლოში დაბრუნებულ ლადო ბურდულს გუშინაც შევეხმიანეთ და „სიონის" ბოლო სპარინგ მატჩის გარდა, გუნდის სხვა სიახლეებზეც ვთხოვეთ შთაბეჭდილების გაზიარება.

**- მოდი, ჯერ „დიორი ეტოსთან" მატჩით დავიწყოთ, რომელიც „სიონის" გამარჯვებით დამთავრდა.**

- მტკ-სგან განსხვავებით, „დიორი ეტო" წარმატებით ასპარეზობს ამ სეზონში და უნგრეთის ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ მესამე ადგილზე შემთხვევით არ იმყოფება. ისიც მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ წინააღმდეგ „დიორი ეტო", ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით გამოვიდა: ძირითადი შემადგენლობის 8 ფეხბურთელი პლუს 3 ახალგაზრდა ჰყავდა. ძალიან სოლიდური გუნდია, საკმაოდ ნორმალური ლეგიონერებიც თამაშობენ და, აქედან გამომდინარე, ასეთ სოლიდურ მეტოქესთან გამარჯვებით კმაყოფილი დავრჩი.

**- სასურველი შედეგის გარდა, „სიონის" თამაშის ხარისხით რამდენად კმაყოფილი დარჩით?**

- ამ შემთხვევაში შედეგი, რა თქმა უნდა, მეორეხარისხოვანი იყო, თუმცა კმაყოფილი იმითაც დავრჩი, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა ყველა დავალება ზედმიწევნით შეასრულეს და ასეთ ძლიერ მეტოქესთან მატჩს სასურველ კონდიციებში შეხვდნენ. თანაც, ახალი ტაქტიკური სქემა, 4-4-2 მოვსინჯეთ. ფეხბურთელებმა ადვილად აუღეს ალლო სიახლეს. მომენტები ჩვენც გვქონდა და იმათაც, თუმცა გოლი მხოლოდ ერთი გავიდა და ისიც ერთობ ლამაზი გამოდგა: მატჩის დასაწყისში ჯაბა უგულავამ ეფექტური გოლი შეაგდო. სამწუხაროდ, მეორე ტაიმში მეტოქე უხეშობაზე გადავიდა, მსაჯმაც უნგრელთა გუნდის ერთი ფეხბურთელი მოედნიდან გააძევა.

**- შეკრების ბოლო მატჩზე რას გვეტყოდით?**

- უკრაინულ „სევასტოპოლთანაც" 4-4-2 ტაქტიკით ვითამაშეთ, თუმცა, ამ შემთხვევაში სერიოზული საკადრო პრობლემები გვქონდა: უნგრულ გუნდებთან შეხვედრებში ჩვენმა ექვსმა ფეხბურთელმა მიიღო ტრავმა. ბოლო საკონტროლო მატჩში სათადარიგოთა სკამზე მხოლოდ ოთხი მოთამაშე გვყავდა. სამწუხაროდ, უკრაინელებმა ორივე გოლი ჩვენი შეცდომების შედეგად გაიტანეს, სამაგიეროდ, ჩვენი ორივე გოლი ერთმანეთზე უკეთესი გამოდგა: პირველი ბურთი ვარჯიშებზე დამუშავებული სტანდარტულის შედეგი იყო. აი, მეორე გოლი კი ნებისმიერი მაღალი დონის შეხვედრას დაამშვენებდა: „სევასტოპოლის" მეკარემ ბურთი მოიგერია და გიორგი განუგრავამ, ფაქტობრივად, მოედნის ცენტრიდან ერთი შეხებით ბურთი ზუსტად გადაგზავნა უკრაინელთა კარში!

**- ანუ, მთლიანობაში ამ თურქული შეკრებით კმაყოფილი ხართ?**

- მთლიანობაში, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, მით უფრო, რომ ბოლო ორ საკონტროლო მატჩში გუნდმა თამაშის ხარისხიც გამოასწორა და, რაც მთავარია, ფეხბურთელებმაც ადვილად აუღეს ალღო ახალ ტაქტიკურ სქემას. ერთადერთი, რაც უარყოფითი ჰქონდა ამ შეკრებას, ფეხბურთელის ტრავმებია - ლადო ახალაიამ, ალექსანდრე გოგობერიშვილმა და ილია კანდელაკმა ბოლო საკონტროლო მატჩები სწორედ ამის გამო ვერ ითამაშეს; ისე როგორც „სევასტოპოლთან" ვერ შეძლო მოედანზე გამოსვლა ჯაბა უგულავამ, რომელსაც „დიორი ეტოს" ფეხბურთელები ძალიან უხეშად ეთამაშებოდნენ.

**- წინა ინტერვიუს დროს ბრძანეთ, დიდი შანსია, „სიონში" ლიტვის ნაკრების მეკარე გრიბაუსკასი ჩაირიცხოსო.**

- სამწუხაროდ, ჩვენს მთავარ დამფინანსებელ „მადნეულს" დღესდღეობით თავისი პრობლემები აქვს და ამ კომპანიის წარმომადგენლებთან ახალი მეკარის დამატებაზე არ მისაუბრია. თვითონ, გრიბაუსკასი თანახმაა საქართველოს ჩემპიონატში გააგრძელოს კარიერა და ეს თემა კვლავაც აქტუალურია ჩვენთვის.



ლადო ბურდული თურქული შეკრებით კმაყოფილია

**- სეზონის განახლებამდე სხვა სიახლეებს კიდევ უნდა ველოდოთ?**

- ერთ მეკარეს აუცილებლად დავიმატებთ: გრიბაუსკასის ვარიანტი თუ არ გამოვიდა, ვინმე ქართველ ახალგაზრდას შევარჩევთ; ამას გარდა, დიდი ალბათობით კიდევ ერთი ახალწვეული გვეყოლება, ოღონდ, გარკვეულ მიზეზთა გამო, მისი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ.

**- „სიონი" სეზონს ურთულესი სათასო მატჩით განაახლებს, რის შემდეგაც არანაკლებ რთული და მნიშვნელოვანი შეხვედრები გელოდებათ ჩემპიონატშიც.**

- კარგად მახსოვს, როგორ „ჩამოგვწერეს" სეზონის მსვლელობისას. „სიონში" ძალიან ბევრი ასაკოვანი ფეხბურთელია და გადატვირთულ გრაფიკს ვერ გაუძლებენო! არადა, სწორედ გამოცდილება მიმაჩნია ჩემი გუნდის ერთ-ერთ მთავარ პლუსად: „ჩიხურას", „დინამოსა" თუ სხვა ძლიერი გუნდის წინაღმდეგ „სიონის" ერთი-მეორეზე გამოცდილ ფეხბურთელებს რა შიში ან რა ფსიქოლოგიური წნეხი უნდა ჰქონდეთ? თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ სწორედ ამ გამოცდილი ფეხბურთელებით გრძელდება კიდეც „სიონის" ცხრამატჩიანი წაუგებელი სერია.

**- ჩვენი აზრით, დღესდღეობით უმაღლეს ლიგაში ყველაზე დაბალანსებული შემადგენლობა სწორედ „სიონს" ჰყავს.**

- ეს, მართლაც ფუფუნებაა ნებისმიერი მწვრთნელისათვის, როცა, ფაქტობრივად, ყველა პოზიციაზე ორი (ზოგან - სამიც) სრულფასოვანი ფეხბურთელი ჰყავს. აი, თუნდაც გამთამაშებლის ამპლუა ავიღოთ - ამ პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით შეუძლიათ თამაში აფციაურსაც, სამხარაძესაც, მიკუჩაძესაც; იგივე სიტუაციაა ფლანგის ნახევამცველებისა თუ თავდამსხმელების შემთხვევაში, აღარაფერს ვამბობ დაცვის ხაზზე, სადაც ერთმანეთზე გამოცდილი ფეხბურთელები ასპარეზობენ. თანაც, იმის გარდა, რომ როგორც მთავარ მწვრთნელს, უმტკივნეულო როტაციის საშუალება ხშირად მეძლევა, თვითონ ფეხბურთელებიც ვეღარ იგრძნობენ თავს შეუცვლელ პერსონებად.

**გია ტუხაშვილი**

● გურია

# ვინ მოდის მოსკოვიდან?


ლევან ქურდაძე გურიაში ჩაირიცხა

მარტის დასაწყისში ლანჩხუთს, შესაძლოა, მოსკოვის „დინამოს" პრესსამსახურის უფროსი **იგორ ერშოვი** ენვიოს. ის „გურიას" ხელმძღვანელობას შეხვდება და კლუბებს შორის სამომავლო ურთიერთობებზე მოლაპარაკებებს გამართავს. „გურიას" ტრანსფერების მენეჯერის **ბექა კვიციანის** თქმით, შესაძლოა, ამ ორი კლუბის ძირითადმა და ვეტერანთა შემადგენლობებმა ამხანაგურადაც ითამაშონ.

რაც შეეხება სიახლეებს: „გურიამ" ცენტრალური მცველი, 1990 წელს დაბადებული **ლევან ქურდაძე** დაიმატა, რომელიც ბოლოს ცხინვალის „სპარტაკში" თამაშობდა. ქურდაძე გუნდს უკვე შეუერთდა და ივარჯიშა კიდეც.

ამასობაში, **დავით მახარაძის** გაწვრთნილები გრიგოლეთის ბაზაზე „მაჭახელას" გაეჯიბრნენ და 0:1 დამარცხდნენ.

გურია: **ბობლიაშვილი, ჭეიშვილი, ბერიანიძე, ნ. კილაძე, ვ. ხორგუაშვილი, გაჩეჩილაძე, ტეიდი, კვირტია, პ. ხორგუაშვილი, შენგელია, კვერენჩხილაძე;**

II ტაიმში: **ვ. კილაძე, კვირკველია, ნიქაბაძე, ლორთქიფანიძე, ტულუში, ინგოროყვა.**

ამ გუნდებმა მოსამზადებელ ეტაპზე უკვე მეორედ ითამაშეს - პირველში „გურიამ" 1:0 გაიმარჯვა.

ამასობაში კი ლანჩხუთელთა მთავარი მწვრთნელი **დავით მახარაძე** რამდენიმე ფეხბურთელს აკვირდებოდა. უახლოეს დღეებში, შესაძლოა, „გურიას" განაცხადში ახალი მოთამაშეები მოხვდნენ. მორიგი ტესტმატჩი კი ორშაბათს, 17 თებერვალს, ჩოხატაურში „ბახმაროსთანაა" დაგეგმილი.

**მერაბ მამულაშვილი**

## I ლიგა

### მეორე დინამოც თურქეთში

პირველ ლიგაში მეორე ეტაპი მარტის დასაწყისში განახლდება, მანამდე კი რამდენიმე გუნდი უცხოურ შეკრებაზე იმყოფება და მათ შორის არის თბილისის „დინამო 2".

შეგახსენებთ, რომ დებულების თანახმად, ამ გუნდს უმაღლეს ლიგაში ალზევების უფლება არა აქვს. თუმცა, „დინამო 2-ის" უმთავრესი დანიშნულება ხომ ძირითადი გუნდისათვის სრულფასოვანი ფეხბურთელების მომზადებაა. პირველი ეტაპის შემდეგ „დინამო 2" IV ადგილზეა და ახალი მწვრთნელის, ახალგაზრდა სპეციალისტის **უჩა სოსიაშვილის** ხელმძღვანელობით თურქულ ქალაქ ბელეკში ემზადება ჩემპიონატის განახლებისათვის.

სოსიაშვილი 24 წლის გახლავთ და პირველ ეტაპზე მისი ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სამტრედიამ" მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა - გუნდი მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფ გათამაშების გამოკვეთილ ფავორიტს, ბათუმის „დინამოს".

პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ სოსიაშვილს თბილისის „დინამო 2-ის" გაძღოლა ანდეს და აი, პირველი შეკრებაც, სადაც გუნდი ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:

**ომარ მიგინეიშვილი, ლევან ისიანი, გოგი კულუა, ნიკა კვეკვესკირი, სანდრო გურეშიძე, ვასიკო ბაჩიაშვილი, გიგა სამხარაძე, საბა ლობჟანიძე, მიხეილ ჯიშკარიანი, ვანო წილოსანი, ბუდუ ზივზივაძე, დიმიტრი ვოლკოვი, ბიძინა მახარობლიძე, გიორგი დიასამიძე, გიორგი ერისთავი, ირაკლი ციცხვაია, მიხეილ ქაჯაია, ზურაბ ჯაფიაშვილი, გიორგი გურეშიძე, გუგა ფალავანდიშვილი, ლუკა თათხაშვილი, ლუკა ლოჩოშვილი, ვახტანგ კაპანაძე.**

ამ სიაში რამდენიმე ახალწვეულია (მაგალითად, **გიორგი ერისთავი, ირაკლი ციცხვაია, მიხეილ ქაჯაია**), რამდენიმე ფეხბურთელიც „დინამოს" დუბლშემადგენლობიდან თუ „დინამოს" საფეხბურთო აკადემიიდან დააწინაურეს; **სანდრო გურეშიძემ, ვასიკო ბაჩიაშვილმა** და **საბა ლობჟანიძემ** „დინამოს" მთავარ გუნდთანაც გაიარეს თურქული შეკრება. ხოლო **ომარ მიგინეიშვილსა** და **ნიკა კვეკვესკირს**, ალბათ, წარდგენა არც სჭირდებათ.

„დინამო 2" თურქეთში 28 თებერვლამდე დაჰყოფს და რუსეთის პრემიერლიგის გუნდების (პერმის „ამკარის", სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის", „კრასნოდარის") და დონეცკის „შახტარის" დუბლშემადგენლობებთან ჩაატარებს საკონტროლო მატჩებს.

**გია ტუხაშვილი**

### ესეც პირველი გამარჯვება თურქეთში

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „საბურთალომ" მეოთხე სპარინგი უკრაინის პირველლიგელ „ოლექსანდრიასთან" გამართა. მატჩი უკრაინელთა უპირატესობით დაიწყო, თუმცა პირველი ნახევარი უგოლოდ მორჩა.

მეორე ტაიმში გოლების წვიმა წამოვიდა - საბურთალოელებმა მწვავე კონტრშეტევა მარცხენა ფლანგზე გააგრძელეს, საჯარიმოში **ირაკლი ბიძინაშვილი** გაიხსნა და ზუსტად დაარტყა - 1:0. 66-ე წუთზე წონასწორობა **ოლეგ ივაშჩენკომ** აღადგინა. თუმცა **გიორგი ხარაიშვილმა** თბილისელები ისევ დააწინაურა - 2:1. მან დაახლოებით 30 მეტრიდან ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. სხვათა შორის, უკრაინული კლუბის ვებგვერდმაც დაწერა, რომ ხარაიშვილმა ძალზე ეფექტური გოლი გაიტანა.

ეტყობა, ამან „ოლექსანდრიას" ფეხბურთელებს შორის დაბნეულობა გამოიწვია, რასაც **გურამ გოშთელიანმა** მესამე გოლიც მიაყოლა - საჯარიმოში ლამაზად გასცდა მცველს და ზუსტად დაარტყა - 3:1.

ბოლო გოლი უკრაინელებმა გაიტანეს (ისევ ივაშჩენკომ) და არბიტრის საფინალო სასტვენმა შეკრებაზე მყოფ ოლექსანდრიელთა პირველი მარცხი და „საბურთალოს" პირველი გამარჯვება დააფიქსირა - 3:2.

საბურთალო: **გოშაძე, ბარამიძე, მარგველაშვილი, ჩომახიძე, თევზაძე, მამუჩაშვილი, ხარაიშვილი, ლორენცო, წოწონავა, ხორხელი, გოცირიძე.**

შეგახსენებთ, რომ პირველ თურქულ სპარინგში „საბურთალო" ბულგარეთის უმაღლესი ლიგის კლუბ „ჩერნო მორესთან" 2:3 დამარცხდა. შემდეგ **თემურ შალამბერიძის** გაწვრთნილებმა ორი მატჩი ფრედ დაასრულეს - ასევე ბულგარულ „მონტანასთან" (პირველი ლიგა) 2:2, ხოლო ყაზახეთის პირველლიგელ „აკჟაიკთან" - 0:0.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონის უქმეები

# ქართველები წაგებებს გაუშინაურდნენ

**ამ უქმეებზე** მოწინავე ქართველ ლეგიონერთა გუნდებმა მნიშვნელოვან მატჩებში მარცხი იწვნიეს. საუბარი „ჰერტასა" და „ვიტესზე" გვაქვს. კარიერაში პირველი წითელი ბარათი მიიღო ლადო დვალიშვილმა, თუმცა მისმა გუნდმა გამარჯვება მაინც მოახერხა.

**ლევან კობიაშვილმა** ზედიზედ მეორე ტურში გაიყვანა ბერლინის „ჰერტა" კაპიტნის სამკლავურით, ამჯერად მეტოქე „ვოლფსბურგი" იყო. ჩვენებური კვლავ დაცვის ცენტრში იყო და 90 წუთი ითამაშა, „ჰერტა" კი უშუალო კონკურენტთან ბრძოლაში 1:2 დამარცხდა.

**ლევან ყენია** „ფორტუნას" დუბლებში თამაშობს, მეორე ბუნდესლიგის მატჩის განაცხადში კი ქართველი ვერ ხვდება. III ბუნდესლიგაში **ლუკას ჰუფნაგელის** „უნტერჰახინგი" სტუმრად „ზაარბრიუკენთან" დამარცხდა - 0:1. ქართველი ლეგიონერი სასტარტოში იყო, ის შესვენების შემდეგ შეცვალეს.

იტალიის სერია B-ში „ემპოლი" „კარპის" დაუზავდა - 1:1. **ლევან მჭედლიძე** ტრადიციულად, მატჩის მიწურულს შევიდა, თუმცა 10 წუთამდე დროში ვერაფერი მოასწრო, **ირაკლი შეყილაძე** ტრავმირებულია. „ემპოლი" 42 ქულით მეორე ადგილზეა.

### პირველი წითელი კარიერაში

პოლონეთში ჩემპიონატი „ლეგიას" ლეგიონერ **ლადო დვალიშვილისთვის** ყველაზე ცუდად განახლდა: ახალი მწვრთნელის თავკაცობით, პირველივე მატჩში ჩვენებური 0:0-ზე გააძევეს განზრახ უხეშობისთვის. „კორონასთან" მატჩის 53-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა ლადომ მეტოქეს ჩაარტყა, იმანაც ეს ყველაფერი უმაღლეს დონეზე გააფორმა. ჩემპიონატის ლიდერი სიტუაციიდან მაინც „გამოძვრა", 1:0 მოიგო.

„კორონას" ფეხბურთელი **პაველ გოლანსკი** ამტკიცებს, რომ ლადომ მას დაარტყა და სამართლიანად გააძევეს. თუმცა სხვა აზრისაა **ჰენინგ ბერგი**. „ლეგიას" ნორვეგიელი თავკაცი მიიჩნევს, რომ გოლანსკიმ გააფორმა და ლადო გაძევებას არ იმსახურებდა. წესით, ჩვენებურს ორი მატჩის გამოტოვება მოუწევს. აღსანიშნავია, რომ ლადოს პროფესიულ კარიერაში ეს გაძევება პირველი იყო.

„იაგელონია" „რუხს" ესტუმრა (0:1), სტუმართა რიგებში სათადარიგო იყო **გიორგი ფოფხაძე, ნიკა ძალამიძე** კი ჯერ არ არის მზად სათამაშოდ.

### კაშია: უკმაყოფილო ვარ

არნემის „ვიტესი" ხელიდან წავიდა - „ტვენტესთან" მარცხით (0:2) ქართველთა გუნდმა ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია გაიფორმა და საჩემპიონო ამბიციები დაიცხრო. უშუალო კონკურენტთან თამაშში ჩვენებურთაგან მხოლოდ კაპიტანი **გურამ კაშია** ვიხილეთ, **ვაკო ყაზაიშვილი** სათადარიგო იყო, ხოლო **გიორგი ჭანტურია** ცალი ფეხით სხვა გუნდშია.

*„ძალიან გულდასაწყვეტი მარცხია, ჩვენი მეტოქე მეტად სოლიდურად და კომპაქტურად გამოიყურებოდა, რამაც საქმე გაგვირთულა. ნახევარდაცვას ბურთი თითქმის არ ჰქონდა, საკუთარი თამაშითაც ძალიან უკმაყოფილო ვარ"*, - განაცხადა კაშიამ მატჩის მერე.

### ქართული დუელი ცხადაძემ მოიგო

აზერბაიჯანში ქართველ მწვრთნელთა დუელი შედგა - ზაქათალაში **გიორგი ჩიხრაძის „სიმურგი" კახა ცხადაძის** „ინტერთან" 0:1 დამარცხდა. ცხადაძემ ძირითადში **ლაშა სალუქვაძე, ალექსანდრე იაშვილი** და **ბაჩანა ცხადაძე** ათამაშა. გამარჯვების გოლი იაშვილის შემცვლელმა **მადრიგალმა** გაიტანა, **გიორგი ლომაია** სათადარიგო იყო.

*„გაშვებული ბურთი მთლიანად ჩვენი ბრალი იყო. სამწუხაროა, რომ ქულებს ვკარგავთ, მაგრამ მომდევნო ტურებში შევეცდებით დანაკლისი ავინაზღაუროთ"*, - განაცხადა ჩიხრაძემ თამაშის შემდეგ. *„აქ თამაშები მუდამ დაძაბულია. მართალია, მოვიგეთ, მაგრამ ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. არ გამოგვდიოდა ბოლო პასი. ახლა წინ სამი მნიშვნელოვანი მატჩია, რომელთა შედეგებზეც არის დამოკიდებული „ინტერის" ამბიცია სამეულში შესვლაზე"*, - ეს უკვე კახა ცხადაძის სიტყვებია.

ჩემპიონატში 4-ქულიანი უპირატესობით გაიქცა წინ ქართველთა „ყარაბაღი", რომელმაც აზალ-ს 2:1 მოუგო. გამოჯანმრთელებული **ნიკოლოზ გელაშვილი** და **ჯაბა დვალი** სათადარიგოები იყვნენ, დვალს ბოლოს თამაშიც მოუწია. აზალ-ის რიგებში ითამაშა **ლაშა კასრაძემ**.

### არველაძის მორიგი მარცხი

თურქულ სუპერლიგაში, როგორც იქნა, მოიგო „ქაისერიმ". **ზურაბ ხიზანიშვილის** გუნდმა „გენჩლერბირლიგი" 1:0 დაამარცხა. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. პირველ ტაიმში მან ყვითელი ბარათი მიიღო. „ქაისერი" 16 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. ამ კლუბს 8 ტური გამარჯვება არ ჰქონდა ჩემპიონატში.

**შოთა არველაძის** „ქასიმფაშა" კვლავ დამარცხდა, ამჯერად სტუმრად „ფენერბაჰჩესთან" - 1:2. ქართველი სპეციალისტის გუნდმა მეორე ტაიმში 10 კაცით გაიბრძოლა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია.

ხორვატიაში სპლიტის „ჰაიდუკი" კვლავ ტრავმირებული **გიორგი ილურიძის** გარეშე გადის ფონს, ქართველის გუნდმა 2:1 მოუგო „დრაგოვოლიაცს". „ჰაიდუკი" 44 ქულით მეორე ადგილზეა და ხუთი ქულით ჩამორჩება ზაგრების „დინამოს", რომელსაც ერთი მატჩი რეზერვში აქვს.

„ანორთოსისს" ცუდი დროება უდგას, **შოთა გრიგალაშვილის** გუნდმა შინ აელ-თან წააგო 0:2. ჩვენებური 79-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე. **ლევან მაღრაძის** „ერმისმა" ლარნაკას აეკ-ს უმასპინძლა და 2:1 მოუგო. ქართველი ვეტერანი სათადარიგო იყო.

ფინეთის ლიგის თასზე ტურკუს „ინტერმა" 2:1 მოუგო „მარიეჰამნს", **ირაკლი სირბილაძის** (90 წუთი) გუნდი ჯგუფში 9 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

### საკონტროლო მატჩები

უკრაინულმა „დნიპრომ" ესპანური შეკრება ორი მატჩით დაასრულა, ჯერ რუსული ცსკა დაამარცხა - 1:0, შემდეგ რუმინული „კლუჟი" - 2:1. რუსებთან მატჩში შეუცვლელად ითამაშა **ჯაბა კანკავამ** (გააფრთხილეს), მეორე ტაიმში კი **უჩა ლობჟანიძეც** ვიხილეთ. რუმინელებთან კანკავამ დაისვენა, ლობჟანიძემ სრულად ითამაშა, ხოლო **სანდრო კობახიძემ** მეორე ნახევარი. 71-ე წუთზე სანდრომ გამარჯვების გოლი გაიტანა - კუთხურიდან ჩამოწოდებული ლობჟანიძემ თავით დაუგდო კობახიძეს, რომელმაც ახლო მანძილიდან გაიტანა.

■ ■ ■

**ალექსანდრე ამისულაშვილის** „კრილია სოვეტოვმა" 0:0 ითამაშა უკრაინულ „ვოლინთან". თურქულ შეხვედრაში ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა.

■ ■ ■

ნალჩიკის „სპარტაკმა" თურქული შეკრება „რუჟომბეროკის" დამარცხებით დაასრულა - 2:0. მეორე გოლი ახალგაზრდა ფორვარდ **ნიკა ჩხაპელიას** ანგარიშზეა. ჩხაპელიამ შესვენებაზე **გუჯა რუხაია** შეცვალა, **გიორგი ჯიქიამ** სრულად ითამაშა, ხოლო **დავით სირაძემ** - მეორე ტაიმი.

■ ■ ■

უკრაინულმა „ზორიამ" მაკედონიურ „ჰორიზონტს" 3:1 მოუგო. გამარჯვებულთა რიგებში მე-60 წუთზე გამოჩნდა **ჯაბა ლიპარტია.**

■ ■ ■

დანიურმა „ორჰუსმა" საკონტროლო მატჩში 2:1 მოუგო „ზესტაფონს". დანიელთა მეორე გოლი 51-ე წუთზე **დავით დევდარიანმა** გაიტანა. **დავით სხირტლაძემ** ცენტრფორვარდის პოზიციაზე ითამაშა, დევდარიანმა მარჯვენა ნახევარმცველად, **მათე ვაწაძე** ტრავმირებულია. ეს იყო „ორჰუსის" უკანასკნელი რეპეტიცია ჩემპიონატის განახლების წინ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ლადო დვალიშვილი (მარჯვნივ) გააძევეს


გურამ კაშიას ვიტესი კრიზისშია

ინგლისი. ასოციაციის თასი. V ეტაპი




ნამიც და, სტევან იოვეტიჩი ანგარიშს გახსნის

# ვენდეტა 12 დღის თავზე

**ანდერლენდი-საუთჰემპტონი 1:0**

**გოლი:** 1:0 გარდნერი (49)

**სანდერლენდი:** უსტარი, ჩელუსტკა, ვერჟინი, ოში, დოსენა (76. ალონსო), კატერმოული, გარდნერი (82. კოლბეკი), ჯაკერინი, სკლოო (68. უიკჰემი), ბორინი

**საუთჰემპტონი:** კ. Dევისი, კლაინი, იოშიდა, ჰოიველდი, შოუ, ს. დევისი, ვანიამა, ვორდპრაუსი (61. შნაიდერლინი), დო პრადო (61. როდრიგესი), ლალანა (81. მაკუინი), ლამბერტი

**კარდიფი-უიგანი 1:2**

**გოლები:** 0:1 მაკანი (18), 1:1 კემპბელი (27), 1:2 უოტსონი (40)

**კარდიფი:** მარშალი, ტეოფილ-კეტრინი, კოლკერი, კალა, ტეილორი, მედელი (46. კოუი), ეიკრემი (77. კიმი), დელი, ბერგეტი (60. ნუნი), ზაჰა, კემპბელი

**სიტი-ჩელსი 2:0**

**გოლები:** 1:0 იოვეტიჩი (16), 2:0 ნასრი (67)

**სიტი:** პანტილიმონი, საბალეტა, კომპანი, ლესკოტი, კლიში, მილნერი, ხ. გარსია, ი. ტურე, დ. სილვა (69. ნავასი), ჯეკო (81. ნეგრედო), იოვეტიჩი (61. ნასრი)

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, კეჰილი, ლუისი, ასპილიკუეტა, მიკელი, მატიჩი, რამირესი (61. ტორესი), ვილიანი (71. ოსკარი), აზარი, ეტოო (46. სალაჰი)

**ევერტონი-სუონსი 3:1**

**გოლები:** 1:0 ტრაორე (5), 1:1 დე გუზმანი (16), 2:1 ნეისმიტი (65), 3:1 ბეინსი (72-პენ)

**ევერტონი:** რობლესი, კოულმენი, ჯაგიელკა, დისტენი, ბეინსი, ბერი, მაკარტი, პიენაარი, ბერკლი (61. ოსმანი), მირალიაში (67. დელოფეუ), ტრაორე (61. ნეისმიტი)

**სუონსი:** ტრემელი, ნ. ტეილორი, ამატი, ბარტლი (31. უილიამსი), დე გუზმანი, რუტლეჯი (46. დაიერი), ერნანდესი, რიჩარდსი, კანიასი, ლამა (69. ლიტა), ვასკესი

**შეფილდ იუნ-ნოტინგემი 3:1**

**გოლები:** 0:1 პატერსონი (28), 1:1 კოადი (66), 2:1 პორტერი (90), 3:1 პორტერი (90+2)

**არსენალი-ლივერპული 2:1**

**გოლები:** 1:0 ოქსლეიდ-ჩემბერლენი (16), 2:0 პოდოლსკი (47), 2:1 ჯერარდი (60-პენ)

**არსენალი:** ფაბიანსკი, ჯენკინსონი, კოშელნი, მერტეზაკერი, მონრეალი, არტეტა, ფლამინი, პოდოლსკი (68. კასორლა), იოზილი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (76. გიბსი), სანოგო (88. ჟირუ)

**ლივერპული:** ჯონსი, ფლენაგანი, შკრტელი, აგერი, სისოკო (62. ჰენდერსონი), ჯერარდი, ალენი, კოუტინიო, სტერლინგი, სუარესი, სტარიჯი

**შეფილდ უენ-ჩარლტონი გადაიდო**

**17 თებერვალი**

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-ჰალი | 23:45 |

მომდევნო ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან: **არსენალი-ევერტონი, მანჩესტერ სიტი-უიგანი, ბრაიტონი/ჰალი-სანდერლენდი, შეფილდ იუნაიტედი-შეფილდ უენ/ჩარლტონი**

ასოციაციის თასის მე-5 ეტაპზე უკანასკნელი 5 გათამაშების გამარჯვებულები შემორჩენილები იყვნენ. 2011 წელს თასი „სიტიმ" მოიგო, 2012-ში (ისევე როგორც იქამდე 2008 და 2009 წლებში) „ჩელსიმ", შარშან კი ტრიუმფატორი „უიგანი" გახდა. წილისყრამ პირველი ორი ერთმანეთს შეახვედრა. საქმე მხოლოდ მიმდინარე ტურნირის ორი მთავარი ფავორიტის დაპირისპირებაში არ იყო. ეს წყვილი ამავე სტადიონზე ერთმანეთს პრემიერლიგაში 12 დღის წინ შეხვდა. სტუმარმა მაშინ იდეალური ფეხბურთი ითამაშა და „ქალაქელებს" „ეტიჰადზე" ნაუგებელი სერია და საშინაო შეხვედრებში ზედიზედ გატანილი გოლების სერიები შეაწყვეტინა. და აი, სულ რამდენიმე დღის შემდეგ **მანუელ პელეგრინის** რევანშის შანსი მიეცა და მან ეს გამოიყენა კიდეც. არ ვამბობთ, რომ ინგლისის თასისა და ჩემპიონატის შეხვედრების თანაზომადობა დათვლადია, თუმცა „სიტისთვის" ეს მაინც შეიძლება გარკვეულ ფსიქოლოგიურ კომპენსაციად იქცეს.

დაპირისპირება გარკვეულწილად გააუფერულა **ჟოზე მოურინიოს** უცნაურმა დამოკიდებულებამ თამაშისადმი. პორტუგალიელს ცოტა დააკლდა, რომ შეხვედრის დაწყებამდე გამოეცხადებინა კაპიტულაცია. მწვრთნელის თქმით, ის არ ინერვიულებდა თასის გათამაშებაში ნაჩვენები შედეგის გამო. „განსაკუთრებულმა კაცმა" მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი შეგირდების გმირობას ჩემპიონატში და დასძინა, რომ კონკრეტულ თამაშში გასაანალიზებელს ვერაფერს ხედავს.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, მწვრთნელებმა ტურნირს პატივი სცეს და მოედანზე იდეალური თუ არა, საკმაოდ ძლიერი შემადგენლობები გამოიყვანეს. პრემიერლიგის შეხვედრისგან განსხვავებით, „სიტი" მთელ თამაშს აკონტროლებდა. სტუმარმა მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი საგოლე მომენტები შექმნა, თუ ასეთად საერთოდ შეიძლება მივიჩნიოთ **ვილიანის** დარტყმა პირველი ტაიმის მიწურულს, რომელიც კარს 8-9 მეტრით ასცდა. **სტევან იოვეტიჩმა** ანგარიში **ედინ ჯეკოს** პასის შემდეგ გახსნა. ჩერნოგორიელი მეკარესთან პირისპირ გავიდა და შორეულ კუთხეში დაურტყა. მეორედ **ჩეხის** ციხე-სიმაგრე შესვენების შემდეგ დაეცა. შეცვლაზე შესულმა **სამირ ნასრიმ დავიდ სილვასთან** ელემენტარული კომბინაცია გაითამაშა, რომელსაც ლონდონელთა უკანახაზელებმა მხოლოდ თვალი გააყოლეს, და ცარიელ კარში შეაგორა. ობიექტურები ვიქნებით და ვიტყვით, რომ სილვა პასის მომენტში **დავიდ ლუისზე** ოდნავ წინ იმყოფებოდა. შესაბამისად, გოლი არ უნდა ჩათვლილიყო. სამაგიეროდ, **ფილ დაუდი** ალარ შემცდარა, როცა იმავე მიზეზის გამო **ჟოლეონ ლესკოტს** დამატებაზე გატანილი ბურთი არ ჩაუთვალა.

## ფინალის გმირი ისევ ფორმაშია

შარშან ასოციაციის თასის ფინალში „სიტის" მარცხი „უიგანთან" სენსაციად შეირაცხა. ტურნირის მთავარი გმირი 28 წლის **ბენ უოტსონი** გახდა, ვინც შეხვედრის ბოლო წუთზე „ათლეტების" ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფურცელი ჩაწერა. კუთხურის გათამაშების შემდეგ მან ახლო მანძილიდან თავურით დააშამათა **რობერტო მანჩინის** გუნდი. როგორც ჩანს, უოტსონისთვის თასის თამაშები განსაკუთრებულ მოტივაციას წარმოადგენს. ცენტრალურმა ნახევარმცველმა ამჯერადაც გამოიჩინა თავი. მან საჯარიმოს გათამაშების შემდეგ 27-28 მეტრიდან პირდაპირ კარში დასცხო. პრემიერლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარე **დევიდ მარშალმა** რეაქცია დააგვიანა.

„კარდიფ სიტი სტედიუმზე" გამართულ შეხვედრას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ თვალისმომჭრელ სანახაობას. მოედანზე უფრო მეტი ქაოსი იყო, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლებოდა წარმოგვედგინა. პირველი ორი გოლიც სწორედ მსგავს სიტუაციებში გავიდა.

**ჰოლანდია**

**ერედივიზიე. XXIV ტური**

**ეინდჰოვენი-ჰერაკლესი 2:1**

**ეინდჰოვენი:** ზუტი, არიასი, ბრუმა, რეკიკი, ვილემსი, პარკი (88. ჰენდრიქსი), სხაარსი, პილემარკი, რუისი, ლოკადია (78. ნარსინხი), დეპაი (90+2. იოზეფზონი)

**გოლები:** 1:0 დეპაი (5), 1:1 ლინსენი (42), 2:1 რუისი (63)

**ტვენტე-ვიტესი 2:0**

**გოლები:** 1:0 კასტაინოსი (55), 2:0 ტადიჩი (78)

**გაძევება:** - ვან აანჰოლტი (60)

**ვაალვაიკი-ნაიმეგენი 1:3**

**გოლები:** 0:1 კასტელენი (6), 1:1 ფოორი (25), 2:1 ნილსენი (39), 3:1 პიგდონი (71)

**როდა-დენ ჰააგი 0:1**

**გოლი:** 0:1 შეტი (53)

**ალკმაარი-უტრეხტი 1:1**

**გოლები:** 1:0 ჯოჰანსონი (21), 1:1 ტოონსტრა (55)

**კამბუური-ზვოლე 3:1**

**გოლები:** 1:0 რიტცმაიერი (9), 2:0 ბარტო (40), 3:0 ბარტო (51), 3:1 კლიხი (78)

**გრონინგენი-იგლზი 1:0**

**გოლი:** 1:0 შერი (3)

**ბრედა-ფეიენოორდი 1:1**

**გოლები:** 0:1 იანმაატი (5), 1:1 პუპონი (37-პენ)

**გაძევება:** პერიცა (84) -

**აიაქსი-ჰეერენვეენი 3:0**

**გოლები:** 1:0 შიონე (12-პენ), 2:0 შიონე (18-პენ), 3:0 შიონე (82)

**აიაქსი:** სილესენი, მოისანდერი, ბლინდი, ველტმანი, ვან რაინი, ბოილესენი (46. პოულსენი), შიონე, დე იონგი (72. სიგტორსონი), სერერო (58. დუარტე), კლაასენი, ფიშერი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 24 | 15 | 6 | 3 | 50-20 | 51 |
| 2. ტვენტე | 24 | 13 | 8 | 3 | 54-24 | 47 |
| 3. ფეიენოორდი | 24 | 13 | 5 | 6 | 52-33 | 44 |
| 4. ვიტესი | 24 | 12 | 7 | 5 | 46-31 | 43 |
| 5. ეინდჰოვენი | 24 | 11 | 5 | 8 | 43-32 | 38 |
| 6. ჰეერენვეენი | 24 | 10 | 6 | 8 | 51-43 | 36 |
| 7. ალკმაარი | 24 | 10 | 4 | 10 | 38-37 | 34 |
| 8. ზვოლე | 24 | 8 | 8 | 8 | 35-33 | 32 |
| 9. გრონინგენი | 24 | 8 | 8 | 8 | 41-41 | 32 |
| 10. ბრედა | 24 | 8 | 6 | 10 | 36-40 | 30 |
| 11. ჰერაკლესი | 24 | 8 | 5 | 11 | 34-40 | 29 |
| 12. იგლსი | 24 | 7 | 7 | 10 | 34-49 | 28 |
| 13. ვაალვაიკი | 24 | 6 | 8 | 10 | 37-44 | 26 |
| 14. კამბუური | 24 | 7 | 5 | 12 | 27-34 | 26 |
| 15. უტრეხტი | 24 | 7 | 5 | 12 | 33-49 | 26 |
| 16. ნაიმეგენი | 24 | 5 | 9 | 10 | 39-59 | 24 |
| 17. დენ ჰააგი | 24 | 7 | 3 | 14 | 26-51 | 24 |
| 18. როდა | 24 | 5 | 7 | 12 | 35-51 | 22 |

**ბომბარდირები:** 21 - ალფრედ ფინბოგასონი (ჰეერენვეენი), 18 - გრაციანო პელე (ფეიენოორდი), 14 - არონ იოჰანსონი (ალკმაარი)

ფულჰემი

# მაგათის ახალი პერსპექტივა

## ენაჭარტალა ული ჰიონესი ისევ იკბინება

„ფულჰემის" ოფიციალურმა ვებგვერდმა **ფელიქს მაგათის** მთავარ მწვრთნელად დანიშვნის ამბავი პარასკევს საღამოს დაადასტურა. ეს იმ დროს, როცა მთელ გერმანიას გადაწყვეტილი ეგონა გაუბედურებულ „ჰამბურგში" „რკინის ფელიქსის" დაბრუნება. მხარეებმა 18-თვიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. 60 წლის გერმანელი პირველია თანამემამულეთა შორის, ვისაც პრემიერლიგაში მუშაობის საშუალება მიეცემა. ამასთან, მაგათისთვის ეს პირველი არაგერმანული კლუბია. ცხადია, მისი უმთავრესი (ალბათ ერთადერთიც) ამოცანა გუნდის პრემიერლიგაში დატოვებაა. ამისთვის მას მე-17 ადგილთან 4-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრა მოუწევს. აი, რას ამბობს თავად: *„მაშ ასე, ვიწყებთ მუშაობას. მიხარია, რომ ფეხბურთს ვუბრუნდები. „ფულჰემში" მოთამაშეებისა თუ მწვრთნელებისთვის იდეალური გარემოა შექმნილი. შაჰიდ ხანმა პირადად დამარწმუნა, რომ ღირდა ამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება"*. პირველი შეხვედრა, რომელშიც მაგათი გუნდს სათამაშოდ გაიყვანს, 22 თებერვალს, ვესტ ბრომვიჩის „ჰაუტორნსზე" შედგება. ფელიქსს გუნდში სამი ისეთი ფეხბურთელი დახვდა, ვისთანაც მას უკვე უმუშავია: მაგათი **ლუის ჰოლტბის** რამდენიმე თვის განმავლობაში „შალკეში" წვრთნიდა, **აშკან დეჟაგასა** და **საშა რიტერთან** ერთად კი მთელი ორი წელი მუშაობდა „ვოლფსბურგში", თანაც ისინი 2007 წელს „მგლებში" პირადად მიიყვანა.

*„მივესალმები ფელიქს მაგათს ჩვენს კლუბში. ის გამოცდილი მენეჯერია, რომელსაც არაერთი წარმატებისთვის მიუღწევია ბუნდესლიგაში და შეუძლია, თავისი გერმანული გამოცდილება აქაც გამოიყენოს. განსაკუთრებით მოხიბლული ვარ იმით, რომ მას სატურნირო თვალსაზრისით გაჭირვებული კლუბების გადამრჩენელის რეპუტაცია აქვს. მან იცის, თუ რამდენად რთული ამოცანა აკისრია, თუმცა მზად არის ამ გამოწვევისთვის,"* - განაცხადა „ფულჰემის" მესაკუთრე **შაჰიდ ხანმა**.

„ბაიერნის" პრეზიდენტ **ული ჰიონესს** ერთი უცნაური თვისება აქვს. მას ისეთ თემებზე ლაპარაკიც უყვარს, რომელზეც არავინ არაფერს ეკითხება. იმის ნაცვლად, რომ თანამემამულისთვის წარმატება ესურვებინა, მას ლანძღვა დაუწყო: *„ვიცოდი, რომ მაგათი სამწვრთნელო კარიერას გერმანიის ფარგლებს გარეთ განაგრძობდა, რადგან ჩვენს ქვეყანაში მას მომავალი აღარ აქვს. ფელიქსს შანსს მხოლოდ იმ ქვეყნებში თუ მისცემდნენ, სადაც ნაკლებად იცნობენ. მოთამაშეებთან ის ყოველგვარ ზღვარს სცდება. მაგათისთვის ნორმაა, როცა ფეხბურთელი გამოწურულ ლიმონს ემსგავსება. ის არ დაგიდევთ, რომ ამით სხვების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. გარკვეული პერიოდი შესაძლოა ამას შედეგი მოაქვს კიდეც, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი კატასტროფით მთავრდება. ამას იმ გუნდების ისტორიაც მოწმობს, სადაც მას უმუშავია"*.



ფელიქს მაგათი

**ამბები**



უეინ რუნი

## რუნის მეგაკონტრაქტი

ბრიტანული გაზეთებიდან პირველმა „სანმა" დაწერა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" 28 წლის **უეინ რუნისთან** 4-წლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. პოპულარული ტაბლოიდის შემდეგ ანალოგიური ინფორმაცია უკვე სხვებმაც გაავრცელეს. „ეშმაკებს" ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირის შენარჩუნება ძალიან ძვირი დაუჯდებათ. რუნი ნაცვლად 250 ათასისა, კვირაში 300 ათას ფუნტს მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „იუნაიტედს" მისი შენახვა ამ ხნის განმავლობაში 70 მილიონ ფუნტზე ცოტა მეტი დაუჯდება. გარდა ამისა, თავდამსხმელმა გარანტია მიიღო **დევიდ მოიესისგან**, რომ **ნემანია ვიდიჩის** წასვლის შემდეგ კაპიტნის სამკლავურს სწორედ ის გადაიბარებს.

## პარდიუს წყალი შეუდგა

„ნიუკასლის" 52 წლის დამრიგებელ **ალან პარდიუს** შესაძლოა, 23 თებერვალს „ასტონ ვილასთან" მატჩის შემდგომ კარისკენ მიუთითონ. ამაში პრინციპში გასაკვირი არაფერი იქნება, რადგან „კაჭკაჭებმა" ბოლო 9 მატჩიდან 7 დათმეს, აქედან 3 ზედიზედ და თანაც დიდი ანგარიშებით. თუკი ტაინსაიდელები გამარჯვებას ამჯერადაც ვერ შეძლებენ, მწვრთნელს ჩემოდნების ჩალაგება მოუწევს. გეტყვით, რომ პარდიუს კლუბთან ხელშეკრულება 2020 წლამდე აკავშირებს. **მაიკ ეშლისთვის** თავის დროზე ის ახალი სერ **ალექს ფერგიუსონი** იყო, თუმცა, როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა მასაც აევსო.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისის თასი

### 1/8 ფინალი

სანდერლენდი-საუთჰემპტონი 1:0
კარდიფი-უიგანი 1:2
უენსდი-ჩარლტონი გადაიდო
მანჩესტერ სიტი-ჩელსი 2:0
ევერტონი-სუონსი 3:1
შეფილდი-ნოტინგემი 3:1
არსენალი-ლივერპული 2:1
ბრაიტონი-ჰალი დღეს

## ინგლისი

### ჩემპიონშიპი

XXXI ტური
ბორნმუთი-ბარნსლი 1:1
ბირმინგემი-ჰადერსფილდი 1:2
დონკასტერი-ბარნსლი 2:2
იფსვიჩი-ბლეკპული 0:0
მილუოლი-ბოლტონი 1:1
უოტფორდი-მიდლსბრო 1:0
ქუინზ პარკი-რედინგი 1:3

### I ლიგა

XXXII ტური
შრიუსბერი-პორტ ვეილი 0:0
ბრისტოლი-ტრანმერი 2:2
ქრიუ-ბრენტფორდი 1:3
მილტონი-ოლდემი 2:1
პრესტონი-ლეიტონი 1:1
როტერჰემი-სტივენიჯი 2:1
ვულვზი-ნოტსი 2:0

### II ლიგა

XXXII ტური
ბარტონი-დაგენემი 1:1
ჩელტენჰემი-ტორკი 3:1
ფლიტვუდი-ნორთჰემპტონი 2:0
ჰარტლპული-ნიუპორტი 3:0
ოქსფორდი-მენსფილდი 3:0
პლიმუტი-იორკი 0:4
პორტსმუტი-უიმბლდონი 1:0
როჩდეილი-მორკამბი 2:1
საუთენდი-ექსეტერი 2:3

### კონფერენცია

XXXIV ტური
ბარნეტი-ტამუორტი 1:0
გეიტსჰედი-უოკინგი 0:2
ლინკოლნი-კიდერმინსტერი 2:0
ლუტონი-ჰერეფორდი 7:0
ნანიტონი-ჰაიდი 1:0
საუთპორტი-სალისბერი 3:1

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXI ტური
ჰამბურგი II-სტ. პაული II 0:2
ჰანოვერი II-გოსლარერი 2:5
ჰაველსე-აიხედი 2:1
ვიქტორია-ოლდენბურგი 1:1
ვოლფსბურგი II-რედენი 8:1
კლოპენბურგი-მეპენი 3:3
ვილჰელმსჰავენი-ანდრასხი (ნ) 0:0

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

გადადებული მატჩები
ბერლინერი-ვიქტორია 2:4
ლოკომოტივი-ჰერთა II 0:1

### რეგიონალლიგა (დას)

XXIII ტური
კინაღამ ჩაიშალა „ვილიარეალის“ და „სელტას“ შეხვედრა, რომელიც 25 წუთის განმავლობაში შეწყვეტილი იყო. მატჩის ბოლო წუთებზე, როდესაც სტუმრები 1:0-ს იგებდნენ, მასპინძელთა მავანმა ქომაგმა მოედანზე ცრემლსადენი გაზის კოლოფი ისროლა. სტადიონი და მისი ტრიბუნები კვამლმა მოიცვა, აცრემლებულმა გულშემატკივრებმა „ელ მადრიგალი“ დატოვეს, არბიტრმა კი მატჩი შეწყვიტა. შეხვედრა 25 წუთის შემდეგ განახლდა და მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო სულ რამდენიმე წუთი იყო, გალისიელებმა მასპინძელთა კარში მეორე გოლის გატანა მაინც მოასწრეს. „სელტამ“ 2:0 მოიგო და სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილამდე აღზევდა.

„ვილიარეალის“ ნაგებით ვერ ისარგებლა ბილბაოს „ატლეტიკმა“, რომელმაც „სან მამეს ბარიაზე“ პირველი მარცხი განიცადა. ბასკების მეტოქე ის „ესპანიოლი“ იყო, რომელსაც ბოლო წლებში „ატლეტიკი“ ვერაფრით უგებს. ეს უღიმღამო ტრადიცია ამჯერადაც გაგრძელდა და „ესპანიოლმა“ „ბილბაოს“ ბოლო 7 შეხვედრაში მეხუთედ მოუგო (კიდევ ორი მატჩი ფრედ დასრულდა). **ხავიერ აგირეს** გუნდის მხრიდან გოლები **სერხიო გარსიამ** და **დიეგო კოლოტომ** გაიტანეს, მასპინძელთაგან კი თავი ვეტერანმა **კარლოს გურპეგიმ** გამოიჩინა. აღსანიშნავია, რომ სერხიო გარსიამ სეზონში თავისი მე-10 ბურთი გაიტანა და პირადი რეკორდი დაამყარა.

„სევილია“-„ვალენსიას“ უგოლოდ დასრულებული მატჩის გმირი კი არბიტრი **ალფონსო ალვარეს ისკიერდო** გახდა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა - ევროპის წამყვანი ჩემპიონატებიდან, ყველაზე სუსტი არბიტრები ესპანეთის ჩემპიონატს ჰყავს. მსაჯმა სტუმართა კარში ძალიან საეჭვო პენალტი დანიშნა, რომელიც **ივან რაკიტიჩმა** ვერ გამოიყენა, მოგვიანებით კი მარცხნივ და მარჯვნივ ყვითელი ბარათების დარიგება დაიწყო. მატჩის უკანასკნელ წუთზე, **ჟერემი მატიომ** საჯარიმოში **დენის ჩერიშევი** წააქცია, მაგრამ ისკიერდომ მეორე პენალტის დანიშვნა ვერ გარისკა და რუს ფეხბურთელს სიმულაციისთვის მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა. ზოგადად, „სევილია“ ძალიან დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ანდალუსიელებმა უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს და მოუგებელი სერია ექვსამდე გაზარდეს.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

## პორტუგალია

### პრიმეირა ლიგა. XIX ტური

**სპორტინგი-ოლიანენსე 1:0**

გოლი: 1:0 კარლოს მანე (14)

**სპორტინგი (4-3-3):** რუი პატრისიო - სედრიკი, მაურისიო, როხო, ჯეფერსონი - ადრიენ სილვა, ანდრე მარტინში (89. სლიმანი), ვილიამი - კარლოს მანე (66. ვილსონ ედუარდო), ფ. მონტერო, ელდონი (76. ა. კარილიო)

**მარიტიმო-სეტუბალი 1:0**

გოლი: 1:0 ნუნუ რიჩა (68)

**არუკა-ნასიონალი 1:1**

გოლები: 1:0 კლარო (12), 1:1 ფერნანდო მარსალი (31)

**გიმარაეში-რიო ავე 1:0**

გოლი: 1:0 ხ. ბარიენტოსი (9)

**პ. ფერეირა-ბენფიკა 0:2**

გოლები: 0:1 გარაი (54), 0:2 ლ. მარკოვიჩი (68)

**ბენფიკა (4-3-3):** ობლაკი - მაქსი პერეირა, ლუიზაო, გარაი, სიკეირა - ფეისა, რუბენ ამორიმი (88. ანდრე გომეში), გაიტანი (61. სულეიმანი) - როდრიგო, ლ. მარკოვიჩი, ლიმა (84. ჯურიჩიჩი)

**ჟილ ვისენტე-პორტუ 1:2**

გოლები: 0:1 ვარელა (18), 0:2 ვარელა (53), 1:2 უგო ვიეირა (55)

**პორტუ (4-3-3):** ელტონი - დანილო, მანგალა, ა. ბა, ალექს სანდრო - ფერნანდო, ე. ერერა, ქოსუე (90. აგუ) - კვარეშმა (69. ლიკა), ჯ. მარტინესი, ვარელა (88. გილასი)

**ბელენენსეში-აკადემიკა 0:0**

### 17 თებერვალი

**ეშტორილი-ბრაგა 00:00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 19 | 14 | 4 | 1 | 36-13 | 46 |
| 2. პორტუ | 19 | 13 | 3 | 3 | 37-13 | 42 |
| 3. სპორტინგი | 19 | 12 | 5 | 2 | 36-12 | 41 |
| 4. ნასიონალი | 19 | 8 | 8 | 3 | 28-19 | 32 |
| 5. ეშტორილი | 18 | 8 | 6 | 4 | 27-19 | 30 |
| 6. გიმარაეში | 19 | 9 | 2 | 8 | 21-18 | 29 |
| 7. ბრაგა | 18 | 8 | 2 | 8 | 26-21 | 26 |
| 8. მარიტიმო | 19 | 6 | 6 | 7 | 27-31 | 24 |
| 9. აკადემიკა | 19 | 6 | 5 | 8 | 12-21 | 23 |
| 10. რიო ავე | 19 | 6 | 4 | 9 | 14-20 | 22 |
| 11. სეტუბალი | 19 | 6 | 4 | 9 | 22-31 | 22 |
| 12. ჟილ ვისენტე | 19 | 5 | 4 | 10 | 16-28 | 19 |
| 13. არუკა | 19 | 4 | 6 | 9 | 17-24 | 18 |
| 14. ბელენენსეში | 19 | 3 | 7 | 9 | 11-22 | 16 |
| 15. პ. ფერეირა | 19 | 3 | 4 | 12 | 16-36 | 13 |
| 16. ოლიანენსე | 19 | 3 | 4 | 12 | 12-30 | 13 |

**ბომბარდირები:** 14 - ჯ. მარტინესი (პორტუ); 13 - ფ. მონტერო (სპორტინგი); 10 - დერლეი (მარიტიმო); 9 - ელდონი (მარიტიმო/სპორტინგი)

**ელჩე-ოსასუნა 0:0**

**ელჩე (4-2-3-1):** ტონიო (76. მანუ ერერა) - დ. სუარესი, ბოტია, ლომბანი, სისმა - რუბენ პერესი, კ. სანჩესი - ფიდელი (68. აარონ ნიგესი), კორომინასი, მანუ დელ მორალი - კრისტიან ერერა (84. ბოაკი)

**ოსასუნა (4-2-3-1):** ანდრეს ფერნანდესი - მარკ ბერტრანი, ლოტიე, არიბასი, დამია - ლოლო (74. ლოე), ფ. სილვა - სეხუდო (86. ნინო), რობერტო ტორესი, ე. არმენტეროსი (68. ლობატო) - ორიოლ რიერა

**გამოუყენებელი პენალტი:** კორომინასი (61. ელჩე)

**გაფრთხილება:** კორომინასი, დ. სუარესი, კ. სანჩესი - ლოტიე, დამია, ლოლო

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 12-8 (2-3); **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 21 752

**ატლეტიკო-ვალიადოლიდი 3:0**

**გოლები:** 1:0 რაულ გარსია (3), 2:0 დიეგო კოშტა (4), 3:0 გოდინი (74)

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, ალდერვეირელდი, გოდინი, ე. ინსუა - კოკე (79. ხ. სოსა), მარიო სუარესი, გაბი, არდა თურანი (76. ვილია) - რაულ გარსია (64. დიეგო), დიეგო კოშტა

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დიეგო მარინიო - რუკავინა, მარკ ვალიენტე, ს. მიტროვიჩი, პენია - ფ. როსი, ა. რუბიო - დ. ლარსონი (72. რამა), ვიქტორ პერესი, ომარ რამოსი (46. ოსორიო) - ხავი გერა (79. მანუჩო)

**გაფრთხილება:** - ვიქტორ პერესი, პენია, ს. მიტროვიჩი

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 13-4 (5-0); **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 39 600

**ლევანტე-ალმერია 1:0**

**გოლი:** 1:0 ბარალი (62)

**ლევანტე (4-4-2):** კ. ნავასი - პედრო ლოპესი, ვიქტორ როდასი, დ. ნავარო, ხუანფრანი - ელ ზარი (77. ნაგორე), პ. დიოპი, სიმაო მატეუსი, რუბენ გარსია - ბარალი (89. პალიარდო), ვიქტორი (58. ბ. დიავარა)

**ალმერია (4-3-2-1):** ესტებანი - რაფიტა, ტრუხილიო, ტორსილიერი, დუბარბიერი (79. ტებარი) - ვერსა, აზიზი (69. კორონა), ელდერ ბარბოსა (64. ოსკარ დიასი) - ალექს ვიდალი, სუსო - ზონგო

**გაფრთხილება:** დ. ნავარო - დუბარბიერი, აზიზი, ტრუხილიო, სუსო

**კუთხური:** 1-9; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 13-13 (3-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 15 538

**ბარსელონა-ვალეკანო 6:0**

**გოლები:** 1:0 ადრიანო (2), 2:0 მესი (36), 3:0 ა. სანჩესი (53), 4:0 პედრო (56), 5:0 მესი (68), 6:0 ნეიმარი (89)

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი (68. მასკერანო), ადრიანო - ფაბრეგასი, ბუსკეტსი, ინიესტა - ა. სანჩესი, მესი (74. ტელიო), პედრო (62. ნეიმარი)

**ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - არბილია (42. ტიტო), ზე კასტრო, საულ ნიგესი, მოხიკა - რაულ ბაენა, ტრაშორასი - რუბენ როჩინა, ბუენო (62. ხ. ვიერა), იაგო ფალკე - ლარივეი (73. ლონგო)

**გაფრთხილება:** არავინ

**კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 6-10; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 21-9 (10-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 74 517

**ვილიარეალი-სელტა 0:2**

**გოლები:** 0:1 ფ. ორელიანა (83), 0:2 ნოლიტო (90)

**ვილიარეალი (4-2-3-1):** ხუან კარლოსი - მარიო, დორადო (77. გაბრიელ პაულისტა), მუსაჩიო, იოკიჩი - პინა, ბრუნო - ჯოვანი დოს სანტოსი (77. ხ. პერეირა), ტრიგეროსი (73. ნ. ლეივა), მოისესი - პერბე

**სელტა (4-3-2-1):** იოელი - უგო მალიო, კაბრალი (46. ინიგო ლოპესი), აურტენეჩე, ჯონი კასტრო - ა. ფერნანდესი (70. ალექს ლოპესი), ფონტასი, კრონდელი (57. ნოლიტო) - რაფაელ ალკანტარა, ფ. ორელიანა - სანტი მინა

**გაფრთხილება:** იოკიჩი, მუსაჩიო - კაბრალი, აურტენეჩე, ა. ფერნანდესი, ნოლიტო

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 19-9 (5-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 14 195

**გრანადა-ბეტისი 1:0**

**გოლი:** 1:0 პიტი (31)

**გრანადა (4-3-2-1):** რობერტო - ნიომი, ტიაგო ილორი, მურილიო, ანგულო - რესიო, ფატაუ, ფრან რიკო - პიტი (60. დანი ბენიტესი), ბრაჰიმი (84. ფულკოე) - ელ-არაბი (82. რიკი)

**ბეტისი (5-3-2):** ადანი - ხუანფრანი, ამაია, ა. ნდიაიე, ხ. ფიგეროსი, ხუან კარლოსი (65. ლეო ბაპტისტაო) - ვერდუ (68. ნოსა იგიებორი), ლ. რეიესი (65. სალვა სევილია), ნონო - ხორხე მოლინა, რუბენ კასტრო

**გაფრთხილება:** ნიომი, პიტი, რობერტო, რიკი - ნონო, ამაია, ლეო ბაპტისტაო, ა. ნდიაიე

**გაძევება:** დანი ბენიტესი (79. გრანადა), ამაია (90. ბეტისი)

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 20-15; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 13-11 (4-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 20 000

**ხეტაფე-რეალი 0:3**

**გოლები:** 0:1 ხესე როდრიგესი (5), 0:2 ბენზემა (27), 0:3 მოდრიჩი (66)

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ხუან ვალერა, ლისანდრო ლოპესი, ალექსისი, კარლოსი - ბორხა (64. ლასენი), ხუან როდრიგესი - პედრო ლეონი (72. პ. სარაბია), დიეგო კასტრო, გავილანი - ა. კოლუნგა (52. ლაფიტა)

**რეალი (4-3-2-1):** დიეგო ლოპესი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - მოდრიჩი (80. ილიარამენდი), ჩაბი ალონსო, დი მარია (83. კაზემირო) - ბეილი, ხესე როდრიგესი - ბენზემა (74. ისკო)

**გაფრთხილება:** ხუან როდრიგესი, ალექსისი, ხუან ვალერა - ბეილი, ბენზემა, დი მარია, მოდრიჩი

**კუთხური:** 8-10; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 9-16 (1-7); **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 6 500

**ბილბაო-ესპანიოლი 1:2**

**გოლები:** 0:1 სერხიო გარსია (6), 1:1 გურპეგი (56), 1:2 კოლოტო (65)

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ლაპორტი (46. ერიკ მორანი), ბალენსიაგა - გურპეგი, მიკელ რიკო - სუსაეტა (75. მუნიაინი), ანდერ ერერა (67. დე მარკოსი), იბაი გომესი - ადურისი

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხავი ლოპესი, კოლოტო, ე. მორენო, ხუან ფუენტესი - ვიქტორ სანჩესი, დავიდ ლოპესი - სტუანი, აბრაამი (63. ალექსი), სიმაო (72. პიცი) - სერხიო გარსია (90. ჯ. კორდობა)

**გაფრთხილება:** ადურისი, ირაოლა, გურპეგი - დავიდ ლოპესი, კოლოტო

**გაძევება:** ადურისი (87. ბილბაო)

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 10-14 (3-7); **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 35 000

**სევილია-ვალენსია 0:0**

**გამოუყენებელი პენალტი:** რაკიტიჩი (63. სევილია)

**სევილია (4-2-3-1):** ბეტუ - კოკე, ფასიო, პარეხა (59. გამეირო), ა. მორენო - კარისო, იბორა (87. კრისტოფორო) - ხ. რეიესი (59. ჩერიშევი), რაკიტიჩი, ვიტოლო - ბაკა

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რ. კოშტა, მატიო, ბერნატი - ხავი ფუეგო, დანი პარეხო (82. ჟოაო პერეირა) - ფეგული, ე. ვარგასი, კარტაბია (54. სენდეროსი) - პაკო ალკასერი (70. ს. კეიტა)

**გაფრთხილება:** კოკე, ვიტოლო, ჩერიშევი - რ. კოშტა, ხავი ფუეგო, სენდეროსი, დანი პარეხო, ე. ვარგასი, დიეგო ალვეში

**გაძევება:** რ. კოშტა (50. ვალენსია), ჩერიშევი (90. სევილია)

**კუთხური:** 14-1; **ჯარიმა:** 22-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 17-9 (2-0); **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 40 000

### 17 თებერვალი

**მალაგა-სოსიედადი 01:00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 24 | 19 | 3 | 2 | 69-17 | 60 |
| 2. რეალი | 24 | 19 | 3 | 2 | 68-24 | 60 |
| 3. ატლეტიკო | 24 | 19 | 3 | 2 | 59-16 | 60 |
| 4. ბილბაო | 24 | 13 | 5 | 6 | 43-30 | 44 |
| 5. ვილიარეალი | 24 | 12 | 4 | 8 | 44-29 | 40 |
| 6. სოსიედადი | 23 | 10 | 7 | 6 | 42-34 | 37 |
| 7. სევილია | 24 | 8 | 8 | 8 | 42-41 | 32 |
| 8. ვალენსია | 24 | 9 | 5 | 10 | 36-35 | 32 |
| 9. ესპანიოლი | 24 | 9 | 5 | 10 | 28-30 | 32 |
| 10. ლევანტე | 24 | 8 | 8 | 8 | 23-30 | 32 |
| 11. სელტა | 24 | 8 | 5 | 11 | 31-35 | 29 |
| 12. გრანადა | 24 | 8 | 3 | 13 | 21-30 | 27 |
| 13. ელჩე | 24 | 6 | 8 | 10 | 22-34 | 26 |
| 14. ოსასუნა | 24 | 7 | 5 | 12 | 21-37 | 26 |
| 15. ხეტაფე | 24 | 7 | 4 | 13 | 22-39 | 25 |
| 16. ალმერია | 24 | 7 | 4 | 13 | 24-42 | 25 |
| 17. მალაგა | 23 | 6 | 6 | 11 | 23-33 | 24 |
| 18. ვალიადოლიდი | 24 | 4 | 9 | 11 | 26-42 | 21 |
| 19. ვალეკანო | 24 | 6 | 2 | 16 | 25-58 | 20 |
| 20. ბეტისი | 24 | 3 | 5 | 16 | 20-53 | 14 |

**ბომბარდირები:** 22 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 15 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 14 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 13 - ლიონელ მესი (ბარსელონა), პედრო (ბარსელონა); 12 - იკეჩუკვუ უჩე (ვილიარეალი)

### მომდევნო ტური

21 თებერვალი: ვალიადოლიდი-ლევანტე

22 თებერვალი: რეალი-ელჩე, სელტა-ხეტაფე, სოსიედადი-ბარსელონა, ალმერია-მალაგა

23 თებერვალი: რაიო ვალეკანო-სევილია, ბეტისი-ბილბაო, ვალენსია-გრანადა, ოსასუნა-ატლეტიკო

24 თებერვალი: ესპანიოლი-ვილიარეალი

### სეგუნდა დივიზიონი. XXVI ტური

**ტენერიფე-სარაგოსა 1:1**

გოლები: 1:0 ხუანხო ექსპოსიტო (22), 1:1 სესარ არსო (84)

**რეალი B-ბარსელონა B 3:1**

**გოლები:** 0:1 დენის სუარესი (35), 1:1 ბურგუი (37), 2:1 აგუსა (43), 3:1 ომარ მოსკარელი (58-პენ)

**გაძევება:** აგუსა (83. რეალი B), ხოსე როდრიგესი (88. რეალი B)

**ეიბარი-საბადელი 1:0**

გოლი: 1:0 მიკელ არუაბარენა (58-პენ)

**მალიორკა-ერკულესი 0:1**

გოლი: 0:1 პაჯიჩი (28)

**ხაენი-ლას პალმასი 3:0**

გოლები: 1:0 ხ. მეხია (15), 2:0 ფრან მაჩადო (27), 3:0 ხ. მეხია (75)

**დეპორტივო-სპორტინგი 1:1**

გოლები: 0:1 ბ. ესპინოსა (26), 1:1 ფაბრისიო (90+5)

**პონფერადინა-ალკორკონი 0:2**

გოლები: 0:1 ბაბინი (9), 0:2 ანტონიო მარტინესი (88)

**ჟირონა-ლუგო 6:0**

გოლები: 1:0 ალფრედო (30), 2:0 მიგე (40), 3:0 ივანი (58), 4:0 ხერარდ ბორდასი (62), 5:0 პავონი (74-საკ. კარში), 6:0 ტიმორი (83)

**ალავესი-მურსია 0:1**

გოლი: 0:1 კიკე (33)

**უელვა-მირანდესი 1:0**

გოლი: 1:0 მორსილიო (28)

**ნუმანსია-კორდობა 3:0**

გოლები: 1:0 ხ. ალვარესი (50-პენ), 2:0 ვისენტე პერესი (64), 3:0 რეგალონი (85)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეიბარი | 26 | 13 | 6 | 7 | 33-21 | 45 |
| 2. დეპორტივო | 26 | 12 | 7 | 7 | 27-19 | 43 |
| 3. უელვა | 26 | 12 | 7 | 7 | 41-35 | 43 |
| 4. სპორტინგი | 26 | 10 | 12 | 4 | 42-32 | 42 |
| 5. ნუმანსია | 26 | 8 | 13 | 5 | 29-23 | 37 |
| 6. სარაგოსა | 26 | 10 | 7 | 9 | 31-29 | 37 |
| 7. ლუგო | 26 | 10 | 7 | 9 | 26-30 | 37 |
| 8. მურსია | 26 | 8 | 12 | 6 | 33-30 | 36 |
| 9. ლას პალმასი | 26 | 9 | 8 | 9 | 25-29 | 35 |
| 10. მალიორკა | 26 | 9 | 8 | 9 | 35-41 | 35 |
| 11. ხაენი | 26 | 9 | 7 | 10 | 31-30 | 34 |
| 12. ბარსელონა B | 26 | 10 | 4 | 12 | 34-35 | 34 |
| 13. კორდობა | 26 | 9 | 7 | 10 | 28-31 | 34 |
| 14. ტენერიფე | 26 | 9 | 7 | 10 | 27-31 | 34 |
| 15. პონფერადინა | 26 | 8 | 9 | 9 | 30-28 | 33 |
| 16. ალკორკონი | 26 | 8 | 8 | 10 | 26-24 | 32 |
| 17. საბადელი | 26 | 9 | 4 | 13 | 30-39 | 31 |
| 18. ერკულესი | 26 | 8 | 7 | 11 | 29-42 | 31 |
| 19. ალავესი | 26 | 7 | 9 | 10 | 39-36 | 30 |
| 20. ჟირონა | 26 | 6 | 12 | 8 | 32-31 | 30 |
| 21. რეალი B | 26 | 9 | 3 | 14 | 31-36 | 30 |
| 22. მირანდესი | 26 | 8 | 6 | 12 | 25-32 | 30 |

**ბომბარდირები:** 18 - ვიგერა (ალავესი); 17 - შჩეპოვიჩი (სპორტინგი); 14 - კიკე (მურსია); 12 - ხ. მეხია (ხაენი); 11 - ხერარდი (მალიორკა)

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXV ტური

# იბრას ცალი ფეხით მეტი გააქვს

## ლილმა საქმე გაირთულა

„პარი სენ ჟერმენმა“ ძალიან ადვილად მოინელა „ვალანსიენი“, ჩემპიონთა ლიგაზე „ლევერკუზენისთვის“ ძალებიც შემოინახა და კარგ გუნებაზეც დადგა. მშვენივრად გამოიყურებოდა **ესეკიელ ლავეცი**, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ბიძა მოუკლეს. სწორედ არგენტინელის გოლით მოიგო **ლორან ბლანის** გუნდმა პირველი ტაიმი, ხოლო მეორის დებიუტში თავის მონაგარს ერთი გოლი დაამატა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა**, რომელსაც ასისტენტობა კლუბის ახალწვეულმა **იოან კაბაიმ** გაუწია. ბლანი მაინც არ იყო ბოლომდე კმაყოფილი და თამაშის მერე, უნდა მოვუმატოთო გაიძახოდა.

ზედმეტი ნერვიულობის გარეშე მოიგო „მონაკომაც“. მატჩის გმირი **ჯეიმს როდრიგესი** გახდა. ახალგაზრდა კოლუმბიელი ტალანტი საგოლე გადაცემებიდან გოლების გატანაზე გადაერთო და დუბლი შეასრულა. თუმცა **კლაუდიო რანიერი** ისევ ხედავს თავისი გუნდის თამაშში ხარვეზებს და ფრთხილობს როდრიგესთან მიმართებაშიც. იტალიელს ალბათ იმის ეშინია, რომ ზედმეტი ქებით „პორტუს“ ყოფილს შემტევს შეიძლება „ვარსკვლავური დაავადება“ შეეყაროს.

*„ჟურნალისტებს გიყვართ როდრიგესის იბრაჰიმოვიჩთან შედარება, მაგრამ ამას არ ვეთანხმები. ჯეიმსი ამ სეზონში დაახლოებით 10 გოლს გაიტანს ანუ იმდენს, რამდენსაც იბრაჰიმოვიჩი ცალი ფეხით“,* - განაცხადა რანიერიმ.

„ევიანმა“ „ვალანსიენის“ ნაგებით ისარგებლა და გასავარდნ ზონასთან სხვაობა ქულით გაზარდა. შეეძლო 8-მატჩიანი მოუგებელი სერია შეეწყვიტა, მაგრამ ცუდ ფორმაში მყოფ „ლილს“ მშველელად შეცვლაზე შესული **რაიან მენდეში** მოევლინა, რომელმაც ანგარიში 93-ე წუთზე გაათანაბრა. თუ ასე გაგრძელდა, ლილელები მესამე ადგილს მალე დაკარგავენ.

„ლიონმა“ კონკურენტების მძიმე მატჩებით ისარგებლა და როგორც მოსალოდნელი იყო, „აიაჩოს“ მოუგო. თუმცა **რემი გარდის** გუნდს ბოლო წუთებში ცოტა ნერვიულობა მოუხდა. **ალექსანდრ ლაკასეტი** ამჯერად საგოლე პასით შემოიფარგლა. მის ნაცვლად გამოსულმა **ჯიმი ბრიანმა** კი გოლს პლუს პასი „გამოაცხო“. თავისი მეათე გოლი გაიტანა **ბაფეტიმბი გომისმა**.

## უხვგოლიანობა ბრეტონიაში

უხვგოლიანი გამოდგა რენში გამართული მატჩი რომელსაც მასპინძლები ზამთარში მოყვანილი **ოლა ტოივონენის** გოლებით ორჯერ იგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთზე **რემი კაბელიამ** შეცვლაზე შემოსულ **სულეიმან კამარას** გაატანინა და **როლან კურბისმა** ჩემპიონატში წაუგებელი სერია 7 მატჩამდე გაზარდა. არადა, „რენი“ დომინირებდა და მასპინძლები ძალიან გულდაწყვეტილები დარჩნენ.

ოთხი გოლი გავიდა ბრეტონიაში გამართულ მეორე დაპირისპირებაშიც. **ალენ ტრაორემ** ძალიან უხეშად ითამაშა **აბელ აგილარის** წინააღმდეგ და 24-ე წუთზე „ლორიანი“ უკვე 10 კაცით დარჩა. მიუხედავად ამისა, ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა წინ გასვლა შეძლეს. თუმცა მეორე ნახევარში **ალენ კაზანოვას** გუნდმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და მატჩი მოაბრუნა - 1:3.

შეუპოვრად ეჭიდება ხავსს „სოშო“. „ოგუსტ-ბონალი“ სიხარულისგან კინაღამ დაიქცა, როდესაც **სებასტიან რუდეს** პასით 84-ე წუთზე **სტოფირა სუნზუმ** გაიტანა.

**პსჟ–ვალანსიენი 3:0**

**გოლები:** 1:0 ლავეცი (18), 2:0 კაბაი (50), 3:0 კაგელმახერი (52-ს.კ.)

**პსჟ (4-3-3):** სირიგუ - ვან დერ ვილი, მარკინიოსი, ტიაგო სილვა, დინი - კაბაი, ტიაგო მოტა (65. რაბიო), პასტორე - მენეზი, ლავეცი (75. ვერატი), იბრაჰიმოვიჩი (64. ლუკასი)

**ბასტია–მონაკო 0:2**

**გოლები:** 0:1 როდრიგესი (45), 0:2 როდრიგესი (77)

**მონაკო (4-3-3):** სუბაშიჩი - ფაბინო, იზიმატ-მირენი, რ. კარვალიო, კურზავა - მოუტინიო, ტულალანი, კონდოგბია - როდრიგესი (90+3. დირარი), ჟერმენი (90. მარტიალი), რივიერი (68. ოკამპოსი)

**ნიცა–ნანტი 0:0**

**ლორიანი–ტულუზი 1:3**

**გოლები:** 1:0 ლოტუა (41), 1:1 ბენ იედერი (60), 1:2 ორიე (73), 1:3 ბრეიტვეიტი (83)

**გაძევება:** ა. ტრაორე (24. ლორიანი)

**რეიმსი–ბორდო 1:0**

**გოლი:** 1:0 დე პრევილი (64)

**რენი–მონპელიე 2:2**

**გოლები:** 1:0 ტოივონენი (10), 1:1 კონგრე (54), 2:1 ტოივონენი (65), 2:2 ს. კამარა (90)

**სოშო–გენგამი 1:0**

**გოლი:** 1:0 სუნზუ (84)

**ლიონი–აიაჩო 3:1**

**გოლები:** 1:0 ფოფანა (43), 2:0 ბრიანი (68), 2:1 ოლიეჩი (81), 3:1 გომისი (90)

**ლიონი (4-3-3):** ენტონი ლოპეში - მიგელ ლოპეში (84. ტოლისო), ბიშევაცი, უმტიტი, ბედიმო - ფერი (75. კონე), გონალონი, ფოფანა - ლაკასეტი, გრენიე, გომისი (52. ბრიანი)

**ევიანი–ლილი 2:2**

**გოლები:** 1:0 ბერიჟო (15), 1:1 ორიჯი (23), 2:1 მონგონგუ (64-პენ.), 2:2 რაიან მენდეში (90+3)

**სტ. ეტიენი–მარსელი 1:1**

**გოლები:** 0:1 ნკულუ (64), 1:1 ბრანდაო (92)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 25 | 17 | 7 | 1 | 58-16 | 58 |
| 2. მონაკო | 25 | 15 | 8 | 2 | 41-17 | 53 |
| 3. ლილი | 25 | 13 | 6 | 6 | 28-16 | 45 |
| 4. სტ. ეტიენი | 25 | 12 | 6 | 7 | 34-23 | 42 |
| 5. მარსელი | 25 | 11 | 7 | 7 | 37-27 | 40 |
| 6. ლიონი | 25 | 11 | 7 | 7 | 40-31 | 40 |
| 7. რეიმსი | 25 | 10 | 9 | 6 | 30-29 | 39 |
| 8. ბასტია | 25 | 10 | 6 | 9 | 30-35 | 36 |
| 9. ბორდო | 24 | 9 | 7 | 8 | 29-26 | 34 |
| 10. ტულუზი | 25 | 8 | 9 | 8 | 27-32 | 33 |
| 11. ლორიანი | 24 | 9 | 5 | 10 | 32-33 | 32 |
| 12. ნანტი | 25 | 9 | 4 | 12 | 23-25 | 31 |
| 13. ნიცა | 25 | 9 | 4 | 12 | 23-30 | 31 |
| 14. მონპელიე | 25 | 5 | 14 | 6 | 31-31 | 29 |
| 15. რენი | 25 | 6 | 10 | 9 | 28-30 | 28 |
| 16. გენგამი | 25 | 6 | 8 | 11 | 23-28 | 26 |
| 17. ევიანი | 25 | 5 | 9 | 11 | 24-41 | 24 |
| 18. ვალანსიენი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-40 | 21 |
| 19. სოშო | 25 | 4 | 6 | 15 | 18-46 | 18 |
| 20. აიაჩო | 25 | 2 | 8 | 15 | 20-44 | 14 |

**ბომბარდირები:** 19 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 13 - ედინსონ კავანი (პსჟ), ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი)

**მომდევნო ტური**

21 თებერვალი: **მონაკო-რეიმსი**

22 თებერვალი: **მარსელი-ლორიანი, ბასტია-სტ. ეტიენი, გენგამი-ნიცა, ბორდო-ევიანი, ვალანსიენი-სოშო, მონპელიე-აიაჩო**

23 თებერვალი: **ტულუზი-პსჟ, ნანტი-რენი, ლილი-ლიონი**

**გიორგი კაკაბაძე**



ჯეიმს როდრიგესმა (მარჯვნივ) დუბლი შეასრულა

● თავისუფალი ჭიდაობა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მოჭიდავეთა კარგი რეზერვი

## ახალგაზრდები - ეროვნულის ღირსეული ცვლა

ვინძლო, **ლუკა კურტანიძეს** აუხდეს ამას წინათ ინტერვიუში შვილზე ნათქვამი – ნოდარი ახლა საქართველოს ჩემპიონატს იჭიდავებს ახალგაზრდებში და თუ მოიგებს, არაა გამორიცხული, რომელიმე ტურნირზე მართლაც შევხვდეთ ერთმანეთსო... **ნოდარ კურტანიძე** მართლაც გახდა თანატოლებში ქვეყნის ჩემპიონი, დანარჩენი კი ბედის საქმეა... ვერ ვიტყვით, რომ შვილის გამარჯვება მამის ფედერაციის საპრეზიდენტო უფლებებმა განაპირობა – ნოდარმა საკმაოდ ძლიერად იჭიდავა და მართლაც კარგ ბრძოლაში გახდა ჩემპიონი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ნახევარფინალში ახალგაზრდული ნაკრების შარშანდელ წევრ **როლანდ ანდრიაძეს** მოუგო დამაჯერებლად. ნოდარი ბოლო წლებში მუდმივად ტრიალებდა მედლის ზონაში, შარშან მესამეზეც გავიდა და, ბუნებრივია, წლეულს კიდევ უფრო თუ მოუმატა. მით უფრო, მწვრთნელად ისეთი მშობელი ადგას თავზე...

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდების პირველობას ამ უქმეებზე უმასპინძლა „არენამ“ და საინტერესო პაექრობებშიც ჩაიარა. ბუნებრივია ის ინტერესი, რაც ტურნირისადმი მოზარდებმა გამოიჩინეს, თუმცა საერთო დონე ნამდვილად კარგი იყო – ბევრი ახალგაზრდა ახლავეა მზად ეროვნულში სასპარეზოდ, ან უახლოეს წლებში დაიმკვიდრებს იქ ადგილს. სასიამოვნოა, რომ ტრადიციულად ძლიერი გუნდების გვერდით ამჯერად ძალიან კარგად იასპარეზეს ქუთაისმა და რაჭულმა გუნდებმა – ონმაც და ამბროლაურმაც რამდენიმე მედალი წაილეს შინ. მისასალმებელია, რომ რაჭა საჭიდაო რუკაზე ახალ ცენტრად იქცა – იქაურები უკვე შედიან ეროვნულ გუნდში.

ქვეყნის ჩემპიონები ძირითადად ძველი სახეები გახდნენ – ამ ნაკრების შარშანდელი წევრები (**ტარზან მაისურაძე** (74), ნოდარ კურტანიძე, **გენო პეტრიაშვილი** (120) ან ჭაბუკთა ნაკრებიდან გადმოსულები – **ალექსანდრე კილაძე** (50), **რამაზ დარჩიძე** (55), **ომარ გურჯიძე** (66), **ირაკლი მწითური** (84), თუმცა იყო ერთი შედარებით უცნობი სახელიც – **გიორგი ბრეგაძე** ქუთაისიდან, ვინც 60 კილოგრამში არავის დაუთმო პირველობა. განსაკუთრებით სასიხარულოა ჭაბუკებიდან გადმოსულთა ასეთი მოზღვავება – მათ იქაც კარგი შედეგები ჰქონდათ, რასაც ახლაც აგრძელებენ. ჩემპიონთა გარდა, თავი ისეთებმაც კარგად წარმოაჩინეს, რომლებიც ახლა ოქროს ვერ შეწვდნენ – **შოთა ფარტენაძე** (60), **შალვა ხუციშვილი** (66), **ტარიელ გაფრინდაშვილი** (74) და სხვები, თუმცა ტურნირის აღმოჩენად მაინც ქუთაისელი **ავთანდილ კენჭაძე** (66) იქცა, რომელმაც ულამაზესი ჭიდაობით დაგვამახსოვრა თავი. საერთოდ, ეს ერთ-ერთი ყველაზე ძნელი წონა გამოდგა და თან ბედმა ყველა ლიდერი ბადის ერთ მხარეს აღმოჩინდა – გურჯიძემ უძნელეს პაექრობაში, ბოლო წამებზე მოუგო კენჭაძეს, ნახევარფინალში კი ასევე დაძაბულ ბრძოლაში სძლია ჭაბუკებიდან გადმოსულ კიდევ ერთ ტალანტს, **რამაზ ზოიძეს**. კენჭაძეს სულ ცოტა დააკლდა გურჯიძესთან მოგებამდე, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი დამაჯერებლად მოუგო ზოიძეს. ის ძალიან იოლად შედის ილეთზე და ლამის უპრობლემოდ ატრიალებს ჩოქბჯენიდან. ცუდად არც ზოიძეს უჭიდავია, მაგრამ, ეტყობა, წონის ლამის ყოველწლიური ცვლა მაინც ტოვებს თავის დაღს. გურჯიძემ ფინალშიც დამაჯერებლად მოუგო **შალვა ჭადაშვილს** - ქულებით წმინდად სძლია. ქუთაისელი ფალავანი ჭაბუკებშიც გამოირჩეოდა ძლიერი, გამართული, ტექნიკური ჭიდაობით და ახლაც საუკეთესო თვისებები გამოავლინა.

დაძაბული და დროში გაწელილი გამოდგა 84-ის ფინალი, სადაც გამარჯვებული დიდხანს ვიდეოგამეორებამაც ვერ გამოავლინა. **გიორგი ჩხარტიშვილიც** და **ირაკლი მწითურიც** ფინალამდე კარგად მივიდნენ, თუმცა უფრო დამაჯერებლად ჩხარტიშვილი გამოიყურებოდა, ბოლო წამებამდე ფინალსაც ის იგებდა – 3:2, თუმცა ბოლოსკენ მწითურმა ჩოქბჯენში გადაიყვანა. აი, იქ გახდა საკამათო და გასარჩევი – შეეხო თუ არა ჩხარტიშვილი მესამე წერტილით ლეიბს. დაახლოებით 10-წუთიანი გარჩევის შემდეგ მსაჯები შეთანხმდნენ, რომ შეეხო, რისთვისაც ორი ქულა მწითურს მიენიჭა და 4:3 მოიგო.

აბა, რა გასაკვირია, **გენო პეტრიაშვილმა** თუ ძალზე იოლად, ცალი ხელით მოიგო ტურნირი! ფინალში მან სამჯერ გააკეთა გდება, არც ფეხებიდან ჯვარზე დატრიალება გასჭირვებია და 12:0 იმარჯვა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მას ახალგაზრდებში არაფერი ესაქმება. რომ არა უფროსებში ქვეყნის პირველობაზე **დავით მოძმანაშვილთან** მარცხი, იქნებ არც გამოსულიყო ამ შეჯიბრებაში. ახლა საევროპოდ პირველი კანდიდატი მოძმანაშვილია და პეტრიაშვილს თანატოლების ევროპირველობა დარჩა მთავარ სამიზნედ, მსოფლიოსთვის კი ნაკრებში მოსახვედრად ბრძოლა თავიდან დაიწყება.

**ქვარცხლბეკი**

**50 კგ.** 1. ალექსანდრე კილაძე (რუსთავი); 2. ნუგზარ ბოლქვაძე; 3. ნარიმან ცეცხლაძე (ორივე - აჭარა), შალვა ომაძე (გორი).

**55 კგ.** 1. რამაზ დარჩიძე (აჭარა); 2. გიორგი ყაზარაშვილი (კასპი); 3. ფერდინანდ გონაშვილი (დედოფლის წყარო), ლევან მურცხვალაძე (თბილისი).

**60 კგ.** 1 გიორგი ბრეგაძე (ქუთაისი); 2. გიორგი რევაზიშვილი (თბილისი); 3. ივანე გაბოძე (კასპი), შოთა ფარტენაძე (აჭარა).

**66 კგ.** 1. ომარ გურჯიძე (ქუთაისი); 2. შალვა ჭადაშვილი (თბილისი); 3. შალვა ხუციშვილი (გორი), ავთანდილ კენჭაძე (ქუთაისი).

**74 კგ.** 1. ტარზან მაისურაძე; 2. ირაკლი გოგობერიშვილი; 3. ტარიელ გაფრინდაშვილი (სამივე - თბილისი), ლევან მურადხანაშვილი (ბოლნისი).

**84 კგ.** 1. ირაკლი მწითური; 2. გიორგი ჩხარტიშვილი (ორივე – თბილისი); 3. ბექა გოგიჩაიშვილი (გორი), მექი სიმონია (ქუთაისი).

**96 კგ.** 1. ნოდარ კურტანიძე (თბილისი); 2. საბა დეკანოიძე (საჩხერე); 3. ისაკი უბილავა (წალენჯიხა), როლანდ ანდრიაძე (ხონი).

**120 კგ.** 1. გენო პეტრიაშვილი (გორი); 2. ჰამლეტ დვალი; 3. ლაშა ჯელაძე (ორივე – ამბროლაური), ბექა კახეთელიძე (ონი).

**ირაკლი თავაძე**

● ძიუდო. ავსტრიის ტურნირი

# ოქროს წყვილი

## გამარჯვება დაბადების დღეზე

საქართველოს ნაკრებმა ორი ოქრო მოიპოვა ავსტრიულ ობერვარტში, „ევროპის ღია კონტინენტურ თასზე“, რაც **ზებედა რეხვიაშვილმა** (81) და **ზვიად გოგოჭურმა** შეძლეს. გუნდურ ჩათვლაში ნაკრები მეორეა იაპონიის შემდეგ.

რეხვიაშვილი გუშინ იუბილარი იყო – 23 წლის გახდა და საკუთარ თავს იუბილე ჩინებულად მიულოცა, დამაჯერებელი ჭიდაობით. მოგეხსენებათ, შარშან მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა ცხვირის ოპერაცია გაიკეთა და დღემდე მხოლოდ საკლუბოზე იჭიდავა, ნაკრებში კი პირველად გამოვიდა. გუშინდელი სურათით თუ ვიმსჯელებთ, ოპერაცია მართლაც მოუხდა და ამიერიდან სუნთქვის პრობლემამ არ უნდა შეაწუხოს. ამჯერად მან ახალ წონაში იჭიდავა და დებიუტიც უპრობლემოდ წარმართა – ხუთივე შეხვედრა იპონით მოიგო. არადა, სუსტი მეტოქეებიც არ ჰყავდა – ჩერნოგორიელი **სრდჯან მრვალჯევიჩი** მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია, კანადელმა **ანტოინ ვალოის-ფორტიერმა** და ამერიკელმა **ტრევის სტევენსმა** კი ლონდონის ოლიმპიადაზე ბრინჯაოსთვის იჭიდავეს, სადაც კანადელმა იმარჯვა. ჩვენებური სტევენსს მეორე წრეში შეხვდა და ყოველმხრივ დაჩაგრა, ჩერნოგორიელი მეოთხედფინალში ჯერ ვაზარზე დააგდო, მერე კი ბრუნით იპონზე გაისროლა. კანადელი, ვინაც მანამდე საკმაოდ კარგად მოასპარეზე **გიორგი პაპუნაშვილი** დაგვიმარცხა, ლამის ბავშვივით გააბითურა - გარეფეხი ჩაუხვია და ხელი ჰკრა. მას დიდი წინააღმდეგობა არც ჩეხ **ივან პეტრისთან** შეხვედრია, ვისაც ასევე ვაზარ-იპონით აჯობა, და არც ნახევარფინალში რუსთა უცნობ **მიხაილ კაზიდუბთან**.




ზებედა რეხვიაშვილი

გოგოჭურმაც დამაჯერებლად გაიარა საჩემპიონო გზა, რომლის ბოლოშიც – ფინალში რუსი **მურატ გასიევი** ისე დაანარცხა, ძიუდოს ევროპული კავშირის პირდაპირი რეპორტაჟების წამყვანმა, ჩვენების დიდმა მეგობარმა, ბრიტანელმა **შელდონ ფრანკო-რუქსმა** სულ ფანტასტიური ილეთი იძახა. რუსმა თითქოს ილეთი სცადა, მაგრამ გოგოჭურმა კარგად მიიზიდა თავისკენ, შეეკრა და ბრუნით გამეტებით დაანარცხა პირდაპირ ბეჭებზე. ობერვარტში გოგოჭურმაც უდანაკარგოდ იჭიდავა – ხუთი პაექრობა და ხუთი იპონი. ნახევარფინალამდე ჰოლანდიელ **მაქს დე ვრეეზეს**, არგენტინელ **კრისტიან შმიდტს** და ჩეხ **მიხალ კრპალეკს** უპრობლემოდ მოუგო, იქ კი იაპონელი **ტაკეში სუგაჰარა** გაფრთხილებებით მოახსნევინა. გოგოჭური ყველა მეტოქეზე ბევრად უფრო დამაჯერებელი იყო და არც გასჭირვებია გამარჯვება.

უმედლოდ დარჩენილი ფალავნებიდან ორი უნდა გამოვარჩიოთ – **გიორგი გუგავა** და **თამაზ კირაკოზაშვილი** (ორივე - 73). მართალია, ისინი უმედლოდ დარჩნენ, მაგრამ ასაკისა და გამოცდილების კვალობაზე, ურიგოდ არ უჭიდავიათ. ისინი ბრაზილიელებთან დამარცხდნენ - გუგავამ ორი მოგების შემდეგ მომავალ მედალოსან **ალექს**

გაგრძელება მე-13 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სოჭი 2014

თენგიზ გაჩეჩილაძე სოჭიდან




# მარკ ადამსი: შემიძლია ბოდიში მოვიხადო

## ანუ იმის შესახებ, თუ რა შეეშალა სოკ-ის მაღალჩინოსანს აფხაზეთთან დაკავშირებით

სოჭის ოლიმპიადაზე გამართულ ერთ-ერთ გაფართოებულ პრესკონფერენციაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომუნიკაციების სამსახურის ხელმძღვანელმა **მარკ ადამსმა** ჟურნალისტის შეკითხვას - აქვთ თუ არა მედიის წარმომადგენლებს უფლება, შევიდნენ აფხაზეთში, მოქრით უპასუხა - რატომაც არა!

ამ ამბავმა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში და ოლიმპიადაზე მყოფ სოკ-ის მაღალჩინოსნებს სთხოვეს, ადამსს განემარტა და დაეზუსტებინა ნათქვამი. საქართველოს მხარის მოთხოვნის შესაბამისად, ადამსი შეხვდა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელებს.

„მესმის, ეს საკითხი როგორი მგრძნობიარეა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთ აჟიოტაჟს გამოიწვევდა ჩემს მიერ ნათქვამი ორი სიტყვა, გულწრფელად ვწუხვარ ამის გამო და შემიძლია ბოდიშიც მოვიხადო", - თქვა მან.

დიდ პატივს ვცემ ყველას აზრს, მაგრამ, ვინც ამ ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის წინააღმდეგი იყო, მინდა მოწიწებით ვთქვა იმათ გასაგონად: აქ რომ დღეს არ იყოს ჩვენი ოლიმპიური მისია, როგორ ფიქრობთ, შემოკრავდა ვინმე განგაშის ზარს ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ანდა ვინმე გამოიდებდა თავს **მარიკა პერტახიას** ანკეტაში დამახინჯებული მონაცემების გამო? ჩვენზე უკეთ ვინ დაიცავდა ჩვენს ინტერესებს. იქნებ წინაც მოგველის მსგავსი ან გაუთვალისწინებელი გამოწვევები...

კარგია, რომ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო ასეთი საკითხებისადმი კატეგორიულ პრინციპულობას იჩენს. იმედია, ადამსის საკითხი არ ამოწურულა, ლოგიკა მოითხოვს, ასეთივე განცხადება მან საჯაროდაც გააკეთოს.

### განგაში ჭინჭილის გამო

რაც მე მახსოვს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ახლა სოჭში მიმდინარე ოლიმპიურ თამაშებზე უსაფრთხოების მიზნით სტუმრების შემოწმებები, ადრინდელ ოლიმპიადებთან შედარებით, მომაბეზრებელი ნამდვილად არ არის. ყოველ შესასვლელ-გამოსასვლელში აღარ გაიძულებენ კონტროლის გავლას ჩანთების და ჯიბეების ამოტრიალებით. ერთხელ გაივლი შემოწმებას პრესცენტრში შესვლისას და მერე ხელის ელექტრონული ხელსაწყოთი აკრედიტაციის ნომერს დააფიქსირებენ და შენი იგივე ფოტო ჩნდება ეკრანზე, რომელიც სააკრედიტაციო ბარათშია ჩაკრული. სულ ეს არის. პროცედურების გამარტივება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგია.

ამ ფაქტზე ყურადღებას ალბათ, საერთოდ არ გავამახვილებდი, რომ არა ერთი კურიოზი, რომელიც პირადად გადამხდა თავს. მოგეხსენებათ, აქ ბევრი ქართველი ცხოვრობს და მათ შორის საკმაოდ არიან წარმოშობით იმერეთიდან (ამ თამაშების ოლიმპიური სივრცეც ხომ მეტწილად „იმერეთის ველს" მოიცავს). ჰოდა, წამოღებული სუვენირებიდან, იმ იმედით, რომ ვინმე ჩვენებურს გავახარებდი, გუშინ ქალაქში გასვლისას ჩანთაში იმერული ჭინჭილა ჩავიდე. ჯერ პრესცენტრში უნდა შემევლო. ჩანთის რენტგენზე გატარებისას ერთი ჩოჩქოლი ატყდა. ახლოს არ მიმაკარეს, არც არაფერი მითხრეს, რაციით ვილაცები გამოიძახეს. სერიოზული გამომეტყველებით მალე მოვარდა ორი კაცი (ალბათ უშიშროების მუშაკები), რენტგენზე რამდენჯერმე ისევ გასწი-გამოსწიეს ჩანთა და გაოცებულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ცოტა არ იყოს შევცბუნდი. მერე გამოიღეს რენტგენიდან ცალკე ხელსაწყო, შემოატარეს ჩანთას, მეც რაღაც დეტექტორი ამისვ-დამისვეს და ბოლოს მითხრეს, ჩანთაში რაღაც უცნაური ნივთი გაქვსო. მივხვდი, რაზეც მეუბნებოდნენ, - არაფერია, თიხის სასმისია-მეთქი, - ვუთხარი. ამოიღეო. ამოვიღე და შიგ ჩავბერე კიდეც. ეგეთი რამე არ გვინახავს, „ლიმონკას" ჰგავსო, - უკვე სიცილით ასკდებოდნენ ერთმანეთს. რატომღაც ანიმაციური ფილმი „ალადინიც" ახსენეს.

არა, ის ჭინჭილა არავისთვის მიჩუქებია. არც გავაჩუქებ. ოლიმპიადაზე უცებ ისტორიულ რელიკვიად ქცეული ეს პატარა ქართული ნივთი, როგორც ძვირფასი სახსოვარი, უკან მომაქვს.

შეიძლება განსხვავებულ სასმისადაც გამოდგეს, სადღეგრძელოს მოფიქრება მერეც შეიძლება. ერთმა კოლეგამ ისიც მითხრა, ალბათ მოფიქრებაში მკითხველიც ჩაერთვება, ურიგო თემა არაა განსჯისთვისო.

### ნინო წიკლაურით ვიწყებთ

ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშები ჩვენი სპორტსმენებისთვის და, საგულშემატკივროდ, ჩვენთვისაც, ხვალ, 18 თებერვალს იწყება. თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ჩვენი დელეგაციის მედროშე **ნინო წიკლაური**, საქართველოს ოლიმპიელებიდან პირველი ჩაებმება შეჯიბრებაში - გიგანტურ სლალომში იასპარეზებს.

რისი იმედი უნდა გვქონდეს სამთოთხილამურობაში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლით? ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გერა აბრამიშვილმა** ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ კარგ შედეგად ჩაითვლება ოცდაათეულში მოხვედრა, რაც საერთაშორისო ფედერაციის ელიტარული ნიშნულია.

„ქართველები რომ ოლიმპიურ სამთო პროგრამაში გამოვდივართ, ამაში მნიშვნელოვანია ავსტრიის სათხილამურო სპორტის დამსახურება. უკვე დიდი ხანია ვმეგობრობთ და ავსტრიელები ყოველმხრივ ხელს გვიწყობენ. მათივე დახმარებით ახლა მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობისთვის ემზადებიან **სოსო ჯაფარიძე, ნიკოლოზ კოზანაშვილი** და **ჯაბა გელაშვილი**. ჯაბას ხელი ტრავმის გამიზეზებამ შეუშალა თორემ ახლა ისიც აქ იქნებოდა", - ესეც გერა აბრამიშვილმა გვითხრა.

მოკლედ, ხვალ ნინო წიკლაურით ვიწყებთ.

**სოჭის ოლიმპიდაზე**
**„ლელოს" ცხელი ხაზის**
**ტელეფონია: +7938 43 99 565.**



● წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის I მატჩი

**თბილისი, „ოლიმპიკი"**
**15 თებერვალი**

| | |
|---|---|
| საქართველო | 8 |
| თურქეთი | 4 |

3:1, 2:1, 2:1, 1:1

**საქართველო:** ზურაბ ჭუმბურიძე, გიორგი ხვედელიანი, დამირ ცრეპულია (2), მარკო ელეზი (1), გალაქტიონ ლაითაძე, მარკო ელაჩა (3), რევაზ ჩომახიძე (1), მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა (1), კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი, ბექა კაპანაძე, მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე, მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი.

**თურქეთი:** მეჰმედ აკიფ ტოპალოღლუ, არსლან სუტალო (1), ეგე ენგინ კოლაკი, ბერკ ბიიკი, იილიტან პანტალი, ატაკან დესტიჩი, ანილ სუნმეზი, მიხაილო კოროლიჩა, კემილ ბაპადირ ოზბაკიში, ალიკან კაგატეი, ბერკ გეზეკი. მთავარი მწვრთნელი მატუტინოვიჩი, მწვრთნელი შაჰბაზი.

**მსაჯები:** სორინ რადუ მატაჩე (რუმინეთი), ხაიმე ტეიქსიდო (ესპანეთი), დელეგატი - ჯანი ლონცი (იტალია), Fina-ს და Len-ის ტექნიკური კომისიის თავმჯდომარე, ოლიმპიური ჩემპიონი.



# ბოსფორიდან ბუდაპეშტი უკეთ გამოჩნდება

თბილისში „ოლიმპიკის" აუზს ამდენი მაყურებელი არასდროს სწვევია: ქომაგებს სათანადო მიზეზიც ჰქონდათ - გასულ შაბათს აქ საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა გუნდმა ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის პლეი ოფის პირველ მატჩში თურქეთის ნაკრებს უმასპინძლა. ფინალური ეტაპი წლეულს ზაფხულს ბუდაპეშტში გაიმართება. ჩვენს ბიჭებს კი იქ მოსახვედრად რეალური შანსი მიეცათ, ამიტომ მის სარეალიზაციოდ პირველივე წუთებიდან აქტიურად გაისარჯნენ - ზედიზედ შეუტიეს ტოპალოღლუს კარს და 25-ე წამზე მასპინძლები ელეზმა დააწინაურა. სანამ თურქი წყალბურთელები გონს მოეგებოდნენ, ფრანიჩევიჩს სამამდე შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მან ორი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, მე-3 წუთზე სტუმრების შეტევისას ჩვენებმა დაცვაში უხეშად ითამაშეს და ესპანელი ჰაიმეს სასტვენმაც არ დააყოვნა (ალბათ, მიკერძოებაში არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ ეს პირენეელი არბიტრი პირით უფრო სტუმრებისკენ იყო და ხშირადაც უსტვენდა მათ სასარგებლოდ) - პენალტი ოზბაკისმა უნაკლოდ გამოიყენა. ამის შემდეგ ორჯერ ქართველთა მეკარე ჭუმბურიძემ იყოჩაღა და გოლისგან იხსნა თანაგუნდელები. შეხვედრის მე-5 წუთზე გუნდის კაპიტანმა რურუამ ისევ დააწინაურა საქართველოს ნაკრები. პირველი პერიოდის ბოლომდე ელაჩამ მესამედ გამოატანინა ტოპალოღლუს ბურთი კარის ბადიდან.

წყალბურთის გულშემატკივრებმა, რომლებიც აუზზე ვერ დაესწრნენ შეხვედრას, ტელეეკრანზე ნახეს ეს მატჩი, ამიტომ ორთაბრძოლის პერიპეტიების დაწვრილებითი აღწერით თავს არ შეგაწყენთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ ისელიძის შეგირდები მთელი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეზე, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე რეალიზება ვერ მოახერხეს. ჩვენები დაცვაში კარგი თამაშით კი გამოირჩეოდნენ, თუმცა თავდასხმისას ხშირად უწყინარ სიტუაციაში კარგავდნენ ბურთს, იერიშების დაგვირგვინების დროსაც საკმაოდ სცოდავდნენ. ამგვარი ლაფსუსები რომ არა, ანგარიშში სხვაობა უფრო სოლიდური იქნებოდა. არადა, განმეორებითი მატჩის წინ ეს სასურველიც იყო. მით უმეტეს, რომ არბიტრები, რომლებმაც თბილისში მასპინძლები 11-ჯერ, ხოლო სტუმრები მხოლოდ 6-ჯერ დააჯარიმეს, სტამბოლშიც „შეცდებიან", უფრო ხშირად - თურქების სასარგებლოდ და ეს აქედანვე უნდა გავითვალისწინოთ, თორემ თბილისური მატჩის მინუსულს შესაძლებელი იყო, გუნდი ჩომახიძის გარეშე დარჩენილიყო, რადგან ბოლო წამებზე „შელაპარაკებისთვის" ჰაიმე ტეიქსიდომ ჩვენს ვეტერანს წითელი ბარათი უჩვენა, ოღონდ ისე, რომ ამ გაძევების გამო პლეი ოფის განმეორებით მატჩს არ გამოტოვებს. ეს შეხვედრა კი სტამბოლში პირველ მარტს გაიმართება და ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად საქართველოს ნაკრებს 0:3 წაგებაც ხელს აძლევს, თუმცა ჩვენი გუნდის მწვრთნელებსა და წყალბურთელებს ამგვარ ანგარიშზე გაფიქრებაც არ სურთ - ისინი ოპტიმისტურად არიან განწყობილი.

**ალექსანდრე ბითაძე,** საქართველოს წყალბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: მეტად საჭირო მატჩი მოვიგეთ. ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ეს ჩვენი მეორე ცდაა და ძალიან ახლოს ვართ, ოცნება რეალობად ვაქციოთ. თუმცა ეს იოლი არ იქნება. თურქეთის ნაკრები ბოლო ორი ევროპის ჩემპიონატის ფინალის მონაწილეა: ზაგრებში მეათე იყო, ეინდჰოვენში - მეთორმეტე. ამიტომ ბიჭების დღევანდელი თამაშით კმაყოფილი ვარ. მთლიანობაში არც მსაჯობით ვარ გულდაწყვეტილი, რადგან არბიტრები ორივე გუნდის მიმართ უშვებდნენ შეცდომებს. ოთხი ბურთით მატჩის მოგების მიუხედავად, პლეი ოფში გამარჯვებულის ვინაობა მაინც სტამბოლში გაირკვევა. დღევანდელ წარმატებაში დიდი წვლილი ქომაგებსაც მიუძღვით. ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, 100-ზე მეტი გულშემატკივარი თურქეთშიც აპირებს წამოსვლას. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ქომაგების ორგანიზებულად გადაყვანის საშუალება არ გვაქვს. არადა, სტამბოლში მათი მხარდაჭერა აუცილებლად გვჭირდება.

**ლევან ყიფიანი,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი: ჩვენი ბიჭების გამარჯვებით უზომოდ გახარებული ვარ. უაუზობის პირობებში რაც მათ დღემდე გააკეთეს, გმირობის ტოლფასია. საქართველოში წყალბურთს მდიდარი ტრადიციები აქვს, ამიტომ სპორტის ამ სახეობის ასაღორძინებლად მეტი უნდა გავაკეთოთ. მართალია, ჩვენმა გუნდმა მატჩი 4 ბურთით მოიგო, მაგრამ იყო შეცდომებიც. განმეორებით პაექრობამდე მათი გამოსწორება საერთო წარმატებამდე მიგვიყვანს. ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოხვედრით კი საქართველოში წყალბურთის ახალი ბუმი დაიწყება და ამ გამოწვევისთვის მზად ვართ.

**ზურაბ რურუა:** შარშან ივნისში სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე თურქებს 10:9 მოვუგეთ. თბილისში, ფაქტობრივად, იგივე გუნდი დაგვიპირისპირდა. შესაძლოა, მეტოქემ პირველი მარტისთვის შემადგენლობაში ცვლილებები მოახდინოს, მაგრამ არა ისეთი, რომ ჩვენთვის სიურპრიზი აღმოჩნდეს. რთული მატჩი გველის. მაქსიმუმს გავიღებთ და გულშემატკივრებს ფინალურ ეტაპზე გასვლით გავახარებთ.

**იოვან პოპოვიჩი:** დაცვაში უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე თავდასხმაში. სტამბოლამდე ეს ხარვეზი უნდა აღმოვფხვრათ. უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ თბილისში მატჩი მოვიგეთ. მთავარია, გოლები გავიტანოთ. მართალია, თურქებმა ნაკრები ნატურალიზებული წყალბურთელებით გააძლიერეს, მაგრამ ჩვენს ბიჭებს ეს ვერ შეაჩერებს - სტამბოლში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

**დამირ ცრეპულია:** კმაყოფილი ვარ, რომ გულშემატკივრებს იმედები არ გავუცრუეთ, დიდი მადლობა მათ მხარდაჭერისთვის. 4 ბურთის სხვაობით მატჩის მოგება კარგია, მაგრამ საგზურის მოპოვების გარანტია არ არის. ჩვენ დავთქვით, რომ პირველი მატჩი თითქოს უშედეგოდ დამთავრდა, ყველაფერი სტამბოლში უნდა გადაწყდეს. თურქებს ახალგაზრდული, კარგი გუნდი ჰყავთ, მაგრამ არც ერთ კომპონენტში არ გვჯობნიან. მათი კომფორტულობა შინაური კედლები და არბიტრების სიმპათიები იქნება. ორივეს უნდა ვაჯობოთ და გავიმარჯვოთ.

■ ■ ■

აქვე შაბათ-კვირას გამართული პლეი ოფის დანარჩენი შეხვედრების შედეგებს გაუწყებთ: რუმინეთი-დიდი ბრიტანეთი 18:7 (3:2, 4:2, 6:2, 5:1), უკრაინა-ესპანეთი 5:17, (1:3, 2:5, 2:5, 0:4), სლოვაკეთი-ხორვატია 8:16 (2:5, 2:4, 1:4, 3:3), საფრანგეთი-მალტა 20:8 (4:3, 6:2, 7:2, 3:1), ჰოლანდია-რუსეთი 9:11 (3:1, 1:3, 3:4, 2:3).

განმეორებით მატჩები 1-2 მარტს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# მეორეზე აინაცვლა

ბელარუსის დედაქალაქი ჭადრაკში დავით ბრონშტეინის მემორიალს მასპინძლობს. 5 ტურის შემდეგ 4.5-4.5 ქულით დანიილ დუბოვი და ალექსანდრ ხალიფმანი (ორივე-რუსეთი) მეწინავეობდნენ. რვა მოჭადრაკეს, მათ შორის - **ბაადურ ჯობავას,** 4-4 ქულა ჰქონდათ. გუშინ დუბოვმა თეთრი ფიგურებით ხალიფმანს სძლია, ხოლო ჯობავამ შავებით იგორ კოვალენკო (ლატვია) დაამარცხა. დაზავდნენ: ბორის გრაჩევი (რუსეთი)-სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია), ვასიფ დურარბეილი (აზერბაიჯანი)-სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი), ალექსანდრ რახმანოვი (რუსეთი)-ალექსანდრ შიმანოვი (რუსეთი).

ექვსი ტურის შემდეგ დუბოვს 5.5 ქულა აქვს, ჯობავა მას ნახევარი ქულით ჩამორჩება. 10-მა მოჭადრაკემ 4.5-4.5 ქულას მოუყარა თავი. დღეს მე-7 ტურში ქართველი დიდოსტატი თეთრი ფიგურებით ერთპიროვნულ ლიდერს დაუპირისპირდება. შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

სუპერლიგა 2013-14. XXII ტური

# აჭარაშიც დინამო

ლოგიკური გამოდგა სუპერლიგის მე-12 ტური. გაიმარჯვეს სატურნირო ცხრილის ზედა საფეხურზე მყოფმა გუნდებმა და სატურნირო ცხრილს კვლავ „არმია" ლიდერობს. თუმცაღა, მდევარზე ერთით ნაკლები მატჩი აქვს ჩატარებული და პოტენციურ ლიდერებად დინამოელები ითვლებიან.



**14 თებერვალი, ბათუმი**

ბათუმი **59**

9:25, 14:15, 21:13, 15:19

დინამო **72**

**ბათუმი:** რამიშვილი (5ქ), ნინუა, ელიაშვილი, მაკქეფრი (8ქ, 3პ), კეშელავა, კობიძე, ბოლქვაძე (2ქ, 5მ), ელიაძე, ქედუგანი (19ქ, 4პ), სეფოლდი (11ქ, 8მ, 3პ), ჯექსონი (14ქ, 8მ).

**დინამო:** გამყრელიძე (13ქ, 7მ, 7პ), კარტერი (15ქ, 16მ, 3პ), ბ. ლეჟავა (10ქ, 4პ), ბიბილური, მილოშევიჩი (14ქ, 14მ), პეშიჩი (13ქ), ჭოჭუა (2ქ), სტოიაკოვიჩი (5ქ, 4მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

გადამწყვეტი. მესამე პერიოდის ბოლოს **მილოშევიჩი-გამყრელიძე-კარტერის** სიზუსტის წყალობით „დინამომ" 8:0 გაქცევა მოაწყო და 53:39 დაწინაურდა... ასეთი ფორის შენარჩუნება დინამოელებს" ამ სეზონში არ უჭირთ.

სტატისტიკა არ ტყუის. „ბათუმმა" სტუმრებს ფარქვეშ ვერაფერი მოუხერხა, მოხსნებში 34:51 ჩამორჩა.

გამორჩეული. მილოშევიჩმა ბურთი 14-ჯერ მოხსნა, კარტერმა 16-ჯერ. პერიმეტრიდან კი მათ გამყრელიძე დაეხმარათ - 13 ქულა, 7 პასი, 7 მოხსნა.

**15 თებერვალი, თბილისი**

შსს აკადემია **74**

20:19, 11:24, 15:25, 28:24

არმია **92**

**შსს აკადემია:** ჩიკვილაძე (9ქ, 7პ), ლაფანაშვილი (3ქ), ბოქოლიშვილი (4ქ, 3პ), ლონდარიძე (7ქ, 8მ, 3ჩ), ილიჩი (16ქ, 14მ, 3დ), ლომოური (9ქ), ბრაუნი (23ქ, 5მ, 3პ), როგავა (1ქ), ტომარაძე (2ქ).

**არმია:** ბაბუნაშვილი (10ქ, 3ჩ), ბაბიაშვილი (10ქ, 8მ), ბოისა (8ქ), ბერიშვილი (32ქ, 10მ), კვიმსაძე, ჯგერენაია (3ქ), წივწივაძე (7ქ, 13პ), ტუჯანი (5ქ), შარაბიძე (17ქ, 8მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი

გადამწყვეტი. პირველ მეოთხედში ტაბლოზე 9:9 ეწერა, როცა არმიელმა **მიშა ბერიშვილმა** ორი სამქულიანი ჩააგდო, ამას შორეული ორიანი მიაყოლა და 17:9. „შსს აკადემია" ბევრს ეცადა, მაგრამ ვერც მიშა გააჩერა და ვერც „არმია".

სტატისტიკა არ ტყუის. აკადემიელებმა მხოლოდ 3 სამქულიანი გამოიყენეს, მაშინ, როცა არმიელებმა შორი დისტანციიდან ბურთი 9-ჯერ ჩააგდეს.

გამორჩეული. ბერიშვილმა 7-დან 5 სამქულიანი, 10-დან 8 ორქულიანი, 1-დან 1 საჯარიმო გამოიყენა და 32 ქულამდე ავიდა. ასევე არ უნდა გამოგვრჩეს მისი თანაგუნდელის, მე-13 ნომრის, **ბექა წივწივაძის** 13 პასი...

**15 თებერვალი, თბილისი**

მაკაბი **52**

12:24, 15:21, 16:19, 9:27

ქუთაისი **91**

**მაქაბი:** ტეტელაშვილი (3ქ, 6პ), გულმაგარაშვილი, მ. რევაზაშვილი (13ქ, 6მ), პატარაია, ბეშქენაძე (4ქ), გ. რევაზაშვილი (8ქ, 7მ), ლ. რევაზაშვილი (12ქ, 6მ), ფერიაშვილი (10ქ, 12მ), ნანიტაშვილი (2ქ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (14ქ, 6პ), დიდია (10ქ), ცეკვავა (4ქ, 8პ, 5მ), მესხი, დ. ბარბაქაძე (15ქ, 7მ, 4პ, 2დ), ლომინაშვილი (14ქ, 13მ, 2დ), გ. ბარბაქაძე (16ქ, 9მ), დვალიშვილი (8ქ, 15მ), ქორიძე (4ქ, 5მ), გამრეკლიძე (6ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი, მ. ვართანოვი.

გადამწყვეტი. პირველი მეოთხედი „ქუთაისმა" 24:12 მოიგო...

სტატისტიკა არ ტყუის. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ქუთათურთა უპირატესობა ფარქვეშ. მათ მოხსნებში 68:44 იმარჯვეს, ხოლო სამწამიანი ზონიდან ჩაგდებულ ქულებში - 66:24.

გამორჩეული. ახალგაზრდა ქუთაისელმა **ავთო ლომინაშვილმა** სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, ორმაგი დუბლი მიითვალა - 14 ქულა, 13 მოხსნა.

**15 თებერვალი, თბილისი**

სოხუმი **79**

19:21, 17:20, 24:11, 19:13

რუსთავი **65**

**სოხუმი:** ჩლაიძე (25ქ, 7პ), კოპალიანი, მეგენეიშვილი, შვანგირაძე (9ქ, 6მ), გაბისონია (4ქ), ბააკაშვილი (10ქ, 7პ, 3ჩ), ქადარია (18ქ, 11მ), დეკანოიძე, ბექაური (13ქ, 20მ, 3პ, 2დ).

**რუსთავი:** მაჭავარიანი (10ქ), გ. არაბული, არწივიძე, ხმელიძე (17ქ, 9მ, 5პ, 3ჩ), აბაიშვილი (18ქ, 6მ), ჩაჩანიძე (6ქ), ყველაშვილი (3ქ, 10მ, 2დ), ჯ. არაბული (2ქ), მაისურაძე (9ქ, 8მ, 3პ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი, გ. მიქელაძე.

გადამწყვეტი. უხელფასო „სოხუმმა" საბოლოოდ მაინც მოახერხა წინა ტურის სენსაციის ავტორი „რუსთავის" ძლევა. ქუთაისელების დამარცხების შემდეგ ქვემოქართლელები „სოხუმთანაც" გამარჯვების იმედად გავიდნენ მოედანზე, მესამე პერიოდის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 52:50-ს იგებდნენ კიდეც, მაგრამ მეოთხედის ბოლომდე კონცენტრაცია დაკარგეს და „სოხუმმა" 10:0 გაქცევა მოაწყო (60:52).

სტატისტიკა არ ტყუის. გუნდებს შორის დიდი სხვაობა არც ერთ კომპონენტში დაფიქსირებულა, თუმცა სოხუმელებმა თამაშიდან უკეთ სტყორცნეს (40-პროცენტიანი სიზუსტით 31.3-პროცენტის წინააღმდეგ) და 14 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს.

გამორჩეული. სოხუმელმა **ბექა ბექაურმაც** სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა - 13 ქულა, 20 მოხსნა.

ვაჟა სიმონიშვილი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 11 | 9 | 2 | 962/799 | 20 |
| 2. დინამო | 10 | 9 | 1 | 868/650 | 19 |
| 3. ქუთაისი | 11 | 8 | 3 | 941/763 | 19 |
| 4. ბათუმი-რსუ | 11 | 6 | 5 | 958/951 | 17 |
| 5. სოხუმი | 11 | 6 | 5 | 850/782 | 17 |
| 6. შსს აკადემია | 10 | 5 | 5 | 776/749 | 15 |
| 7. რუსთავი | 11 | 3 | 8 | 738/877 | 14 |
| 8. ოლიმპი | 11 | 2 | 8 | 871/901 | 12 |
| 9. მაკაბი | 11 | 0 | 11 | 812/1304 | 11 |

კალათბურთი. ქართველები ესპანეთში



გიორგი შერმადინი

# კუჭი

**ვიქტორ სანიკიძისა** და **გიორგი შერმადინის** „სარაგოსამ" ესპანეთის ჩემპიონატში ფასეული გასვლითი გამარჯვება მოიპოვა - ტენერიფეს „იბეროსტარი" 78:75 დაამარცხა.

ვიქტორმა 12 წუთში 3-3 მოხსნა-პასი მიითვალა, ხოლო შერმადინს არ უთამაშია. ამის მიზეზად კუჭთან დაკავშირებული პრობლემები სახელდება.

შესაძლოა, შერმადინის დასვენება და სანიკიძის ნაკლებად დატვირთვა „სარაგოსას" მთავარი მწვრთნელის ჩანაფიქრია - არაგონელებს ხომ ოთხშაბათს ევროთასის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრა ელით თურქულ „ბეშიქტაშთან". 7-ზე მეტი ქულის სხვაობით მოგების შემთხვევაში „სარაგოსა" პლეიოფის საგზურს მიიღებს.

ვაჟა სიმონიშვილი

ჭადრაკი



ნიკა ვოლკოვი

# ვერაზე თასები განაწილდა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის - **კახი ჩიგოგიძის** თასის გათამაშება (საპრიზო ფონდი 3000 ლარი), რომელშიც 16 და 18 წლის უძლიერესი მოთამაშეები მონაწილეობდნენ.

16-წლამდელ გოგონებში 5,5 ქულით პირველი ადგილი **ლილე ქორიძემ** დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა **დალი ნანეიშვილი**, 4,5 ქულით მესამე ადგილი **მარიამ ჯავახიშვილს** ერგო. ბიჭებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **გიორგი სიბაშვილი** (6,5 ქულა), 2. **გიორგი ბეჭვაია** (5,5), 3. **ლუკა ლიჩელი** (5,5).

18-წლამდელ გოგონებში 6,5 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა **ნინო ხომერიკი**. 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილები **ლიკა კობეშავიძემ** და **ადა ქაქუთიამ** გაინაწილეს. მთავარი პრიზი კი 7,5 ქულით **ნიკა ვოლკოვმა** დაიმსახურა. 7 ქულით მეორე იყო **ირაკლი ბერაძე**, 6,5 ქულით მესამე ადგილი **ნიკა ლვამბერიამ** დაიკავა.

ტურნირის საზეიმო დახურვისას სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ, დიდოსტატმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ** ხაზგასმით აღნიშნეს უდროოდ გარდაცვლილი ფედერაციის ექსპრეზიდენტის ღვაწლი ქართული ჭადრაკის განვითარებაში. ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები მათთან ერთად დააჯილდოვა კახი ჩიგოგიძის პატარა შვილიშვილმა **ანასტასიამ**, რომელიც ახლა ცდილობს ბრძენთა თამაშის ლაბირინთებში გარკვევას.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძიუდო. ავსტრიის ტურნირი

*მე-10 გვერდიდან*

**რომბო და სილვასთან** წააგო, კირაკოზაშვილმა – მეხუთე ადგილოსან **ბრუნო მენდოსასთან.** ის ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და არათუ ეროვნულში, ახალგაზრდებშიც არ უასპარეზია, ხოლო ავსტრიაში ორი პაექრობა მოიგო. თან ორჯერვე მასზე ბევრად გამოცდილებს აჯობა– იტალიელ **ენრიკო პარლატის** და კანადელ **არტურ მარგელიდონს.** შაბათს ის ჩვენგან ერთადერთი იყო, ვინც სანუგეშოში გადავიდა, თუმცა იქ არგენტინელ **ალეხანდრო კლარასთან** პირველივე შეხვედრა დათმო. მათ ჯერ ისევ ეტყობათ გამოუცდელობა. მაგალითად, ზოგიერთ შეხვედრაში დაწინაურების შემდეგ ძალიან ადრე დაიწყეს ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვა. ალბათ, მწვრთნელებმა უფრო მეტად უნდა ამუშაონ იმაზე, როგორ გაიყვანონ დრო, როგორ შეინარჩუნონ უპირატესობა. კირაკოზაშვილის მარცხიც ალბათ უფრო გამოუცდელობის ბრალია ბრაზილიელთან, თორემ იმასაც უგებდა და დასრულებამდე სულ რაღაც 25 წამით ადრე დავარდა ილეთზე.

დანარჩენებიდან ცალკეული გამონათებები მხოლოდ ზემოხსენებულმა პაპუნაშვილმა, **გელა კელიხაშვილმა** (66), **ზურაბ ნოზაძემ** (73) და **პაატა ლვინიაშვილმა** (90) თუ გვიჩვენეს. ამათგან პაპუნაშვილმა ორი შეხვედრა მოიგო, დანარჩენებმა – თითო, თუმცა ალსანიშნავია, რომ ნოზაძემ მრავალნაცად რუმინელ **დან გეორგე ფასიეს** მოუგო. სამწუხაროდ, დანარჩენებზე დამამშვიდებელს ვერაფერს გეტყვით – **გიორგი ბროლაშვილი, პაატა მერებაშვილი** (ორივე – 60), **გიორგი ქალდანი** (66), **ლაშა ზურაბიანი** (81), **დავით ლორიაშვილი, რევაზ ჩიკოიძე** (ორივე – 100), **გიორგი ზაქარიაძე, როსტომ ხახალეიშვილი, ონისე ბულაძე და გიგა გელაშვილი** (ოთხივე - +100) პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ. თან, ყველამ ისე წააგო, მხოლოდ მერებაშვილზე თუ დაგვწყდება გული, სადაც მსაჯებსაც შეიძლება, მივედავოთ გაფრთხილებებზე. განსაკუთრებით ცუდი სურათი გუშინ იყო, როცა 100-ში და მძიმე წონებში ჩვენი 6-ვე ფალავანი პანტა-პუნტით დაგვიმარცხეს, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წაგებაში... ძიუდოში საერთო სურათის გამოსწორების მიუხედავად, რეზერვთან კვლავაც ბევრია სამუშაო.

### კვარცხლბეკი

#### ვაჟები

**60 კგ.** 1. რიო კავაბატა (იაპონია); 2. ფელიპე კიტადაი; 3. დიეგო სანტოსი (ბრაზილია), ხუან პოსტიგოსი (პერუ).

**66 კგ.** 1. კენგოტაკაიში (იაპონია); 2. ბატსუური ადიია (მონღოლეთი). 3. იუჰეი როკუგო (იაპონია), რენე შნაიდერი (გერმანია).

**73 კგ.** 1. ტაკენორი ნაკამურა (იაპონია); 2. ოდბაიარ განბაატარი (მონღოლეთი); 3. ზელიმხან ოზდოევი (რუსეთი), ალექს რომბო და სილვა (ბრაზილია).

**81 კგ. 1. ზებედა რეხვიაშვილი (საქართველო);** 2. ნატოინ ვალოის-ფორტიერი (კანადა); 3. სრდჯან მრვალჯევიჩი (ჩერნოგორია), მარსელ ოტი (ავსტრია).

**90 კგ. 1. ზვიად გოგოჭური (საქართველო);** 2. მურატ გასიევი (რუსეთი); 3. ვალტერ ფაკენტი (იტალია), პეტერ პალტჩიკი (ისრაელი).

**100 კგ.** 1. ლუსიანო კორეა (ბრაზილია); 2. ჩინგიზ მამედოვი (ყირგიზეთი); 3. ივან რემარენკო (არაბთა გაერთიანებული საამიროები), რიოსუკე ტაკაჰაში (იაპონია).

**+100 კგ.** 1. ბარნა ბორი (უნგრეთი); 2. ტაკეში ოჯიტანი (იაპონია); 3. სოსლან ბოსტანოვი (რუსეთი), მარიუს პასკევიჩიუსი (ლიტვა).

**ირაკლი თავაძე**




ზვიად გოგოჭური

## რაგბი. ლეგიონერები



მარჯვნივ ვიქტორ კოლელიშვილი

# კოლელიშვილის მორიგი ლელო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე შვიდი ტურით ადრე ვითარება უკიდურესად დაიძაბა. საპლეიოფო ექვსეულში ისევ ქართველ მორაგბეთა გუნდები არიან, თუმცა გადამწყვეტ ეტაპზე მოხვედრის შანსი კიდევ ორ ქართულ გუნდს, „მეტრო რასინგს" და „ბრივს" გაუჩნდა, რომლებიც, შესაბამისად, მერვე-მეცხრე ადგილზე იმყოფებიან.**

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" სტუმრად წააგო „გრენობლთან" - 13:16. თუმცა, მიუხედავად ამისა, „ვულკანები" ლიდერობას მაინც ინარჩუნებენ. არადა, 68-ე წუთამდე სწორედ ჩვენებურის გუნდი იგებდა და დასანანი ლელო მიილო, რაც მარცხის ფასად დაუჯდა. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 57-ე წუთზე შეცვალეს.

მეორე ადგილზე დამკვიდრდა **მამუკა გორგოძისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე", რომელმაც შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანი" - 50:19. საგულისხმოა, რომ მე-10 წუთამდე ანგარიშში წინ სტუმრები იყვნენ - 10:6. თუმცა, ამის მერე, მონპელიელთა უპირატესობა ხუთ ლელოში აისახა. ორ-ორი ლელო **ალექს ტულუმ** და **რენე რენჯერმა** მიითვალეს.

ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, ნარიაშვილმა მოედანზე 12 წუთით მეტი დაყო, გორგოძე განაცხადში არ იყო.

მეორე საფეხურიდან მესამეზე დაქვეითდა **დავით ქუბრიაშვილისა და ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე", რომელმაც სტუმრად წააგო **კარლენ ასეიშვილისა და გოდერძი შველიძის** „ბრივთან" - 12:28. შედეგად ბრიველები საგრძნობლად მიუახლოვდნენ ლიდერთა ჯგუფს და შესანიშნავი შანსი აქვთ პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძოლონ.

ასეიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შველიძემ შეცვალა, ქუბრიაშვილი ტრავმირებულია, ჟვანია განაცხადში არ იყო.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა". ჩვენებურთა ამ გუნდმა შინ დაამარცხა საფრანგეთის ჩემპიონი, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" 19:13 და სატურნირო ცხრილში გადაუსწრო.

ჩილაჩავამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 49-ე წუთზე შეცვალეს, ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის იყო, თუმცა მოედანზე არ გამოჩენილა, მიქაუტაძე განაცხადში არ იყო.

საპლეიოფო ექვსეულს **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი" ხურავს, რომელმაც სტუმრად მოუგო გასავარდნად განწირულ ბასკურ „ბიარიცს" - 16:6. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

ლიდერებს წამოეწია **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგიც". პარიზელებმა შინ დაამარცხეს მეორე ბასკური გუნდი „ბაიონი" - 18:8. საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი თადარიგში იყო და თამაშში 68-ე წუთიდან ჩაერთო.

### I დივიზიონი

#### XIX ტური

**გრენობლი-კლერმონი 16:13, ტულონი-კასტრი 19:13, მეტრო რასინგი-ბაიონი 18:8, მონპელიე-პერპინიანი 50:19, ბიარიცი-ტულუზი 6:16, ბრივი-სტად ფრანსე 28:12, ოიონაქსი-ბორდო (გადაიდო).**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. კლერმონი - 55 ქულა, 2. მონპელიე - 53, 3. სტად ფრანსე - 52, 4. ტულონი - 51, 5. კასტრი - 51, 6. ტულუზი - 49, 7. გრენობლი - 49, 8. მეტრო რასინგი - 48, 9. ბრივი - 45, 10. ბორდო - 42, 11. პერპინიანი - 38, 12. ბაიონი - 38, 13. ოიონაქსი - 34, 14. ბიარიცი - 17.**

#### XX ტური

**კლერმონი-მონპელიე, პერპინიანი-ბრივი, გრენობლი-ბიარიცი, სტად ფრანსე-ოიონაქსი, ბორდო-მეტრო რასინგი, კასტრი-ტულუზი, ბაიონი-ტულონი.**

მეორე დივიზიონში კვლავ საგრძნობლად დაწინაურდა **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონი", რომელმაც შინ **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე" დაამარცხა დიდი ანგარიშით - 52:5. კოლელიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 36-ე წუთზე ლელო გაიტანა, შეყლაშვილი თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო. ლიონელები ახლა მეორეადგილოსან **ლექსო ყაულაშვილის** „ლა როშელს" 11 ქულით უსწრებენ.

„ლა როშელმა" თავის მხრივ შინ დაამარცხა პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი „პო" - 28:23. ყაულაშვილი თადარიგში იყო და თამაშში 74-ე წუთიდან ჩაერთო.

ლიდერს 12 ქულით ჩამორჩება **ტარიელ რატიანიძის** „აჟენი", რომელმაც სტუმრად წააგო „ნარბონთან" - 24:33. შერკინების ქართველ ბურჯს არ უთამაშია.

საპლეიოფო ხუთეულს მჭიდროდ მიუახლოვდა **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი", რომელმაც შინ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „ბურგუენი" - 18:16. სამივე ქართველმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა.

**ლევან დათუნაშვილისა და გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა" შინ მოუგო „კარკასონს" - 18:12. დათუნაშვილმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სრულად ითამაშა.

**კახაბერ კობერიძის, ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **ხვიჩა ბუჟიაშვილის** „ალბი" სტუმრად კოლომიესთან" ფრეს დასჯერდა „ - 6:6. თეთრაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს. სხვა ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

### II დივიზიონი

#### XX ტური

**ლა როშელი-პო 28:23, კოლომიე-ალბი 6:6, ტარბი-ბურგუენი 18:16, ორიაკი-კარკასონი 18:12, ოში-მონ დე მარსანი 0:19, ლიონი-ბეზიე 52:5, ნარბონი-აჟენი 33:24**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ლიონი - 74 ქულა, 2. ლა როშელი - 63, 3. აჟენი - 62, 4. პო - 58, 5. ნარბონი - 56, 6. ტარბი - 54, 7. კოლომიე - 52, 8. ორიაკი - 46, 9. ბურგუენი - 45, 10. მონ დე მარსანი - 41, 11. დაქსი - 40, 12. ბეზიე - 39, 13. ალბი - 32, 14. ბურგ ან ბრესი - 30, 15. კარკასონი - 27, 16. ოში - 27.**

#### XXI ტური

ალბი-ორიაკი, აჟენი-ოში, ბეზიე-კოლომიე, ბურგუენი-დაქსი, კარკასონი-ლა როშელი, მონ დე მარსანი-ლიონი, ბურგ ან ბრესი-ნარბონი, პო-ტარბი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# ხარებმა ჯიქები მოიგერიეს

საქართველოს ჩემპიონატი უმაღლეს ლიგაში 1 მარტიდან განახლდება. იქამდე რამდენიმე გადატანილი მატჩი გაიმართება. გუშინ კი რუსთავში გაზაფხულზე გასამართი ერთი შეხვედრა გუნდების შეთანხმების საფუძველზე რამდენიმე კვირით ადრე გაიმართა. „ხარებმა" შინ თბილისის „ჯიქები" მიიღეს და უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწიეს 22:17.

**ხარები–ჯიქები 22:17**

**ხარები:** 2ლ - გულიტაშვილი (2). 4ს - ხუციშვილი
**სინბინი:** გოგიაშვილი.
**ჯიქები:** 3ლ - ბიწაძე, სუხაშვილი, მამრიკიშვილი. გ - სვანიძე.

#### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 12 | 9 | 0 | 3 | +171 | 44 |
| 2.არმია | 12 | 8 | 1 | 3 | +142 | 41 |
| 3.ლოკომოტივი | 12 | 9 | 0 | 3 | +72 | 40 |
| 4.აია | 11 | 8 | 0 | 3 | +77 | 36 |
| 5.ყოჩები | 12 | 7 | 1 | 4 | +35 | 34 |
| 6.ჯიქები | 13 | 5 | 2 | 6 | +49 | 31 |
| 7.არმაზი | 11 | 7 | 0 | 4 | -13 | 30 |
| 8.ხარები | 13 | 2 | 0 | 11 | -167 | 11 |
| 9.აკადემია | 12 | 1 | 0 | 11 | -178 | 8 |
| 10.ბათუმი | 10 | 1 | 0 | 9 | -188 | 6 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

## რაგბი. ერთა თასი

# 26 დათვი შეიკრიბა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 22 თებერვალს, თბილისში ეროვნულ სტადიონზე რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნები" გამარჯვების შემთხვევაში 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის საგზურს გაინაღდებენ.

რუსეთის ნაკრების უელსელმა თავკაცმა **კინგსლი ჯოუნზმა** ის 26 მორაგბე დაასახელა, რომლებიც ჩვენს ნაკრებთან სათამაშოდ მოემზადებიან. უელსელის განკარგულებაში კვლავ არ არიან ძმები **ვალერი და გრიგოლ ცნობილაძეები**, რომლებიც საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ შეგნებულად არ თამაშობენ.

სამაგიეროდ, კვლავ რუსთა ნაკრებშია მოსკოველი **პაველ კვერნაძე,** რომელმაც „ბორჯღალოსნების" წინააღმდეგ ერთხელ უკვე ითამაშა. 2012 წელს, თბილისში ის მატჩი 46:0 მოვიგეთ. გაფართოებულ შემადგენლობაში არ არის შუამარბი **მიხაილ ბაბაევი.** სხვა მხრივ ჯოუნზმა რუსთა ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარა თავი.

შეგახსენებთ, რომ ერთა თასის მეორე ტურში რუსებმა შინ წააგეს რუმინეთის ეროვნულ გუნდთან 3:34. საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების დაპირისპირება შაბათს, ეროვნულ სტადიონზე 17 საათზე დაიწყება.

### რუსეთის ნაკრები

ვასილი არტემევი, იგორ გალინოვსკი, ვიქტორ გრესევი, ალექსეი მაკოვეცკი, ანდრეი ოტროკოვი, ვლადიმირ რუდენკო, ანტონ რიაბოვი, ალექსანდრ ხუდიაკოვი (ყველა-კრასნი იარი), პაველ ბუტენკო, დიმიტრი გერასიმოვი, ინოკენტი ზიკოვი, სტანისლავ სელსკი, ანდრეი ტემნოვი (ყველა-ენისეი), ალექსანდრ ვოიტოვი, ალექსეი ვოლკოვი, მაგომედ დაუდოვი, ვლადისლავ კორშუნოვი, ალექსანდრ იანუშკინი, სერგეი იანუშკინი (ყველა-ვვა), ანდრეი იგრეცოვი, სერგეი სუგრობოვი (ორივე-სალვა), პაველ კვერნაძე (ფილი), კირილ კულემინი, ანდრეი ოსტრიკოვი (ორივე-სეილ შარქსი), იური კუშნარიოვი (ყუბანი), სერგეი სეკისოვი (სტრელა-არგო).

### ერთა თასი

#### 22 თებერვალი

საქართველო-რუსეთი
ბელგია-პორტუგალია
რუმინეთი-ესპანეთი

**ბესიკ ჯანგავაძე**



| სამთო თხილამურები | |
|---|---|
| სუპერკომბინაცია. კაცები | |
| 1. სანდრო ვილეტა (შვეიც) | 2:45.20 |
| 2. ივიცა კოსტელიჩი (ხორ) | +0.34 |
| 3. კრისტოფ ინერჰოფერი (იტა) | +0.47 |

| სამთო თხილამურები | |
|---|---|
| სუპერგიგანტი. ქალები | |
| 1. ანა ფენინგერი (ავსტრია) | 1:25.52 |
| 2. მარია ჰიოფლ-რიში (გერ) | +0.55 |
| 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | +0.66 |

| სამთო თხილამურები | |
|---|---|
| სუპერგიგანტი. კაცები | |
| 1. ჩეტილ იანსრუდი (ნორ) | 1:18.14 |
| 2. ენდრიუ ვაიბრეხტი (აშშ) | +0.30 |
| 3. იან ჰუდეცი (კან) | +0.53 |
| 3. ბოდე მილერი (აშშ) | +0.53 |

| ფიგურული სრიალი | |
|---|---|
| კაცები | |
| 1. იუზურუ ჰანიუ (იაპ) | 280.09 |
| 2. პატრიკ ჩანი (კან) | 275.62 |
| 3. დენის ტენი (ყაზ) | 255.10 |

| ბიატლონი | |
|---|---|
| ინდივიდუალური. 15 კმ. ქალები | |
| 1. დარია დომრაჩევა (ბლრ) | 43:19.6 |
| 2. სელინა გასპარინი (შვეიც) | +1:15.7 |
| 3. ნადეჟდა სკარდინო (ბლრ) | +1:38.2 |

| სკელეტონი | |
|---|---|
| ქალები | |
| 1. ელიზაბეტ იარნოლდი (ბრიტ) | 3:52.89 |
| 2. ნოელ პიკუს-პეისი (აშშ) | +0.97 |
| 3. ელენა ნიკიტინა (რუს) | +1.41 |

| სკელეტონი | |
|---|---|
| კაცები | |
| 1. ალექსანდრ ტრეტიაკოვი (რუს) | 3:44.29 |
| 2. მარტინს დუკურსი (ლატ) | +0.81 |
| 3. მეტიუ ანტუანი (აშშ) | +2.97 |

| ფრისტაილი | |
|---|---|
| აკრობატიკა. ქალები | |
| 1. ალა ცუპერი (ბლრ) | 98.01 |
| 2. მენგტაო სუ (ჩინ) | 83.50 |
| 3. ლიდია ლასილა (ავსტრია) | 72.12 |

| შორტ-ტრეკი | |
|---|---|
| 1500 მ. ქალები | |
| 1. იან ჟოუ (ჩინ) | 2:19.140 |
| 2. სუკ ჰი შიმი (კორ) | 2:19.239 |
| 3. არიანა ფონტანა (იტა) | 2:19.416 |

სამთო თხილამურები

# სვინდალი თანამემამულემ დაჩრდილა

ქალების სუპერგიგანტში ავსტრიელი სპეციალისტების მიერ კონსტრუირებული ტრასა ძალიან რთული აღმოჩნდა მონაწილეებისთვის. ურთულესი პირველი სეგმენტი ოთხი კარით და საფინიშო მონაკვეთი, რომლის დროსაც მაღალი ტემპის გამო შეიძლებოდა ტრასაზე კონტროლის დაკარგვა.

შედეგად, სასტარტო ოქმში პირველი ათი მოთხილამურიდან მხოლოდ ამერიკელმა **ლინ სმიტმა** შეძლო ფინიშამდე მისვლა, დანარჩენები კი ერთი მეორეს მიყოლებით გამოეთიშნენ ბრძოლას. სიტუაცია მხოლოდ ამის შემდეგ გახდა სტაბილური.

საშუალედო ლიდერობა შვეიცარიელმა **ფაბიან სუტერმა** მოიპოვა, მაგრამ წინ იყო განთესილთა ჯგუფის წევრების გამოსვლა. ჯერ **ნიკოლ ჰოსპმა** გააუმჯობესა სუტერის შედეგი და პირველ ადგილზე მოკალათდა. არ გასულა ხუთი წუთი და ლიდერი მეორე ავსტრიელი **ანა ფენინგერი** გახდა, თან მან დისტანცია ძალიან დამაჯერებლად გაიარა. ვერც **ლარა გუტმა**, ვერც სუპერკომბინაციაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ტინა მაზემ** (სუპერკომბინაციაში მეორე ჩემპიონმა **დომინიკ გიზინმა** დისტანცია ვერ დაასრულა) ვერ შეძლეს ფენინგერის შედეგის გაუმჯობესება. ბოლო იმედი იყო გერმანელი **მარია ჰიოფლ-რიში.**

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კარგად დაიწყო და დისტანციის ეკვატორზე ლიდერობდა, მაგრამ აქ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: სპორტსმენის მოძრაობის ტრაექტორიასთან ძალიან ახლოს მივიდა ერთ-ერთი მსაჯი. როგორც ჩანს, ამან გერმანელს კონცენტრაცია დააკარგვინა და დაეცა მისი გამოსვლის ტემპიც და ხარისხიც. მაგრამ მარიამ მაინც ბოლომდე იბრძოლა და პოდიუმზე ასვლა შეძლო.

საბოლოოდ, ფენინგერმა ოქრო აილო, მისმა თანაგუნდელმა ჰოსპმა ბრინჯაო, ჰიოფლ-რიში კი ვერცხლით დაკმაყოფილდა. ემოციებით თუ ვიმსჯელებთ, გერმანელი მეორე ადგილით ძალიან კმაყოფილი იყო.



ჩეტილ იანსრუდი

■ ■ ■

მამაკაცების სუპერგიგანტი დათქმულ დროზე ერთი საათით ადრე დაიწყო. ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს სოჭის თბილი ამინდი და აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს: მხოლოდ ასე თუ შეძლებდნენ ისინი ყველა მონაწილის თანაბარ პირობებში ჩაყენებას.

მართლაც, ადრეული და გვიანი სასტარტო ნომრების მფლობელებს თითქმის ერთნაირი ტრასა ჰქონდათ, თუმცა ის პოდიუმი, რომელიც გუშინ მაყურებელმა იხილა, მაინც მოულოდნელი იყო.

მაგრამ ეს არ ეხება ნორვეგიელ **ჩეტილ იანსრუდს**, რომელიც შესანიშნავ ფორმას აჩვენებს სოჭში. ამ ოლიმპიადაზე მან აშკარად დაჩრდილა უფრო ტიტულოვანი თანამემამულე **აქსელ-ლუნდ სვინდალი.** იანსრუდმა ბრინჯაო მოიგო სწრაფდაშვებაში და სუპერკომბინაციაშიც ლიდერი იყო სწრაფდაშვების შემდეგ. გუშინ, ჩეტილს ბრწყინვალე სუპერგიგანტი გამოუვიდა და ამან კარიერაში პირველი ოლიმპიური ოქრო მოუტანა.

თუმცა იყო გუშინდელ სტარტზე ერთი მომენტი, როცა იანსრუდმა ძალიან ინერვიულა. გვიანი სასტარტო ნომრით ტრასაზე გავიდა ამერიკელი **ენდრიუ ვაიბრეხტი,** რომელსაც კარიერაში ერთადერთი წარმატება ჰქონდა - ბრინჯაო ვანკუვერის სუპერგიგანტში. არც მსოფლიოს თასის ეტაპებზე და არც მსოფლიოს ჩემპიონატებზე მას ბევრისთვის არ მიუღწევია. მაგრამ გუშინ ვაიბრეხტი ყველა საშუალედო ფინიშზე უგებდა იანსრუდს და მხოლოდ ფინიშთან ახლოს გაფლანგა ეს უპირატესობა: 0.3 წამი წააგო ნორვეგიელთან და მეორე ადგილზე გავიდა.

მესამე ადგილი გაიყვეს კანადელმა **იან ჰუდეკმა** და ამერიკელმა **ბოდე მილერმა**, რომლისთვისაც ეს იყო მეექვსე ოლიმპიური მედალი კარიერაში. პოდიუმის გარეშე დარჩნენ ავსტრიელები: ახალგაზრდა **ოტო შტრიდინგერს** ორი მეასედი წამი არ ეყო მესამე ადგილამდე. სვინდალი მხოლოდ მეშვიდე ადგილზე გავიდა.

ციგურებით სირბილი



იორიენ ტერ მორსი

# პოლონური სენსაცია და ისევ ნარინჯისფერი პოდიუმი

1500-მეტრიან დისტანციამდე ჰოლანდიის მამაკაცთა ნაკრებს სამიდან სამი ოქრო ჰქონდა მოგებული, მაგრამ მისი დომინირება შაბათს სენსაციურად შეწყდა.

ჰოლანდიელი **კოენ ვერვეი** ძალიან ახლოს იყო საკუთარი ნაკრების ოქროს სერიის გაგრძელებასთან, მაგრამ ბოლო გარბენში პოლონელმა **ზბიგნევ ბროდკამ** სასწაული მოახდინა და ზედ ფინიშზე შეძლო ვერვეის დროს გაუმჯობესება - სხვაობა პოლონელის სასარგებლოდ 0.03 წამი იყო. სენსაციური ეს შედეგი იმის გამოა, რომ ბროდკა 29 წლისაა და აქამდე არც ერთ დიდ ტურნირზე არც ერთი სინჯის მედალი არ ჰქონდა მოგებული. ის პირველი პოლონელია ისტორიაში, ვინც ამ სახეობაში ოლიმპიური ოქრო აილო.

მესამეზე გავიდა კანადელი **დენი მორისონი.** მან 1000 მეტრზე ვერცხლის სოჭში ბრინჯაო დაუმატა.

■ ■ ■

სამაგიეროდ, ჰოლანდიელთა სრული ტრიუმფით ჩაიარა 1500 მეტრზე ქალების ასპარეზობამ. უკვე მეცხრე გარბენში **იორიენ ტერ მორსმა** გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ყველა კონკურენტის ამბიციებს. ჰოლანდიელი ერთადერთი იყო იმ დღეს, ვინც წუთიდან და 54 წამიდან გამოვიდა და ოლიმპიური რეკორდიც დაამყარა.

ტერ მორსის გამოსვლის შემდეგ, ტექნიკური შესვენება გამოცხადდა და დარჩენილ მონაწილეებს მომხდარის გააზრების საშუალება მიეცათ. იორიენის განაცხადი ძალიან სერიოზული გამოდგა და მის შედეგთან მიახლოება მხოლოდ ლეგენდარულმა **ირენ ვიუსტმა** შეძლო. ის ერთადერთი იყო, ვინც ტერ მორსთან წამზე ნაკლები წააგო. ბოლო გარბენისას ბრინჯაო მოიპოვა **ლოტე ვან ბეკმა,** თუმცა ეს რომც ვერ მოეხერხებინა, პოდიუმი მაინც მთლიანად ჰოლანდიური იქნებოდა, რადგან მეოთხე ადგილიც ამ ქვეყნის წარმომადგენელს **- მარიტ ლენსტრას** ერგო.

ჰოლანდია მართლაც დომინანტია ციგურებით სირბილში. ამ ქვეყნის 17 მედლიდან 16 (!) სწორედ მოციგურავეებზე მოდის.

თხილამურებით რბოლა

# შვედების დუბლი ესტაფეტაში

ბოლო ორი დღის განმავლობაში, სათხილამურო რბოლაში ყველაზე საინტერესო სტარტები გაიმართა - ესტაფეტა ქალებსა და მამაკაცებს შორის.

ქალების სტრატის წინ, თეორიულად გამარჯვებულის საკითხი მოხსნილი იყო დღის წესრიგიდან. ნორვეგიის ჩემპიონობაში ყველა დარწმუნებული იყო, რადგან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ამ გუნდს არც ერთი ესტაფეტა არ ჰქონდა წაგებული მსოფლიოს თასის ეტაპებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

მაგრამ უკვე პირველ ეტაპზე გამოჩნდა, რომ **ჰაიდი ვენგს** ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდა. ნორვეგიელი თითქოს ახლოს იყო ლიდერებთან, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მაინც ჩამორჩა მათ და მდევრის როლში გადასცა ესტაფეტა **ტერეზა იოჰაუგს.** აქ კი უკვე ცხადი გახდა, რომ ნორვეგიელებს სერიოზული პრობლემები ჰქონდათ: იოჰაუგმა, რომელმაც ორი დღით ადრე ბრინჯაო აილო 10-კილომეტრიან დისტანციაზე, კონკურენცია ვერ გაუწია დაწინაურებულებს. მესამე და მეოთხე ეტაპებზე **ასტრიდ იაკობსენმა** და **მარიტ ბიორგენმა** სიტუაცია ვერ გამოასწორეს და ფავორიტი მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა. მას საფრანგეთმაც კი გაუსწრო.

გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ფინეთის, შვედეთისა და გერმანიის ნაკრებები. ბრძოლა დაიძაბა მესამე ეტაპზე, როცა ფინელი **კერტუ ნისკანენი** და გერმანელი **კლაუდია ნისტადი** შვედ **ანა ჰოგს** დაშორდნენ. ბოლო ეტაპზე ოქროს მედალი **ლატენმიაკისა** და **ჰერმანს** უნდა გაეთამაშებინათ, რადგან შვედმა **შარლოტა კალამ** 25-წამიანი ჩამორჩენით მიიღო ესტაფეტა.

თუ ლატენმიაკი და ჰერმანი ერთად მივიდოდნენ საფინიშო სწორ მონაკვეთზე, ჰერმანს უპირატესობა უნდა ჰქონოდა, რადგან ის მსოფლიოს თასზე სპრინტის ჩათვლაში ლიდერი გახლავთ. მაგრამ ყველაფერი სხვანაირად მოხდა. კალამ სასწაული შეძლო: 25-წამიანი ჩამორჩენა გააბათილა და ფინიშზეც მეტი ძალა შერჩა, რამაც შვედეთს პირველი ოქრო მოუტანა ამ ოლიმპიადაზე. ჰერმანმა ორივე კონკურენტთან წააგო საფინიშო სპრინტი და გერმანია მესამეზე გავიდა, ვერცხლი კი ფინეთის კვარტეტმა აილო.

■ ■ ■

ნორვეგიის სათხილამურო ნაკრების კრიზისი მამაკაცთა ესტაფეტაშიც თვალშისაცემი იყო. ქალების სასტიკი მარცხის შემდეგ, ქვეყნის ღირსება კაცებს უნდა დაეცვათ, მაგრამ არც მათ გამოუვიდათ არაფერი. ნორვეგიელთა კვარტეტის ლიდერებმა - **მარტინ სუნბიუმ** და **პეტერ ნორტუგმა** საშუალოზე დაბალი დონე აჩვენეს და ძალიან შორს იყვნენ პოდიუმისგან.

ამასობაში, ნორვეგიის მთავარი კონკურენტი - შვედეთი ბრწყინვალე მზადყოფნას აჩვენებს. ამ გუნდმა შესანიშნავი რბოლა ჩაატარა, მისი ოთხივე წევრი აგრესიულად უტევდა და ეჭვი არავის შეპარვია მათ უპირატესობაში. თუმცა გუშინდელ ესტაფეტაში იყო მომენტი, როცა შვედების ლიდერობას საფრთხე დაემუქრა. მესამე ეტაპზე რუსეთის ნაკრების წევრმა **ალექსანდრ ლეგკოვმა** პელოტონის შუა ნაწილიდან მეორე ადგილზე გადაიყვანა თავისი გუნდი, ხოლო მეოთხე ეტაპის დასაწყისში **მაქსიმ ველიგჟანინმა** თანდათან დაიწყო **ჰელნერთან** მიახლოება. მაგრამ რუსი დაიღალა და მხოლოდ მეორე ადგილის შენარჩუნება შეძლო. საფრანგეთის მესამე ადგილი მთავარი სენსაცია გახდა, ისევე როგორც, ნორვეგიელთა მეოთხე პოზიცია.



შვედების გუშინდელი ფინიში

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

| შორტ-ტრეკი | |
|---|---|
| **1000 მ. კაცები** | |
| 1. ვიქტორ ანი (რუს) | 1:25.325 |
| 2. ვლადიმირ გრიგორიევი (რუს) | 1:25.399 |
| 3. სინკიე კნეგტი (ჰოლ) | 1:25.611 |

| ციგურებით სირბილი | |
|---|---|
| **1500 მ. კაცები** | |
| 1. ზბიგნევ ბროდკა (პოლ) | 1:45.006 |
| 2. კოენ ვერვეი (ჰოლ) | +0.03 |
| 3. დენი მორისონი (კან) | +0.22 |

| ციგურებით სირბილი | |
|---|---|
| **1500 მ. ქალები** | |
| 1. იორიენ ტერ მორსი (ჰოლ) | 1:53.51 |
| 2. ირენ ვიუსტი (ჰოლ) | +0.58 |
| 3. ლოტე ვან ბეეკი (ჰოლ) | +1.03 |

| ტრამპლინიდან ხტომა | |
|---|---|
| **K-125. კაცები** | |
| 1. კამილ შტოხი (პოლ) | 278.7 |
| 2. ნორიაკი კასაი (იაპ) | 277.4 |
| 3. პეტერ პრევცი (სლოვენ) | 274.8 |

| სნოუბორდი | |
|---|---|
| **სნოუბორდ-კროსი. ქალები** | |
| 1. ევა სამკოვა (ჩეხ) | |
| 2. დომინიკ მალტე (კან) | |
| 3. ქლოე ტრესპოში (საფ) | |

| თხილამურებით რბოლა | |
|---|---|
| **15 კმ. კაცები** | |
| 1. დარიო კოლონია (შვეიც) | 38:29.7 |
| 2. იოჰან ოლსონი (შვედ) | +28.5 |
| 3. დანიელ რიკარდსონი (შვედ) | +38.8 |

| თხილამურებით რბოლა | |
|---|---|
| **ესტაფეტა 4x5 კმ. ქალები** | |
| 1. შვედეთი | 53:02.7 |
| 2. ფინეთი | +0.5 |
| 3. გერმანია | +0.9 |

| თხილამურებით რბოლა | |
|---|---|
| **ესტაფეტა 4x10 კმ. კაცები** | |
| 1. შვედეთი | 1:28:42.0 |
| 2. რუსეთი | +27.3 |
| 3. საფრანგეთი | +31.9 |

### ტრამპლინიდან ხტომა

# 41 წლის პრიზიორი

ტრამპლინიდან მხტომელებმა მედლების მეორე კომპლექტი გრძელ ტრამპლინზე გაითამაშეს. მთელი ამ სტარტის განმავლობაში ამინდი ხშირად იცვლებოდა: ხან ქარი ამოვარდებოდა, ხან ბუნება მშვიდდებოდა, მაგრამ საერთო ჯამში, ამას არ უმოქმედია ძალთა ლოგიკურ გადანაწილებაზე.

პირველი ცდის შემდეგ ლიდერობდა საშუალო ტრამპლინში ჩემპიონი, პოლონელი **კამილ შტოხი**, თუმცა მისი უპირატესობა **ნორიაკი კასაისა** და **ზევერინ ფროინდზე** დიდი არ ყოფილა. სლოვენიელი **პეტერ პრევციც** ახლოს იყო და ინარჩუნებდა მედლების შანსს. მოკლედ, შედეგები ძალიან მჭიდრო იყო და მეორე ცდა საინტერესო უნდა გამოსულიყო.



კასაი და შტოხი

ქარი აქაც ჩაერია საქმეში: ზოგისთვის ის შემხვედრი იყო, ზოგისთვის ზურგის, თან მსაჯებს გადმოსახტომი მანძილის შემცირება მოუწიათ უსაფრთხოების სიტუაციიდან გამომდინარე.

შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, კამილ შტოხის მეორე ოქროს საფრთხე დაემუქრა. მხოლოდ 1.3 ქულა წააგო პოლონელთან 41წლის იაპონელმა ნორიაკი კასაიმ, არადა, გამარჯვების შემთხვევაში, ის ზამთრის თამაშების ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი გახდებოდა. იაპონელს ძალიან კარგი მეორე ცდა ჰქონდა, რასაც შტოხმა საშუალო დონის ნახტომით უპასუხა, ამიტომაც, დიდი ხანი გაურკვეველი იყო - ვინ გაიმარჯვა. საბოლოოდ, ოქრო ისევ შტოხს ერგო, მაგრამ კასაის ვერცხლი ბევრის ოქროს სჯობდა.

ექვსქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, მესამე ადგილზე გადასვლა შეძლო პეტერ პრევცმა, ზევერინ ფროინდმა კი მეორე ცდა ჩააგდო და გერმანია ისევ უმედლოდ დარჩა.

რაც შეეხება ნორიაკი კასაის, იაპონელის ყველაზე დიდი წარმატება 1992 წლით თარიღდება, როცა მან ჩეხეთში მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. დღეს რთული დასაჯერებელია, მაგრამ კასაიმ ეს ოქრო 22 წლის წინ აიღო. დღეს მსოფლიოს ელიტაში შემავალი სპორტსმენების დიდი ნაწილი მაშინ დაბადებულიც არ იყო.

### სნოუბორდი



ევა სუკოვა

# იოლი ოქრო ჩეხებს

ჩეხეთის ნაკრებმა სოჭის ოლიმპიადაზე პირველი ოქრო აილო. ამ თამაშებზე ქალთა სნოუბორდ-კროსი ერთ-ერთი იმ სახეობათაგანი იყო, სადაც ერთი სპორტსმენის აშკარა დომინირება შეინიშნებოდა.

**ევა სამკოვამ** ყველა ეტაპი ძალიან დამაჯერებლად მოიგო და ფინალშიც მეტოქეებს შანსი არ დაუტოვა. გადამწყვეტ ცდაზე ერთადერთი სპორტსმენი, რომელიც ასე თუ ისე ღირსეულ მანძილს ინარჩუნებდა სამკოვასთან, გამოცდილი კანადელი **დომინიკ მალტე** იყო, რომელიც მეორე მივიდა ფინიშთან. საპრიზო სამეულში მოულოდნელად 19 წლის ფრანგი **ქლოე ტრესპოში** მოხვდა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ტურინის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის **ლინდსი ჯეკობელისისა** და ვანკუვერის თამაშების ჩემპიონის **მაელ რიკერის** ფიასკო. ამერიკელმა ვერ შეძლო ფინალში მოხვედრა ნახევარფინალში წაქცევის გამო, რიკერმა კი სოჭში გამოსვლა მეოთხედფინალურ სტადიაზე დაასრულა.

### ჰოკეი. კაცები

**A ჯგუფი**

**II ტური**

**სლოვაკეთი-სლოვენია 1:3**

0:0, 0:0, 1:3

**გოლები:** 0:1 ტიჩარი-1 (ვგლიჩი-1, საბოლიჩი-2), 0:2 რაზინგარი-1 (ურბასი-1, როდმანი-1), 0:3 კოპიტარი-1 (მურშაკი-1), 1:3 იურკო-1 (ზაბორსკი-1, ხარა-1).

**აშშ-რუსეთი 3:2 (ბ)**

0:0, 1:1, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 დაციუკი-1 (მარკოვი-1, რადულოვი-2), 1:1 ფაულერი-1 (ვან რიმსდიკი-3, კესელი-3), 2:1 პაველსკი-1 (კეინი-3, შატენკირკი-2), 2:2 დაციუკი-2 (მარკოვი-2).

**გამარჯვების ბულიტი:** ოში.

**III ტური**

**რუსეთი-სლოვაკეთი 1:0 (ბ)**

0:0, 0:0, 0:0, 0:0, 1:0

**გამარჯვების ბულიტი:** რადულოვი.

**სლოვენია-აშშ 1:5**

0:2, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 კესელი-2 (პაველსკი-1), 0:2 კესელი-3 (პაველსკი-2, ორპიკი-1), 0:3 კესელი-4 (ვან რიმსდიკი-4, პაველსკი-3), 0:4 მაკდონაპი-1 (უილერი-1, ოში-3), 0:5 ბეკსი-2 (კელეპანი-1, ბრაუნი-1), 1:5 მ. როდმანი-1 (დ. როდმანი-1, ურბასი-2).

| | თ | მ | ოგ | ოწ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 15-4 | 8 |
| 2. რუსეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 8-5 | 6 |
| 3. სლოვენია | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 6-11 | 3 |
| 4. სლოვაკეთი | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 2-11 | 1 |

**B ჯგუფი**

**II ტური**

**კანადა-ავსტრია 6:0**

2:0, 4:0, 0:0

**გოლები:** 1:0 დაუტი-2 (ტეივზი-1), 2:0 უებერი-2 (პერი-1, გეტცლაფი-2), 3:0 კარტერი-1 (მარლო-2, კროსბი-1), 4:0 კარტერი-2 (მარლო-3, პიეტრანჯელო-1), 5:0 კარტერი-3 (მარლო-4, უებერი-1), 6:0 გეტცლაფი-1.

**ნორვეგია-ფინეთი 1:6**

0:3, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 სელიანე-1 (ვატანენი-4, ლეპტონენი-1), 0:2 კორპიკოსკი-1 (ო. იოკინენი-2, მაატა-1), 0:3 ლეპტერია-1, 0:4 კორპიკოსკი-2 (მაატა-2, ტ. რუუტუ-2), 0:5 ო. იოკინენი-1 (სალო-1, ტ. რუუტუ-3), 1:5 სკრედერი-1 (მ. ოლიმბი-2, ჰოლესი-1), 1:6 მაატა-2 (კონტიოლა-2, ლეპტონენი-2).

**III ტური**

**ავსტრია-ნორვეგია 3:1**

2:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 გრაბნერი-4 (პეკი-1, ლუკასი-1), 2:0 რაფლი-1 (გრაბნერი-1), 2:1 სკრედერი-2 (ტორესენი-1), 3:1 გრაბნერი-5 (ველცერი-1).

**ფინეთი-კანადა 1:2 (ო)**

0:1, 1:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 დაუტი-3 (უებერი-2, კროსბი-2), 1:1 ტ.რუუტუ-1 (ი. იოკინენი-2, ო. იოკინენი-3), 1:2 დაუტი-4 (კარტერი-1).

| | თ | მ | ოგ | ოწ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 11-2 | 8 |
| 2. ფინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 15-7 | 7 |
| 3. ავსტრია | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 7-15 | 3 |
| 4. ნორვეგია | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 3-12 | 0 |

**C ჯგუფი**

**II ტური**

**ჩეხეთი-ლატვია 4:2**

2:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ერატი-1 (კრეიჩი-1, პემსკი-1), 1:1 სპრუკტსი-1 (რედლიჰსი-1, დარძინში-1), 2:1 იაგრი-2 (ჟიდლიცკი-1, პლეკანეცი-2), 2:2 ვასილიევსი-1 (პუიაცი-1), 3:2 ვორაჩეკი-1 (ზ. მიხალეკი-1), 4:2 ჟიდლიცკი-2 (ჰანზალი-1, ნედვედი-1).

**შვედეთი-შვეიცარია 1:0**

0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 ალფრედსონი-1 (ე. კარლსონი-1, ბერგლუნდი-1).

**III ტური**

**შვეიცარია-ჩეხეთი 1:0**

1:0, 0:0, 0:0

**გოლი:** 1:0 ბოდენმანი-1 (ჰოლენშტაინი-1, რომი-1).

**შვედეთი-ლატვია 5:3**

1:1, 3:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ბერგლუნდი-2 (ე. კარლსონი-2, სტინი-2), 1:1 დარძინში-1 (სპრუკტსი-1, სოტნიეკსი-1), 1:2 სპრუკტსი-2 (რედლიჰსი-2, კარსუმსი-1), 2:2 ე. კარლსონი-3 (ბექსტრიომი-2, ალფრედსონი-1), 3:2 ალფრედსონი-2 (დ. სედინი-2, ედლერი-1), 4:2 ჯ. ერიქსონი-1 (ეკმან-ლარსონი-3, სილვერბერგი-1), 4:3 გირგენსონსი-1 (დაუგავინში-1, ფრეიბერგსი-1), 5:3 ედლერი-1 (დ. სედინი-3, იოჰანსონი-1).

| | თ | მ | ოგ | ოწ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 10-5 | 9 |
| 2. შვეიცარია | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 2-1 | 6 |
| 3. ჩეხეთი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 6-7 | 3 |
| 4. ლატვია | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 5-10 | 0 |

**1/8 ფინალი**

**18 თებერვალი**

რუსეთი-ნორვეგია
შვეიცარია-ლატვია
ჩეხეთი-სლოვაკეთი
სლოვენია-ავსტრია

**1/4 ფინალი**

ფინეთი-რუსეთი/ნორვეგია
კანადა-შვეიცარია/ლატვია
აშშ-ჩეხეთი/სლოვაკეთი
შვედეთი-სლოვენია/ავსტრია

**ქალები. 1/4 ფინალი**

**ფინეთი-შვედეთი 2:4**

0:0, 1:0, 1:4

**გოლები:** 1:0 ჰოვი-1 (ვალიმიაკი-1), 1:1 ბოგკვისტი-1 (ნორდინი-1, ვინბერგი-1), 1:2 ვესტერი-1 (ასერჰოლტი-1, ვინბერგი-2), 2:2 ნუუტინენი-1 (რანტამიაკი-1, ლინდსტედი-1), 2:3 ელიასონი-1 (ლევენჰელმი-1, გრამი-1), 2:4 ნორდინი-1 (ვინბერგი-3, ანდერსონი-1).

**შვეიცარია-რუსეთი 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 მარტი-1 (მიულერი-1, ტალმანი-1), 2:0 შტადლერი-1 (ბულო-1).

**1/2 ფინალი**

**17 თებერვალი**

| | |
|---|---|
| 16:30 | აშშ-შვედეთი |
| 21:00 | კანადა-შვეიცარია |



### ქიორლინგი

| კაცები | |
|---|---|
| **X ტური** | |
| შვედეთი-რუსეთი | 8:4 |
| ბრიტანეთი-ნორვეგია | 6:7 |
| აშშ-კანადა | 6:8 |
| **XI ტური** | |
| გერმანია-დანია | 3:6 |
| აშშ-შვედეთი | 4:6 |
| ჩინეთი-კანადა | 8:9 |
| ნორვეგია-შვეიცარია | 5:3 |

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. შვედეთი - 8 მოგება/1 წაგება; 2. კანადა - 7/2; 3. ჩინეთი - 6/2; 4. ნორვეგია - 5/3; 5. ბრიტანეთი - 5/3; 6. დანია - 3/5; 7. რუსეთი - 2/6; 8. აშშ - 2/6; 9. შვეიცარია - 2/6; 10. გერმანია - 1/7.

| ქალები | |
|---|---|
| **X ტური** | |
| შვედეთი-რუსეთი | 5:4 |
| დანია-ს. კორეა | 7:4 |
| იაპონია-შვეიცარია | 9:7 |
| აშშ-კანადა | 6:7 |

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. კანადა - 8 მოგება/0 წაგება; 2. შვედეთი - 6/2; 3. ჩინეთი - 4/3; 4. შვეიცარია - 4/4; 5. ბრიტანეთი - 4/3; 6. იაპონია - 3/4; 7. რუსეთი - 3/5; 8. დანია - 3/5; 9. კორეა - 2/5; 10. აშშ - 1/7.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

| დღევანდელი პროგრამა | |
|---|---|
| **17 თებერვალი. ორშაბათი** | |
| 09:00 | ქიორლინგი. ქალები. XI ტური. რუსეთი-ბრიტანეთი |
| 09:00 | ქიორლინგი. ქალები. XI ტური. ს. კორეა-აშშ |
| 09:00 | ქიორლინგი. ქალები. XI ტური. იაპონია-ჩინეთი |
| **10:00** | **ბიატლონი. კაცები. მას-სტარტი. 15 კმ** |
| 11:00 | სნოუბორდი. კაცები. სნოუბორდ-კროსი. კვალიფიკაცია |
| 13:30 | სნოუბორდი. კაცები. სნოუბორდ-კროსი. 1/8 ფინალი |
| 13:50 | სნოუბორდი. კაცები. სნოუბორდ-კროსი. 1/4 ფინალი |
| 14:00 | ქიორლინგი. კაცები. XII ტური. ნორვეგია-დანია |
| 14:00 | ქიორლინგი. კაცები. XII ტური. ჩინეთი-ბრიტანეთი |
| 14:00 | ქიორლინგი. კაცები. XII ტური. შვეიცარია-აშშ |
| 14:00 | ქიორლინგი. კაცები. XII ტური. გერმანია-რუსეთი |
| 14:00 | სნოუბორდი. კაცები. სნოუბორდ-კროსი. 1/2 ფინალი |
| **14:10** | **სნოუბორდი. კაცები. სნოუბორდ-კროსი. ფინალი** |
| 16:30 | ჰოკეი. ქალები. 1/2 ფინალი. 1A-4A/1B |
| 17:45 | ფრისტაილი. კაცები. აკრობატიკა. I კვალიფიკაცია |
| 18:30 | ბობსლეი. კაცები. ორადგილიანი. III ცდა |
| 18:30 | ფრისტაილი. კაცები. აკრობატიკა. II კვალიფიკაცია |
| 19:00 | ქიორლინგი. ქალები. XII ტური. კანადა-ს. კორეა |
| 19:00 | ქიორლინგი. ქალები. XII ტური. დანია-ბრიტანეთი |
| 19:00 | ქიორლინგი. ქალები. XII ტური. ჩინეთი-შვეიცარია |
| 19:00 | ქიორლინგი. ქალები. XII ტური. შვედეთი-იაპონია |
| **19:00** | **ბიატლონი. ქალები. მას-სტარტი. 12,5 კმ** |
| **19:00** | **ფიგურული სრიალი. სპორტული ცეკვები. თავისუფალი ცეკვა** |
| **19:30** | **ბობსლეი. კაცები. ორადგილიანი. IV ცდა** |
| 21:00 | ჰოკეი. ქალები. 1/2 ფინალი. 2A-3A/2B |
| **21:15** | **ტრამპლინიდან ხტომა. კაცები. გუნდური. K-125** |
| 21:30 | ფრისტაილი. კაცები. აკრობატიკა. I ფინალი |
| 21:55 | ფრისტაილი. კაცები. აკრობატიკა. II ფინალი |
| **22:10** | **ფრისტაილი. კაცები. აკრობატიკა. III ფინალი** |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA-ის ყველა ვარსკვლავის უქმეები

# უოლმა შაკლემორს მოუგო



ჯონ უოლის ჩატენვა

ნიუორლეანში „ოლ სტარის" უქმეები, ტრადიციულად, ახალბედებისა და „მეორენლიანების" მატჩით დაიწყო. გუნდების შემადგენლობები ერთგვარი დრაფტით NBA-ის ლეგენდებმა - **გრანტ ჰილმა** და **კრის უებერმა** დააკომპლექტეს.

მიუხედავად იმისა, ორივე გუნდის სასტარტოში ბევრი მაღალი კალათბურთელი იყო (ჰილის გუნდში - **ვალანჩუნასი** და **დრამონდი**, უებერის გუნდში - **სალინჯერი, ოლინიკი** და **დევისი**), ფარქვეშ იმ დღეს მხოლოდ ერთი მოთამაშე დომინირებდა - „დეტროიტის" ცენტრი ანდრე დრამონდი. მან ახალბედების მატჩის ახალი რეკორდი დაამყარა, როცა 25 მოხსნით (აქედან 14 - მეტოქის ფარზე) დაასრულა შეხვედრა. შედარებისთვის, მეტოქის ყველა კალათბურთელმა ერთად მხოლოდ სამი მოხსნით მეტი აილო.

სიმბოლურია, რომ მატჩის ბედიც, ძირითადად, დრამონდის მოხსნით გადაწყდა. მეორე ტაიმის დასრულებამდე 33 წამით ადრე, უებერის გუნდი ორი ქულით აგებდა და რატომღაც **ბრედლი ბილზე** ჯარიმის ალება გადაწყვიტა. „ვაშინგტონის" მცველმა პირველი საჯარიმო ჩააგდო, მეორე კი ააცილა. დრამონდმა შეტევაში მოხსნა ბურთი და მეტოქეს მასზე ჯარიმის ალება მოუწია. დეტროიტელმა ორივე ბურთი ჩააგდო. თეთრმაისურიანებმა სწრაფი ორი ქულითა და ჯარიმებით სცადეს სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ **ბარნსსა** და ბილს საჯარიმოებისას ხელი არ აუკანკალდათ და უებერის გუნდმა თამაშის გადარჩენა ვერ შეძლო.

მატჩში იყო საინტერესო 10-წუთიანი მონაკვეთი, რომელიც **უეიტერსისა** და **ჰარდუეი-უმცროსის** პირად დაპირისპირებად გადაიქცა. მათ, შესაბამისად, 23 და 22 ქულა დააგროვეს, ძირითადად, შორეული ტყორცნებით.

**უებერი-ჰილი 136:142**

**66:67, 70:75**

**უ:** ჰარდუეი (36), პლამლი (20+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), კარტერ-უილიამსი (17+9 პასი+6 მოხსნა), დევისი (16+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), სალინჯერი (13), ოლადიპო (13).

**ჰ:** უეიტერსი (31+7 პასი+3 ჩაჭრა), დრამონდი (30+25 მოხსნა), ბილი (21+5 მოხსნა), ბარნსი (16), ჯონსი (14+6 მოხსნა), ლილარდი (13+5 მოხსნა+5 პასი).

## ოსტატობის კონკურსი

აქ გამარჯვებული გახდა **დანიელ ლილარდისა** და **ტრეი ბერკის** დუეტი, რომელმაც ყველაზე სწრაფად გაიარა დისტანცია და ყველა პირობა შეასრულა - 45.2 წამი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის მცველებს შორის ბრძოლაში ლილარდმა და ბერკმა დებიუტანტების - **მაიკლ კარტერ-უილიამსისა** და **ვიქტორ ოლადიპოს** მხოლოდ 0.1 წამით აჯობეს. ასე რომ, ლილარდმა დაიცვა შარშან მოპოვებული ყველაზე ოსტატური მცველის ტიტული.

**გორან დრაგიჩმა** და **რეჯი ჯექსონმა**, აგრეთვე **იანის ადეტოკუნბოსა** და **დემარ დეროზანის** დუეტმა ნააგეს ფინალში გადასასვლელი ორთაბრძოლები.

## სნაიპერების კონკურსი

მაიამელი **კრის ბოშის** გუნდმა მოიგო სნაიპერების შეჯიბრი. მის გუნდში იყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ქალების NBA-ის სამგზის ჩემპიონი **სუინ კეში** და ლეგენდარული **დომინიკ უილკინსი**. ბოშმა ფინალში ყველა სამქულიანი ააცილა, სამაგიეროდ, ცენტრიდან ორი ბურთი ჩააგდო და მოაგებინა ფინალში აღმოსავლეთს. დასავლეთის ღირსებას ფინალში **კევინ დურანტის** გუნდი იცავდა.

## სამქულიანების კონკურსი

სამქულიანების კონკურსი დაიწყო დასავლეთის წარმომადგენელმა **კევინ ლავმა**. მას იმედგაცრუება ელოდა: ჯერერთი დროში ვერ ჩაეტია, გარდა ამისა, „პრემიალური" ხუთი ბურთიდან ოთხი ააცილა მიზანს. 16 ქულა - არასაკმარისი იყო ფინალში გასასვლელად. თუმცა **დამიენ ლილარდმა** მხოლოდ ორი ქულით გაუსწრო ლავს, **მარკო ბელინელიმ** კი ამ შედეგს ერთი ქულა დაუმატა. დადგა **სტივენ კარის** ჯერი. და აქ პუბლიკას იმედგაცრუება ელოდა: „გოლდენ სტეიტის" სნაიპერმა მოულოდნელად გაიმეორა ლავის შედეგი. დასავლეთიდან ფინალში გავიდა ბელინელი, რასაც არავინ ელოდა.

მაგრამ ყველაზე უარესი იმ დღეს **ჯო ჯონსონი** იყო. მან ხუთივე სროლა ააცილა იმ წერტილიდან, რომელიც თავად მიიჩნია საკუთარი თავისთვის ყველაზე მოხერხებულად, ბოლო კალათიდან კი მხოლოდ ერთი ჩააგდო. მას გაუსწრეს **არონ აფლალომ, კაირი ირვინგმა** და ბრედლი ბილმა. სწორედ ეს ვაშინგტონელი გავიდა აღმოსავლეთიდან ფინალში, შარშანდელმა გამარჯვებულმა ირვინგმა კი დათმო ტიტული.

ფინალი ბელინელიმ დაიწყო და 19 ქულა დააგროვა, რაც მოგებისთვის სავსებით მისაღები შედეგი იყო. მაგრამ ბილი არ დანებდა. ბოლო ხუთი სროლის წინ, ის უიმედოდ აგებდა, მაგრამ დარჩენილი ყველა ბურთი ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა. საჭირო გახდა ფინალისტებისთვის დამატებითი ცდის მიცემა და უფრო გამოცდილმა იტალიელმა მოუგო ახალგაზრდა კოლეგას. ბელინელიმ ფანტასტიკური 24 ქულა აილო, ბილი კი 18 ქულით შემოიფარგლა.

## ჩატენვების კონკურსი

ჯერი დადგა ყველაზე საინტერესოზე - ჩატენვების კონკურსზე. აქაც აღმოსავლეთი დასავლეთის წინააღმდეგ. პირველი რაუნდი გახურებას დაეთმო. კალათბურთელები უფრო ერთობოდნენ, ვიდრე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

კონკურსის მეორე ნაწილი უფრო საინტერესო გამოვიდა. აქ სამი პირადი დუელი ვიხილეთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის გუნდებს შორის. თავდაპირველად, **ტერენს როსმა** დაამარცხა დამიენ ლილარდი და განამტკიცა აღმოსავლეთის უპირატესობა. შემდეგ მაჯებმა (დომინიკ უილკინსი, **მეჯიქ ჯონსონი** და **ჯულიუს ირვინგი**) **ჰარისონ ბარნსს** მიანიჭეს უპირატესობა **პოლ ჯორჯთან** შერკინებაში. ყველაზე საინტერესო კი მესამე დუელის დროს მოხდა, რადგან საქმეში ჩაერთო NBA-ის მთავარი „მასხარა" **შაკილ ო'ნილი**. მან მეფედ „აკურთხა" „საკრამენტო კინგზის" მცველი **ბენ მაკლემორი**, მის გუნდს სახელი გადაარქვა და „შაკრამენტო" უწოდა, თავად ბენს კი მიანიჭა გვარი - „შაკლემორი". ბოლოს კი მოედანზე გამოიტანეს მეფის სავარძელი, რომელშიც თავად შაკი ჩაჯდა. მაკლემორი თავზე გადაახტა ლეგენდას და ისე ჩატენა ბურთი.

მაგრამ მაკლემორსა და დასავლეთს არ ეწერა იმ დღეს გამარჯვება. **ჯონ უოლმა** აღფრთოვანებაში მოიყვანა ნიუ ორლეანის დარბაზი: „ვაშინგტონის" მცველმა წინ დაიყენა საკუთარი კლუბის თილისმა, რომელსაც მაღლა ჰქონდა აღმართული ბურთი. უოლი გამოიქცა, ნახტომში წაართვა ბურთი თილისმას, თავზე გადაახტა მას და ჰაერში ფართან ზურგშექცევით მყოფმა ორი ხელით ჩატენა. ყველაფერი ცხადი იყო - აღმოსავლეთმა მოიგო, ხოლო 2014 წლის საუკეთესო ჩამტენად უოლი გამოცხადდა.

მძლეოსნობა

# სენსაცია დონეცკში: ბუბკას რეკორდი წაართვეს!

ფრანგი **რენო ლავილენი** მსოფლიოს ახალი რეკორდსმენია ჭოკით ხტომაში. მან დონეცკში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე 6.16 მეტრი დაძლია და ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა ლეგენდარული **სერგეი ბუბკას** რეკორდი. სხვათა შორის, უკრაინელი 1993 წელს, ასევე დონეცკში გადახტა 6.15 მეტრზე.

27 წლის ფრანგმა უფრო მაღალი ნახტომის შესრულებაც სცადა: თამასა კიდევ ხუთ სანტიმეტრით მაღლა ასწიეს, მაგრამ ეს სიმაღლე რენოსთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ფრანგი ცუდად დაეცა და ფეხი იტკინა, მაგრამ მთავარი საქმე გაკეთებული იყო.

რენო ლავილენი ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონი გახლავთ, გარდა ამისა, მოგებული აქვს მსოფლიოს ჩემპიონატი დარბაზებისთვის. მისი რეკორდიც სწორედ დახურული არენებისთვისაა, ღია ცის ქვეშ კი უმაღლესი მიღწევა კვლავაც ბუბკას აქვს - მან რეკორდი (6.14 მ) 1994 წელს, იტალიის ქალაქ სესტრიერში დაამყარა. ლავილენის საუკეთესო შედეგი ღია არენებზე 6.02 მეტრს შეადგენს.

ახალი რეკორდის დამყარებას ბუბკა პირადად ესწრებოდა და მიულოცა ფრანგს უდიდესი წარმატება.



ლავილენის სარეკორდო ნახტომი

*„ძალიან მიხარია რენოს გამო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს მოხდა დონეცკში ჩვენს საიუბილეო ტურნირზე. ის შესანიშნავი ადამიანია. მე აღფრთოვანებული ვარ მისით და ღირსეულ მემკვიდრედ მივიჩნევ. გაოცებული ვიყავი, რომ ჩემმა რეკორდმა 21 წელი გაძლო. იმ მომენტში, როცა რეკორდი დავამყარე, ვფიქრობდი, რომ უფრო მაღალი შედეგის ჩვენება იყო შესაძლებელი",* - განაცხადა ლეგენდარულმა უკრაინელმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38);** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოჩა ლენცი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608